კვირეული ბიულეტენი „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№141 (748) 10 - 11 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო გელოვანი

სამართლის პარამეტრები

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

გია ჯრავა: „რადგან პროკურატურამ ჩემთვის ვერ მოიცალა, „ვერსიაში“ მიცემული ჩემი ინტერვიუები პროკურატურამ მიიღოს ჩვენებად!“

პატიმარი გენერალი შიმშილობას აგრძელებს და გასაიდუმლოებული ჩვენების დეტალებს იხსენებს

გვ. 5

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სახელს იცვლის და ვანო მერაბიშვილს საპრეზიდენტო კანდიდატად ამზადებს!

გვ. 4

სკანდალი და ცემა-ტყეპის ფაქტები 89-ე საჯარო სკოლაში

პედაგოგი დერეფანში დამონტაჟებული ვიდეოკამერების შემონმებას და სკოლაში კომისიის შესვლას ითხოვს!

გვ. 9

თალლითური სქემა, რითაც „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ სამშენებლო ფირმები მუშებს ატყუებდნენ

ზურაბ ნოღაიდელი პროკურატურას ადეიშვილ-მერაბიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულობების კვალზე გაიყვანს!

არიან თუ არა ივანიშვილის მთავრობაში „ნოღაიდელის კადრები“ და როგორ აპირებს საკაშვილის სატელიტი პარტიების ღუსტრირებას ზურაბ ნოღაიდელი

გვ. 7

პოლიტდევნილი ბიძინა გიორგობიანი საქართველოში და კონსერვატიულ პარტიაში ბრუნდება!

გვ. 3

რატომ არ შეაქვს სარჩელი ახალაია-მერაბიშვილის წინააღმდეგ და როდის მოეხსნება 900 000-ევროიანი ჯარიმა „ქომაგის“ დაფინანსებისთვის

როგორ „ახევენ“ ფულს უშვილო ქალბატონებს და რატომ უნდა მივიდნენ ისინი ენდოსკოპისტ რამაზ ჩარექიშვილთან?!

გვ. 8

სამართლის პარამეტრები

დიტო გელოვანი

აიღებ ცერცვს და ორად გააპობ. შემდეგ მეჭეჭს დანას დაუსვამ და როცა იქიდან სისხლი გამოვა, ცერცვის ერთ ნაჭერს წაუსვამ; შემდეგ ამოთხრი ორმოს და ამ ნახევარს მიწაში ჩაფლავ დაახლოებით შუაღამისას, გზაჯვარედინზე, მთვარის დაბადებისას, მეორე ნახევარს კი დაწვავ. საქმე იმაშია, რომ ის ნახევარი, რომელსაც სისხლი აცხია, თანდათან მიიზიდავს მეორე ნახევარს, სისხლი კი ამასობაში მეჭეჭს მიიზიდავს და მეჭეჭიც მალე გაქრება.

(მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი“)



თემები არც ისე ბევრი იყო და რაც იყო, ფაქტობრივად, ყველა პარლამენტს უკავშირდებოდა – შოთა მალაშხიამ რაღაც წამოიკნავლა, კაკო ბობოხიძემ ბრძნული რჩევების დარიგებას მიჰყო ხელი, მწვანე გაჩეჩილაძეს საკუთარი სიბრიყვე მწვანე ხახვივით შერჩა, გოგა ხაჩიძე ჯერ გადაირია, შემდეგ დაწყნარდა, ნუკრი ქანთარია კი ლამის დაიჭირეს და მკლავი მოჭრეს, „რატომ კარგი აგიგიას“ პონტში.

არადა, რა თქვა ნუკრიმ იმისთანა, ასეთი ამბავი რომ ატყდა? თქვა, პოლიტიკური სუტენიორები ხართო, „ნაციონალებს“ უთხრა და თავიდან კი ვერ გავიგე, რა ეწყინათ ამ უაღრესად უკანასკნელებს, მაგრამ შემდეგ, ღრმად რომ ჩავფიქრდი და ფსიქოანალიზი რომ მოვიშველიე, ყველაფერს მივხვდი.

„ნაცებს“ ეწყინათ, ასაკზე რომ მიუთითეს. ახლავე ორი სიტყვით აგიხსნით – ამდენი წელი მათ ნაცბოზბანდას უწოდებდნენ და ახლა ნაცსუტბანდად მოიხსენიეს. ანუ, დაბერდით და ბოზობაზე ვეღარ ქაჩავთო. არადა, ქაჩავენ. ხომ გაგიგიათ, ჩიჩოლინა ისე არ დაეცემა, ვირისა რომ არ ზიდოსო, მაგრამ გინდა ვირისა გიზიდია და გინდაც, უახლოესი წინაპრისა მიგირთმევია დიდი კოვზით.

ამ ორი კვირის წინ ერთ-ერთი მედიაექსპერტი (მედიაბაზარზე რვა წელი რომ მოღვაწეობს და რვა მკითხველის გული რომ ვერ მოიგო) ერთ ჟურნალისტს სხვისი ბიოგრაფიის გამოქვეყნებას უკრძალავდა, ხოლო გასულ კვირაში უკვდავმა დეპუტატმა, კაკო(იე) ბობოხიძემ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ფიქრი აუკრძალა – პარლამენტის თბილისში დაბრუნებაზე ფიქრს თავი დაანებეთო. რაღაცებს მიედ-მოედო, რაღაცებს წამოედო და წამოეგო და არც რჩევის მიცემა დაიზარა: ქუთაისის, როგორც საპარლამენტო დედაქალაქის, განვითარების მიმართულებით მუშაობა დაიწყეთო.

ახლა, იმ ციტატას გაახლებთ, რომელიც მე „ინტერპრესნიუსმა“ მაახლა: „გული მწყდება, რომ საქართველოს მოსახლეობა არ უფიქრდება, რა ხიფათი ელოდება თბილისს რეგიონების განუვითარებლობის შემთხვევაში, რა ხიფათი ელით და ზოგადად, რა ხიფათი ელოდება ქვეყანას, თუკი საქართველო კვლავ ერთი ქალაქის — თბილისის ამარა დარჩება“.

კაკოიეს გული წყდება და... აი, დარდი!!! „აი, დარდი“ იმიტომ, რომ კაკო აგრძელებს: „სადმე წერია, რომ საქართველოს პარლამენტში მხოლოდ თბილისელები უნდა იყვნენ?! როგორ გგონიათ, რატომ ახერხებენ ხონელი ან წალენჯიხელი დეპუტატები თბილისში ყოფნას და რატომ ვერ ახერხებენ თბილისელი დეპუტატები ქუთაისში ყოფნას?!“

კაკოიე აღშფოთებული და... აი, დარდი. თუმცა, ერთი შეკითხვა მეც მებადება – სადმე წერია, რომ კაკო ბობოხიძე სულ დეპუტატი უნდა იყოს? ამხელა მთავარსარდალი კაცი ხარ, ჟურნალისტი გიცემია, წაგებული ომის შემდეგ შუა რუსთაველზე, გახარებულს გიცეკვია, „მიშა მაგარია“ გიმღერია... წადი, რა, გოგა ხაჩიძე ნახე, გურამ დონაძე გააგორე და გუბაზ სანიკიძეს მოუსმინე.

მოდი, გუბაზ სანიკიძეს ჩვენც მოვუსმინოთ: „დღეს პარლამენტში ოპოზიცია არ არსებობს. თქვენ ოპოზიციაში ყოფნის მორალური უფლება უნდა მოიპოვოთ. აღიარეთ დანაშაული და მოიპოვეთ უფლება, რომ ოპოზიციაში იყოთ. საქართველოში სამართალმა პური ჭამა, სახელმწიფო წინ მიდის და ამას ვერავინ შეაჩერებს“.

ამბობენ, პური ასუქებსო. სამართალმა პური რომ ჭამა, ეს კარგია, მაგრამ ზედმეტი პური არის ზედმეტი წონა, ხოლო ზედმეტი წონა იწვევს ნაადრევ სიკვდილს. პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სიას რომ გადავხედე, მივხვდი, რომ სამართალს საჭიროზე მეტი პური აქვს ნაჭამი. ამაზე საპარლამენტო უმრავლესობის სიაც მეტყველებს და... არ მინდა, ბატონო, გასუქებული და აქოშინებული სამართალი, 90-60-90 სამართალი მინდა. ამ პარამეტრებზე კი, რატომღაც, კახა ბენდუქიძე და ხათუნა გოგორიშვილი გამახსენდნენ.

ამ ორი კვირის წინ, შორენა შავერდაშვილის გადამკიდე, ლამის, კახა ბენდუქიძის ფანი გავხდი, ხოლო გასულ კვირაში მწვანე გაჩეჩილაძის წყალობით, პირველად მოხდა, ხათუნა გოგორიშვილს რომ დავეთანხმე.

ალბათ გახსოვთ, რომ რამდენიმე დღის წინ გია (მწვანე) გაჩეჩილაძემ სხვის მაგივრად მისცა ხმა, სხვის ნაცვლად დააჭირა პულტს თითი. ჰოდა, გასულ კვირაში „სხვის მაგივრად ხმის მიცემის“ ფაქტთან დაკავშირებული საკითხი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე განიხილეს და აღმოჩნდა, რომ გაჩეჩილაძემ „არ იცის“, ვის მაგივრად მისცა კენჭისყრის დროს ხმა.

არ იცის და, ჰა!!!

შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარემ, ირინე იმერლიშვილმა თქვა, რომ დაუდგენელი დარჩა იმ დეპუტატის ვინაობა, ვისი პულტიც გაჩეჩილაძემ გამოიყენა.

დაუდგენელი დარჩა და, ჰა!!!

და ამ დროს, ხათუნა გოგორიშვილმა აღნიშნა, რაღაც ეჭვი მეპარება, ან იმან არ იცოდეს და ან ამან ვერ დაადგინოსო. ამ ხნის კაცი მოვიყარე და ვერ წარმომედგინა, თუ ოდესმე, რამეში ხათუნა გოგორიშვილს დავეთანხმებოდი.

ამიტომ ვამბობ, რომ სხვა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან ერთად აუცილებელია დაგინების ინსტიტუტის შექმნა-ჩამოყალიბება და განვითარება, ხოლო პარლამენტში – დაგინების კომიტეტის შექმნა. დაიგინებ და ბურუსიც გაიფანტება. აბა, ის სჯობს, რომ სხედან დეპუტატები და რომ მკითხაობენ, ვის მაგივრად მისცა გაჩეჩილაძემ და, საერთოდ, ვინ ვის მაგივრად იძლევა?!

და მაინც, ვის მაგივრად მისცა გია (მწვანე) გაჩეჩილაძემ? ამის გარკვევა მარტივად შეიძლება – ჩამოიარონ ქუთაისის რესტორნები და გაარკვიონ, ვინ უკისრა იმ დღეებში მაღარიჩი გაჩეჩილაძეს. ასევე, ჩამოიარონ რესტორნები და გაარკვიონ, სად და ვისთან ერთად დახარჯა გაჩეჩილაძემ სადეპუტატო ხელფასის ის 20 პროცენტი, რომელიც, წესით, უნდა დაკავებოდა.

კიევში კი ძებნილთა 25 პროცენტი დააკავეს, რაც ერთ კაცს შეადგენს. „სამი პირის – დათა ახალაიას, სოსო თოფურიძისა და გერონტი ალანიას – საერთაშორისო ძებნა გრძელდება“, – აცხადებს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსი ალექსანდრე არაყიშვილი და რასაც აცხადებს, კარგად აცხადებს, მე კი, რაც ვთქვი, ვთქვი ცუდად. შემეშალა – ასეთი ოთხი ძებნილის 25 პროცენტი ერთი კაცი არ არის, ერთი პირი უნდა მეთქვა და, ისე, პირზე მეტად, ხახა უფრო სწორი იქნებოდა. მოკლედ, კიევში ძებნილი ხახა დააკავეს – ოლეგ მელნიკოვი.

ეს ისე, ცნობისთვის, თორემ ჯერ ისევ პარლამენტში ვიმყოფებით და ისევ პარლამენტის ამბებს მიმოვიხილავთ. თუ ატყობთ, ცოტა არ იყოს, მიჭირს და რომ მიჭირს, მიკვირს. თუმცა, ახსნა ყველაფერს მოეძებნება.

„ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობაში ჟანგბადის მაჩვენებელი საკმარისზე დაბალია, ნახშირორჟანგის მაჩვენებელი კი აწეულია, ჰაერის შემადგენლობა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არ არის, კერძოდ, ნახშირორჟანგისა და ჟანგბადის რაოდენობა ჰაერის საშუალო შემადგენლობის მაჩვენებელს არ პასუხობს.

„ნახშირორჟანგის მაჩვენებელი აწეულია, ჟანგბადი კი — დაწეული, ასე 19%-ის ფარგლებში. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო განიცდიან თანამშრომლები დისკომფორტს, უსიამოვნო შეგრძნებებს, გულის რევას, თავის ტკივილს“, — აი, ასეთი დასკვნა დაიდო მას შემდეგ, რაც პარლამენტის შენობის ექსპერტიზა ჩატარდა.

როგორც ხედავთ, სიტუაცია ერთდროულად შემაშფოთებელიც არის და აღმაშფოთებელიც. სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, ძალიანაც მადარდებს ჩვენი პარლამენტარების ჯანმრთელობა. კარგად თუ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ დეპუტატები რაღაცნაირად მიმკვდარებულები და მიკნავლებულები არიან და შოთა მალაშხია რომ არის, იმაზე უარესად გამოიყურებიან. თავად შოთა მალაშხია თავს კარგად გრძნობს – პარაზიტებისა და ბაქტერიებისთვის ასეთი გარემო პირდაპირ მისწრებაა, მაგრამ რა ქნას მარიამ საჯაიამ? ლამაზი გოგოა, აზროვნებს კიდეც და სულაც არ მინდა, რომ ნინა წკრიალაშვილს დაემსგავსოს – შემაშფოთებლად დაბერდეს და აღმაშფოთებლად გამოჩერჩეტდეს.

აი, ჟანგბადის ნაკლებობით გამოწვეული სიჩერჩეტის საუკეთესო მაგალითი – „ოპოზიციონერი დეპუტატის, დავით დარჩიაშვილის მტკიცებით, ახალი ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულ ადამიანთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს 2003 წელს, რევოლუციური გზით მოსული ხელისუფლების მხრიდან დაპატიმრებულთა რიცხვს“.

სიჩერჩეტე კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში, მთავარი რაოდენობა კი არ არის, მთავარი ხარისხია – 2003 წელს „ნაცები“ წვრილმან და მსხვილმან ყალთაბანდებს იჭერდნენ, ახლა კი დიდი და პატარა ნამეძავარების (ხალხურად – ნაბოზრების) დრო დადგა. და, საერთოდ, ყველა უბედურება, რაც ამ ქვეყანას ჭირს, ყალთაბანდებისა და ნამეძავარების კოჰაბიტაციის შედეგია.

რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად მომწონს ეს სიტყვა – კოჰაბიტაცია. ადამიანებმა უნდა შეძლონ კოჰაბიტაცია და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი მოახერხებს ამას. რაც მეტი – უკეთესი. ისტორიას ახსოვს კოჰაბიტაციები – 26 კომისარი, სამი ახალაია, ორი გაბაშვილი და ა.შ. გასულ კვირაში კი... მოდი, სჯობს, ნიუსი ჩავიკითხოთ: „ლაგოდეხის გამგებლის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში 106 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ ინფორმაციას რადიო „ჰერეთი“ ავრცელებს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არ გამორიცხავენ, რომ კანდიდატთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს, რადგან საკონკურსო განაცხადების მიღება 7 დეკემბერს უნდა დასრულდეს“.

ერთი, იმ 106 კანდიდატის თავში ჩამახედა... მაგრამ არ მეგონა, ამ პატარა რაიონში ამდენი ხალხი თუ ცხოვრობდა, მაგრამ იქნებ, სულ 106 კაცი ცხოვრობს და ყოველ მათგანს გამგებლობა სურს? რა თქმა უნდა, 106-ზე მეტნი იქნებიან. რა თქმა უნდა, ყველა თავისი გუნდით აპირებს მოსვლას, ანუ მთელი ლაგოდეხი გამგეობაში მუშაობაზე ოცნებობს. ყველაზე სწორი იქნება, თუ ლაგოდეხის რაიონს 106 ტოლ ნაწილად დავყოფთ და ყველა კანდიდატს დავაკმაყოფილებთ. ერთად აიხდენენ ლაგოდეხურ ოცნებას და იქნებ სწორედ ამას ნიშნავს კოჰაბიტაცია?

„პალესტინის სტატუსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება პრაქტიკულად, „ჰამასის“ ცნობას ნიშნავს“, — ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა შოთა მალაშხიამ განაცხადა. მისი თქმით, „ჰამასი“ ის ორგანიზაციაა, რომელმაც სცნო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა“.

აკი, მიცვალებულები არ ლაპარაკობენო? ლაპარაკობენ და მერე როგორ! აკი, ვირი დაიღალაო? დაიღალა, დაისვენა და ალაპარაკდა კიდეც – საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პარტია „მომავალი საქართველოსთვის“ დაბრუნებისთვის სამართლებრივ ბრძოლას იწყებს. როგორც ნოღაიდელმა ჟურნალისტებს განუცხადა, მიუხედავად ბრძოლის დაწყებისა, ის პოლიტიკურ აქტივობას ამ ეტაპზე არ აპირებს“.

რაღაც ვერ გავიგე... თუ პოლიტიკურ აქტივობას არ აპირებს, მაშ პარტია რა თავში სახლელად უნდა? რაღაცაშია საქმე, ეგ ისეთი ჟუკია, ნამდვილად რამე ექნება მოფიქრებული. „ნაცებს“ ემუქრებოდა, ძვლებს დაგამტვრევთო და, როგორც გასულ კვირაში გახდა ცნობილი, პუტინს ხერხემალი დაუზიანებია, ლავროვს ხელი მოუტეხია... კისერიც უტეხიათ, მაგრამ რა შუაშია აქ ნოღაიდელი? ფაქტია, რაღაც შუაში ნამდვილად არის, მაგრამ ჩემი მოკლე ჭკუით ამას ვერ ჩავწვდები, სერიოზული ანალიტიკური გონებაა საჭირო. აი, მიშა რომ არის, თავხელიძე და ქეთა გაბიანი თავის თეა თუთბერიძითურთ. მაგრამ ამათ არ ეცალათ, პეტიციას წერდნენ.

„გვჯერა, რომ ახალი მთავრობისა და თქვენს პირად ინტერესში არ შედის ახალაიასთან ფიზიკური ანგარიშსწორება. მაგრამ, მიუხედავად თქვენი დაპირებისა, მიგვაჩნია, რომ არ არსებობს აბსოლუტური გარანტია, რომ „ქურდულმა სამყარომ“, რომლის გავლენაც საქართველოს ციხეებში სწორედ ბაჩო ახალაიამ აღკვეთა, მასზე არ იძიოს შური“, – იმ სამეულმა ამ პეტიციაზე 47 ადამიანს მოაწერინა ხელი. ბევრი ირბინეს, მაგრამ ორმოცდარვამდე ვერ გაქაჩეს. მიშა პოლონეთში იყო, გია ბარამიძე – ვაშინგტონში, ნიკა ჩიტიძე – პირდაპირ ეთერში, ხოლო შალვა ნათელაშვილს, როგორც ერთმა ნიჭიერმა დაწერა „ფეისბუქში“, ბუჩქებში შეუსწრეს, სადაც ღარიბებს აძლევდა.

ისე, იმ ხელმოწერებს კარგად თუ დავათვალიერებთ, არ გამოვრიცხავ, რომ მწვანე გიას (გაჩეჩილაძეს) ვინმეს მაგივრად ჰქონდეს ხელი მოწერილი.

პრინციპში, ეს ყველაფერი სულ ჩვეულებრივი ამბები იყო, ახლა კი ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრათ – შპს „სკაინეტმა“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა მიიღო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან აცნობეს, შპს „სკაინეტს“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა კომისიის დღევანდელ სხდომაზე მიენიჭა.

და რა არის აქ ცუდი? – იკითხავთ თქვენ. კითხვაზე გიპასუხებთ:

ძალიან მიყვარს ჰოლივუდის ფილმები, განსაკუთრებით – ბლოკბასტერები. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ორმა ფილმმა – „ტერმინატორი – 3“ და „2012“. „ტერმინატორში“ კომპიუტერული პროგრამა „სკაინეტი“ თავს აიშვებს და იწყება მესამე მსოფლიო ომი, ხოლო „2012“–ში ნაჩვენებია წარღვნა, რომელიც ხდება 21 დეკემბერს.

ახლა, კინოებს ნუ მომაყოლებთ...

მეგობრებო, ახლა 2012 წელია, შპს „სკაინეტმა“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა მიიღო და 21 დეკემბერიც ახლოვდება.

ალბათ, მიმიხვდით...

„დემოკრატიის კლასიკური ფორმულაა ის, როდესაც ქვეყანას ჰყავს ერთი პრეზიდენტი, ერთი პრემიერ-მინისტრი, ბევრი ყოფილი პრეზიდენტი, ბევრი ყოფილი პრემიერ-მინისტრი და არც ერთ მათგანი ციხეში არ არის, არც მოკლული ან გაუჩინარებულია, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა“.

ალბათ, მიუხვდით.

„ქართული ოცნების“ რეიტინგი კოსმოსშია ასული, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, დავით საგანელიძემ განუცხადა.

როგორც ვხვდები, წარღვნას მხოლოდ „ქართული ოცნების“ რეიტინგი თუ გადაურჩება.

როგორ დავიფანტეთ და დავიქსაქსეთ – სააკაშვილი პოლონეთში, ბარამიძე ამერიკაში, მელნიკოვი კიევში, დათა, სოსო და გერონტი ჯანდაბაში, „ოცნების“ რეიტინგი კოსმოსში...

„თქვენც ვენაში წასული გეგონეთ, არა? დეპარტამენტი ისევ აქტიურად განაგრძობს მუშაობას. უბრალოდ, ეს პრესას აღარ აინტერესებს“, — აღნიშნა ნათია მოგელაძემ ჩემი მეგობარი სააგენტოს აგენტთან საუბრისას და რაც შეეძლო ნაზად გაიღიმა.

უჟასებიც მიყვარს.

შ.ნ. (შორს, ნაცებო) თუმცა, უმჯობესია, ცერცვის ნახევრის მიწაში ჩაფვლის დროს ზედ დააყოლო: „შორს, მეჭეჭო, ცერცვო, ძირს! ჩემკენ ნუღარ იზამთ პირს“.

(მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი“)

პოლიტდევნილი ბიძინა გიორგობიანი საქართველოში და კონსერვატიულ პარტიაში ბრუნდება!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

რატომ არ შეაქვს სარჩელი ახალგაზრდა-მერაბიშვილის წინააღმდეგ და როდის მოეხსნება 900 000-ევროიანი ჯარიმა პოლიტდევნილ ბიძინა გიორგობიანს

სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რომელსაც საქალაქო სასამართლომ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით, 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, 24 სხვა ადამიანთან ერთად, პოლიტდევნილად აღიარეს. ბიძინა გიორგობიანმა ქვეყანა მეორედ 2005 წლის დასაწყისში დატოვა, მას მერე, რაც ვანო მერაბიშვილსა და სხვა მაღალჩინოსნებს ხე-ტყით უკანონო ვაჭრობაში დასდო ბრალი. სხვათა შორის, ეკა ბესელიას კომისია პირველი არ არის, ვინც მის საქმეს სწავლობდა — ეს საქმე ჯერ კიდევ 2007 წელს შექმნილ საპარლამენტო კომისიაში წლებია დევს. ბესელიას კომისიაში კი მას ახალი გარემოება, 900 000-ევროიანი ჯარიმა დაემატა, რომელიც გიორგობიანს ჯერაც არ მოხსნია. რას აპირებს, ინტერპოლის საძიებო ბაზიდან ამოღებისა და ჯარიმის მოხსნის შემდეგ, როდის ბრუნდება ქვეყანაში, რა ფორმით ითხოვს რეაბილიტაციას და კვლავ ერთვება თუ არა აქტიურ პოლიტიკაში — „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუს ჯერ კიდევ გერმანიაში მყოფი ბიძინა გიორგობიანი ამჯერად, პოლიტიკური დევნილის სტატუსით აძლევს:

— საქართველოში 9-წლიანი ემიგრაციის შემდეგ 2004 წელს დავბრუნდი და ქვეყანა ისევ დავტოვე 2005 წლის მარტის დასაწყისში. ამის მიზეზი კუდ-ის მაშინდელი თავმჯდომარის დათა ახალაიას, შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის, გიგა ბოკერიას, მიხეილ სააკაშვილისა და მათი გუნდის დამოკიდებულება იყო ჩემდამი. ჩემი დევნა კი განსაკუთრებით მწვავე ფაზაში მას მერე შევიდა, რაც პრემიერი ზურაბ ჟვანია მოკლეს, რადგან მის კადრად ვითვლებოდი.

— თქვენ მაშინ ვანო მერაბიშვილის ინტერესები გადაკვეთეთ ხე-ტყის ბიზნესში!

— ისინი მიიჩნევდნენ და, მართლაც ასე იყო, რომ საქართველოში ზურაბ ჟვანიას მოწვევით დავბრუნდი. შემდეგ ჩათვალეს, რომ უკვე შეეძლოთ ჩემზე გენერალური შეტევის განხორციელება.

> **მე ვეწინააღმდეგებოდი კუდ-ის ოფიცრების მიერ წამოწყებულ კრიმინალურ გარიგებას, რომელიც ხე-ტყით უკანონო ვაჭრობას ეხებოდა, ისინი კი ასეთ 22-მდე ფირმას მფარველობდნენ.**

მინდა გითხრათ, საქართველოს გარდა, გერმანიის მოქალაქეც ვარ, ანუ პოლიტიკური თავშესაფარი, როგორც ასეთი, არ მჭირდებოდა, თუმცა გერმანულმა მხარემ ეს საქმე პოლიტიკურ დევნად მაინც მიიჩნია. ეს ჩემი დაკავებითაც დადასტურდა 2011 წლის აგვისტოში, ესპანეთში, ინტერპოლის საშუალებით, საქართველოს მოთხოვნის საფუძველზე და გერმანიის საკონსულომ მაშინაც ყველაფერი გააკეთა ჩემს გასათავისუფლებლად.

— რა დოკუმენტებს ფლობდა ბესელიას კომისია თქვენს საქმეზე, რა გახდა გადამწყვეტი არგუმენტი, რის გამოც პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიიღეთ?

— 2007 წელს პარლამენტში შეიქმნა სპეციალური კომისია, სადაც ჩემი საქმეც განიხილებოდა. მასში 3 საპარლამენტო ფრაქცია შედიოდა, რომელთაც დაწვრილებით გამოიძიეს იმ მოწმეების აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც მერაბიშვილმა და ახალაიამ ჩემს წინააღმდეგ, იძულებით მიაცემინეს, ხოლო კონტროლის პალატის თანამშრომლებს გაურკვეველი დასკვნები დააწერინეს. ასეთივე ზეწოლის ქვეშ იყო იუსტიციის სამინისტროს საექსპერტიზო ბიუროც, ხოლო ის ხალხი, ვინც ამაზე არ წავიდა, სამსახურებიდან გაათავისუფლეს და მათ წინააღმდეგ ყოვლად უსაფუძვლოდ დაიწყეს სისხლის სამართლებრივი დევნა. ამ საპარლამენტო კომისიის მიერ დადებული დასკვნა დღესაც ძალაშია, დოკუმენტურად დადასტურებულია და 4 ტომად აკინძული დევს!

— რა შეიცვალა ახლა, მხოლოდ ის, რომ სათავეში ახალი ხელისუფლებაა?

— მაშინ შედეგი ვერ დადგა, რადგან გიგა ბოკერიამ 2007 წლის აგვისტოში, დასკვნის განხილვა პარლამენტის დღის წესრიგიდან ამოაღებინა, მაგრამ მოკვლეული მასალები ხომ დარჩა, არა? სწორედ ეს მასალები გადაეცა დღეს არსებულ კომისიასაც. კი არიან სინდისთან მწყრალად „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები, მაგრამ ვერც ისინი უარყოფდნენ ჩემს პოლიტიკურ დევნას, ამიტომ ჩემს საკითხზე ხმა არ ამოუღიათ. მათთვის ძალიან მძიმე პასუხები და არგუმენტები იდო ჩემს საქმეში, რაც ბევრი ლაპარაკის საშუალებას არ მისცემდა. შესაბამისად, გვერდი აუარეს ბიძინა გიორგობიანს და ისეთ ხალხზე ილაპარაკეს ამ პოლიტდევნილების სიაში, ვის საქმეშიც პირდაპირი სამხილები, ასე ვთქვათ, ვერ იდო.

— თუმცა, იყო ახალი გარემოება, რაც, წესით, თქვენ საქმეს უნდა დამატებოდა — ფონდ „ქომაგის“ ანგარიშზე გადარიცხული 90 000 ევრო, რის გამოც, ნათია მოგელაძის უწყებამ 900 000 ევროთი დაგაჯარიმათ. ეს ჯარიმა მოგეხსნათ?

— სხვათა შორის, როგორც ბატონმა ჯამბულ გამცემლიძემ და ია მეტრეველმა გამაგებინეს, გერმანული ფონდიდან შეწირული ეს თანხა მათ 2 კვირის წინ დაუბრუნდათ ხაზინიდან. შესაბამისად, გერმანიაში საჩივარი აღარ შევიტანე, მაგრამ ეს ჯარიმა მე ისევ მადევს.

— ანუ, ახლა, საქართველოში რომ ჩამოხვიდეთ, შეიძლება მაშინვე გითხრან, 900 000 ევრო გადაგვიხადეო?

— 900 000 ევროს ვერ გადავიხდი, რადგან ამის საშუალება არ მაქვს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მე ისეთი კაცი არ ვარ, ვინც აბდაუბდა ნაბიჯებს დგამს.

— ამ ტექსტით ერთხელ უკვე შეაფასეთ ირაკლი ოქრუაშვილის დაბრუნება. გამოდის, სამშობლოში მაინცდამაინც არ მოგეჩქარებათ, არა?

— დედამიწაზე ყველაფერს თავის წესი და რიგი აქვს. არსებობს კანონი და თუ გვინდა, საქართველოში ადამიანს ეცხოვრებოდეს, ეს კანონები უნდა დავიცვათ — მოქალაქე, რომელიც ინტერპოლით იძებნება, თუ იმ ქვეყანაში ჩავა, ვინც მას დევნის, უნდა დააკავონ — ეს მეც უნდა ვიცოდე და ოქრუაშვილმაც.

ჯერჯერობით, არც მე ვარ ამოღებული ინტერპოლის საძიებო ბაზიდან. როცა ამნისტია ძალაში შევა და კანონს მესამე მოსმენით მიიღებენ, მერე პროკურატურას უნდა მივმართო. თუ მას აღარაფერი აქვს ჩემს წინააღმდეგ, უნდა გაუგზავნოს დოკუმენტი შს სამინისტროს შესაბამის უწყებას, რომელიც ინტერპოლში ადამიანის ძებნის დაწყება-შეწყვეტას ახდენს. მხოლოდ მას მერე, რაც წერილობითი დასტური მექნება, რომ საქართველოს ინტერპოლმა შეწყვიტა ჩემი ძებნა, შემეძლება, საქართველოში ვიმოგზაურო. ამავე დროს, ის სცენარიც უნდა გავითვალისწინო, თბილისში რომ დავბრუნდე და აეროპორტში დამაკავონ.

> **ეს მარტო ჩემზე კი არა, ქვეყნის იმიჯზეც ცუდად იმოქმედებს — გერმანიის მოქალაქეც ვარ და რომ დამიჭირონ, საქმეში ავტომატურად ერთვება გერმანიის საკონსულო თბილისში, ამიტომ არ მინდა, ავანტიურაზე წავიდე და ველოდები საქმის სამართლებრივი მიმდინარეობის დასრულებას, ვიდრე გარანტირებული არ ვიქნები, რომ სკანდალური რაღაცები არ მოხდება! სკანდალები და ზედმეტი თავგადასავლები ახლა ჩემს ინტერესებში არ შედის და არც ის მინდა, ქვეყნის ახლადფეხადგმული სამართლებრივი სისტემა დავაზიანო.**

— რომელიც ისედაც ძალიან დაზიანებულია საერთაშორისო დონეზე და კიდევ ერთი — რა ბედი ეწევა თქვენს სარჩელს სტრასბურგის სასამართლოში?

— თუნდაც იმის გამო, რომ ეს იმიჯი უკვე დაზარალებულია, ამ მიმართულებით დამატებითი ნაბიჯის გადადგმას ვერიდები. სტრასბურგს რაც შეეხება, თუ მე არ გავგზავნე განაცხადი, რომ საქმე უკან მიმაქვს, ის თავისთავად არ შეწყდება. ამაზე იუსტიციის სამინისტროში კონსულტაცია მინდა გავიარო. მე არ ვითხოვ ფულად კომპენსაციებსა და ა.შ., მაგრამ აქ ჩემი ცხოვრების უმძიმესი 9 წელი გამატარებინეს, რადგან ეს ინტერპოლი ჩემს საქმიანობაში ხელს მიშლიდა. წარმოიდგინეთ, საგადასახადო მრჩეველი ვარ და ჩემი კლიენტი, რომელიც ჩემთან თავისი ფინანსური საბუთებით მოდის, „გუგლში“ ჩემს გვარს წერს და იგებს, რომ ინტერპოლი მეძებს, ანდა საქმე რომ მქონოდა მეზობელ ქვეყანაში, ნებისმიერ საგზაო პოლიციელს შეეძლო ჩემი დაკავება. ამით მძიმე ტრავმა მომაყენეს!

— მერე, ამ 9-წლიანი მძიმე ცხოვრების გამო, კონკრეტული პირების წინააღმდეგ სარჩელის შეტანას არ აპირებთ?

— ჩემი გეგმა ასეთია — თუ მე ვიწყებ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, მაშინ ალბათ, აღარ ღირს ამ ადამიანების გვერდით თვეობითა და წლობით სასამართლოებში ჯდომა, ვინც ამ ვიგინდარებს ჩემს სასამართლო პროცესებზე ცრუ მოწმეებად დაჰყავდათ!

დასასრული მე-4 გვერდზე

თედო ჯაფარიძე

The Washington Post

28 ნოემბრის სარედაქციო წერილში — „საქართველოს მთავრობა არასწორ გზას ადგას“ — გამოთქმულია ვარაუდი, რომ რადგან ყოფილი მთავრობის წარმომადგენლებს იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მათ თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩაიდინეს, ბრალი წაუყენეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი რამდენადმე უარს ამბობს დემოკრატიაზე მანამდე, ვიდრე თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება, შესაბამისად, „მას ვაშინგტონში არ უნდა იღებდნენ“.

მიეცით დემოკრატიას აყვავების შანსი საქართველოში

ცხადია, ეს კონტრპროდუქტიული დასკვნაა. საქართველომ ეს-ესაა, პირველად თავის ისტორიაში, ხელისუფლების დემოკრატიული ცვლა განახორციელა. შეიძლება, ჩვენ არ ვართ ისეთი გამოცდილები დემოკრატიულ მართვაში, როგორც ბევრი დასავლური ქვეყანა. თუმცა, ასეც რომ იყოს, ვაშინგტონში მისი ვიზიტი შეიძლება საუკეთესო გზა ყოფილიყო იმაში დასარწმუნებლად, რომ მოვლენები მართლაც, პოზიტიურად ვითარდება.

თუმცა, მოდით, ჯერ ოსტ-ის თეზისი განვიხილოთ. მიხეილ სააკაშვილის მზაობა, უარი ეთქვა თავის წარსულ ქცევაზე და დათანხმებოდა ამომრჩევლის ნებას, როგორც ჩანს, ისე იყო აღქმული, როგორც პირობა იმისა, რომ საყოველთაოდ გახმაურებული დანაშაულებანი აღარ უნდა გამოიძიონ. არადა, სწორედ ამ დანაშაულებმა განაპირობა, ძირითადად, კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვება. იმის გამო, რომ დემოკრატია ჩვენი ამომრჩევლებისთვის ახალი და ძვირფასი რამაა, ჩვენს მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, გამოიძიოს მტკიცებულებანი იმ საყოველთაოდ ცნობილი ძალადობისა და ბოროტმოქმედებისა, რომლებიც ასე დიდი ხნის განმავლობაში წამლავდნენ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას.

ასეთი გამოძიებების გადადება ქართველების თვალში კომპრომეტაცია იქნებოდა იმ დასავლური ღირებულებებისა, რომლის მიღწევისკენაც ჩვენ მივისწრაფვით. ბ-ნმა ივანიშვილმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ის აპირებს თანამშრომლობას ბ-ნ სააკაშვილთან და ყოფილი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, მარტოოდენ იმისთვის, რომ ისინი ყოფილ მთავრობას ემხრობოდნენ, არანაირი სანქციები არ იქნება გამოყენებული. სინამდვილეში, ასობით ასეთი ჩინოვნიკი ჰარმონიულად მუშაობს ახალ მთავრობასთან. მაგრამ კარგი სამუშაო ურთიერთობების მოლოდინი არ უნდა გვაფიქრებინებდეს იმას, რომ არ უნდა იქნას გამოძიებული იმ ჩინოვნიკების საქმეები, რომლებიც საზოგადოების ნდობის შელახვაში არიან ეჭვმიტანილნი.

სერგეი ლავროვი: „საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება!“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება.

„ვეხმაურებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ სპეციალური წარმომადგენლის პოსტზე ზურაბ აბაშიძის დანიშვნას. დავამყარებთ მასთან კონტაქტს და ვიმედოვნებთ, ეს შეხვედრა რაღაცას გაარკვევს“, — აცხადებს ლავროვი და დასძენს, რომ რუსეთს საქართველოსთან კონტაქტზე უარი არასოდეს უთქვამს, არ გამოსულა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის ინიციატივით, პირიქით, მზად იყო, მოეძებნა კომპრომისი პრობლემების გადაწყვეტისთვის.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთი მზადაა, საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიიღოს. „რია ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ ლავროვმა მთავრობის და რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებთან შეხვედრისას განაცხადა.

„როდესაც ჩვენ გველაპარაკებიან იმის შესახებ, რომ საქართველოს კიდევ მეტად სურს ურთიერთობების გაუმჯობესება, მაშინ ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ და განვაახლოთ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის შემოტანა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში ელექტროენერგია და გაზი იმ კომპანიის ხაზით მიდის, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს. მზად ვართ გონივრული, ცხოვრებიდან და ადამიანების ინტერესებიდან გამომდინარე ინიციატივება და იდეებისთვის, მაგრამ ჩვენ გვინდა გავიგოთ, თუ რა კონტექსტში გვთავაზობენ ურთიერთობების ნორმალიზებას“, — აღნიშნა ლავროვმა და ასევე დასძინა, რომ მოსკოვი მზადაა საქართველოსთან რეგულარული საჰაერო მიმოსვლის საკითხი განიხილოს.

„ცოტამ თუ იცის, რომ ჩვენ დაახლოებით ორი წელია, რაც ჩარტერული საჰაერო მიმოსვლა აღვადგინეთ. ცოტა ხნის წინ ჩარტერული რეისების რიცხვი გაიზარდა. მზად ვართ, რეგულარული საჰაერო მიმოსვლის საკითხი განვიხილოთ“, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

„მედიანიუსი“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სახელს იცვლის და ვანო მერაბიშვილს საპრეზიდენტო კანდიდატად ამზადებს!

ეკა სეხნიაშვილი

პოლიტიკურ ორბიტაზე ახალი პოლიტიკური სეზონი ნაახალწლევს გამოცხადდება. მართალია, ეს არის მზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, მაგრამ აქტივობა პოლიტიკური სეზონისთვის მალე დაიწყება. არსებულ პოლიტიკურ სპექტრში მეტამორფოზები, შესაძლოა, ისეთ სერიოზულ პოლიტიკურ ძალებსაც შეეხოს, როგორიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა“ მალე, ძველ პოზიციებსა და ოპოზიციურ გამოცდილებას გაიხსენებს და პოლიტიკურ კონტრშეტევაზე გადავა: ამჯერად, ახალი სახელითა და ახალი სახეებითაც. ამავე კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე მუშაობს იმიჯმეიკერულ პრინციპებზე: პარტია სახელის შეცვლას აპირებს და ეს მხოლოდ მორფოლოგიური ცვლილება არ იქნება.

პარტია, ძველ სახელთან დამშვიდობებით, ძველ შეცდომებსაც ჩამოიწერს და მასში ძველ სახეებთან ერთად, ახალ ლიდერ-პერსონებსაც ვიხილავთ. ამ იდეას „ნაცმოძრაობის“ ლიდერებში მხარდამჭერებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც. ნაწილი მიიჩნევს, რომ ძველი სახელი შეცდომებთან ასოცირდება და ,,ახალი დემოკრატიული მოძრაობა“ ან სულაც „მოძრაობა მომავლისთვის“ ან კიდევ სხვა ვარიანტი უნდა დაირქვან.

ნაწილს კი მიაჩნია, რომ ახალი სახელით დამკვიდრება შრომატევადი პროცესია პოლიტიკურ რეალობაში. უკვე დაწყებულია ძალების მობილიზება და პარტიული უფლებამოსილებების გადანაწილება, თუმცა სავარაუდოდ, სტარტს ახალი მძლავრი ოპოზიციური პარტია, სახეშეცვლილი ვარიანტით, ახალი წლის შემდგომ აიღებს. ის რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ბრძოლის უფრო მნიშვნელოვან ეტაპზე გადადის, უკვე ოფიციალურად დააანონსა პარტიის გენმდივანმა ვანო მერაბიშვილმა. შსდან მეორე დაკითხვიდან გამოსული აშკარად თამამი და პოლიტიკურად მოტივრებული იყო და, ფაქტობრივად, ტელეკამერებთან ახალი ფრონტის გახსნა ოფიციალურად გამოაცხადა. რამდენადაც მერაბიშვილი „ნაცმოძრაობის“ მაინც ყველაზე რეიტინგულ სახედ ითვლება და მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატთაგან ერთ-ერთ პერსპექტიულ ვარიანტად მოიაზრება, ივანიშვილის გარემოცვა ყველა საშუალებით ეცდება, ყოფილი შსს მინისტრი, რომლის სახელსაც პოლიციის წარმატებული რეფორმა და კრიმინალის დამარცხება უკავშირდება, აქტიური პოლიტიკური ასპარეზიდან აღკვეთოს. ამისთვის კი ერთ-ერთი გამოსავალი ციხეა, ამიტომაც ერჩიან ვანოს განსაკუთრებით. მერაბიშვილის ანალოგიური გზავნილი უკვე გააკეთა გივი თარგამაძემ, რომელიც ყოველთვის „ნაციონალების ტროცკიდ“ ითვლებოდა. „ვერსიასთან“ საუბრისას მან გამოკვეთილად განაცხადა, — ,,ახალგაზრდობას გავიხსენებთ, ოღონდ ამას მარტო ჩვენით ვერ გავაკეთებთ, როგორც მაშინ არ გაგვიკეთებია მარტო — ხალხიც ჩვენთან იყო! თუ აქამდე მივა საქმე, ხალხი ამ სიტუაციას თავის ხელში აიღებს და მათაც ისევე დავეხმარებით ტექნიკის ცოდნით, როგორც ჩვენს მეგობრებს“.

სააკაშვილის პარტია და ყოფილი მმართველი ძალა ოპოზიციის რანგში ამჯერად, ამ ტექნიკის დახვეწაზე მუშაობს: ტექნიკასთან ერთად, აუცილებლად დაიწმინდება შიდაპარტიული რგოლები. მათ შორის პარტიის სახეები, ორგანიზაციული თავმჯდომარეები და შტაბის ხელმძღვანელები. განსაკუთრებით, თბილისის მიმართულებით, რომელიც ყველაზე დიდი ჩავარდნა იყო.

სავარაუდოდ, პარტიული „ჩისტკა“ და იერარქიული დაქვეითება შეეხება მიხეილ მაჭავარიანს, რომლის ძმა — ვანო მაჭავარიანი ბიძინა ივანიშვილის აქტიური მხარდამჭერი და გულშემატკივარია და, ერთი შეხედვით, ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთი ოჯახის ორი წევრი ასეთ კარდინალურ იდეოლოგიურ სხვაობას განიცდიდეს. თუმცა მაჭავარიანი გამონაკლისი არ იქნება და „წმენდის“ პროცესს „ნაცებში“ ბევრი გაივლის.

„ნაციონალური მოძრაობა“ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ერთადერთი ძალა არ იქნება, რომელიც მეტამორფოზას განიცდის. სამომავლო პოლიტიკური ამბიციები აქვს ნინო ბურჯანაძეს, ირაკლი ოქრუაშვილს, კახა კუკავას და კიდევ რამდენიმე პარტიას. ერთხანს საუბარი პოლიტიკურ კულუარებში იმაზეც იყო, რომ ოქრუაშვილი, ბურჯანაძე და კუკავა დიდ გაერთიანებას შექმნიდნენ, თუმცა ჯერჯერობით, მხარეები ამას არ ადასტურებენ.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ თემად რჩება, სად არის შალვა ნათელაშვილი და რას აპირებენ „ლეიბორისტები“. „ვერსია“ „ლეიბორისტების“ ერთ-ერთ ლიდერს, სოსო შატბერაშვილს ესაუბრა:

— ბატონო სოსო, რა ხდება თქვენსკენ, სულ დაიკარგეთ პოლიტიკურ ორბიტაზე..

— ჩვენ, ხომ იცი, ეკა, პოლიტიკური ტაიმ-აუტი გვაქვს აღებული, არანაირ ინტერვიუებს არ ვიძლევით, არ გამოვხატავთ ჩვენს პოზიციებს. ვაკვირდებით ახალ მმართველ ძალას, ვნახოთ, დაპირებებს როგორ შეუსრულებს ხალხს და ახალი წლის მერე ავლაპარაკდებით, გავაქტიურდებით ჩვეულებრივად..

— საუბარი იყო, რომ ბატონი შალვა საქართველოდან წავიდა..

— არა, შალვა აქაა, ოფისში, კი იყო წასული ვენაში, ცოტა ხნით. ჯერჯერობით, ჩვენ აქ ვართ. ასე შეიძლება პარტიის სხვა წევრებსაც მოგვიწიოს წასვლა. პარტიაში ვიკრიბებით ხოლმე, ვსაუბრობთ და მალე საჯაროდაც ავლაპარაკდებით..

— არის საუბარი, რომ „ლეიბორისტული პარტიის“ პერერეგისტრაცია შეიძლება მოხდეს და ნათელაშვილი აღარ იყოს ლიდერი..

— ასეთი ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულა.. ბატონი შალვა იყო და რჩება ჩვენი პარტიის ლიდერად.

— საუბარი იმაზეცაა, რომ სახეები ტოვებენ პარტიას..

— არა, ნამდვილად, ჯერჯერობით, დავდივართ ოფისში და ისევ ის ხალხი ვართ, ვინც აქამდეც ვიყავით.. ასე რომ, ახალი წლის შემდგომ, ჩვენ მძლავრ ოპოზიციურ აქტივობას დავიწყებთ.

პოლიტდევნილი ბიძინა გიორგობიანი საქართველოში და კონსერვატიულ პარტიაში ბრუნდება!

მე-3 გვერდიდან

— ანუ, რევანში არ იქნება?

— რევანში, შურისძიება და სკანდალი ჩემი ცხოვრების სტილი არ არის. მე ჩემი საქმის კეთება მიყვარს.

— 9 წელია გერმანიაში ხართ, მანდაა თქვენი ოჯახი და საქმე. რას გეგმავს პოლიტიკოსი ბიძინა გიორგობიანი — საქართველოში ჩამოვა და ცხოვრებას თავიდან დაიწყებს, თუ ეს უბრალოდ, სტატუსი იქნება თქვენთვის?

— საერთოდ, ცხოვრება უკვე 5-ჯერ დავიწყე თავიდან და მეექვსედ ამის გაკეთება ძალიან გაჭირდება. ჩემი ვაჟი 3 წლის იყო, აქ რომ ჩამოვიყვანე, ახლა 20-ისაა და აქ სწავლობს. ჩემი გოგონა კი 15 წლისაა და ბერლინში დაიბადა. ისინი ამ კულტურის შვილები არიან, აქ სწავლობენ, აქ ჰყავთ მეგობრები, ასე რომ, აქედან რომ ამოვგლიჯო და ფართხა-ფურთხით სადღაც წავიყვანო, ძნელად წარმოსადგენია. თუმცა სხვა ვალდებულებები მაქვს იმ ადამიანების წინაშე, ვინც ჩემთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის 80-იანი წლებიდან. მე სხვა ვალდებულებები მაქვს, ჩემს შვილებს — სხვა, ამიტომ არ მინდა, ჩემს გარეშემო ყველამ ჩემი ცხოვრებით იცხოვროს!

— ამიტომ გეკითხებით, რას აპირებთ?

— რას და, როცა ჩემი დევნა დასრულდება, პირველ რიგში, ჩემი სახლი და დედა უნდა მოვინახულო. დედა მარტო ცხოვრობს და 9 წელია არ მინახავს. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, სადღაც იანვრის შუა რიცხვებისთვის, დაბრუნებას ვაპირებ. მერე ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

— თქვენი საქმიანობის გაგრძელებაზე გეკითხებით — დაბრუნდებით თუ არა პოლიტიკაში და ზვიად ძიძიგურის პარტიაში?

— მე სულ პოლიტიკაში ვიყავი! აქტიური პოლიტიკა ჩემი ცხოვრების წესია. თითქმის 25 წელია პოლიტიკაში ვარ და ავად თუ კარგად, შევძელი და ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ემიგრაციიდანაც ვეხმარებოდი. ასე რომ, არც აქ დავკარგულვარ, ჩემი ქვეყნისთვის, როგორც პოლიტიკოსი, რაც ძალიან რთული იყო. როცა ანალიზს ვაკეთებ, ვხვდები, რომ სხვანაირად არ შემიძლია, ამიტომ ვერ უარვყოფ, არ დავბრუნდები პოლიტიკურ სცენაზე-მეთქი.

ალბათ, არ გამომივა, ჩემთვის წყნარად ვიცხოვრო და არ მინდა, თავი მოვიტყუო. მე საქართველოში დავბრუნდები, შევხვდები ჩემს მეგობრებს, ჩამოვყალიბდები, რა ნაბიჯი გადავდგა და საით წავიდე — დიახ, მე დავბრუნდები პოლიტიკაში და ვიქნები „კონსერვატორი“! მე ვარ ადამიანი, რომელიც თხემით ტერფამდე „კონსერვატორია“, ამიტომ სხვა პარტიული კუთვნილებისა, უბრალოდ, არ შემიძლია ვიყო. ჩემთვის მთავარი დრო წარსულია, საიდანაც მე ძალასა და ენერგიას ვიღებ!

— ახლა რაღა გააჩერებ „ნაციონალებს“ — საქართველოში გიორგობიანის სახით, წარსულის კიდევ ერთი გადმონაშთი ბრუნდებაო.

— ეგენი ჩემს წარსულს თვალს თუ გადაავლებენ და კარგად შეისწავლიან, ნახავენ, რომ ის არც ისე ცუდია.

— თუმცა, მათი თქმით, კარგად რომ შეისწავლეს, ამიტომაც აღმოჩნდით გერმანიაში.

— იცით, რა, მათაც მოვუწოდებ, რომ იმ წარსულში დაბრუნდნენ, საიდანაც მე მოვდივარ და იქნებ, ხელახლა აიდგან ფეხი და ადამიანებს დაემსგავსონ!

ვერსიანიუსი

როგორი კონფიგურაცია ექნება „ქართულ ოცნებას“ მომავალ არჩევნებზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ რომელი პოლიტიკური ძალებიც მოახერხებენ საზოგადოების მეტი ნაწილის დარწმუნებას, მომავალ არჩევნებზე იმ ძალას ექნება მეტი წარმატება, თუმცა ჯერ ნაადრევია მომავალი არჩევნებისთვის „ქართული ოცნების“ კონფიგურაციაზე საუბარი.

როგორც უსუფაშვილმა თავისუფალი დემოკრატების ყრილობის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, გასულმა საპარლამენტო არჩევნებმა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სერიოზული ცვლილებები შეიტანა.

„ამ ცვლილებებიდან გამომდინარე, რომელი პოლიტიკური ძალები მოახერხებენ ახალი ენერგიის მოზიდვას და დარჩენას პოლიტიკურ ასპარეზზე, ამის თქმა მე არ შემიძლია.

ვინ იქნება ოპოზიციაში, როგორი კონფიგურაცია ექნება თვითმმართველობისა თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მრავალპარტიული დემოკრატიული სისტემა ქვეყანაში უნდა ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის და არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის. ასე რომ, თავისუფალ პოლიტიკურ კონკურენციაში, რომელი პოლიტიკური ძალებიც მოახერხებენ საზოგადოების მეტი ნაწილის დარწმუნებას, მათ ექნებათ წარმატება“, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

„მედიანიუსი“

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

გია უჩავა: „რადგან პროკურატურამ ჩემთვის ვერ მოიცალა, „ვერსიაში“ მიცემული ჩემი ინტერვიუები პროკურატურამ მიიღოს ჩვენებად!“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

პატიმარი გენერალი შიმშილობას აგრძელებს და გასაიდუმლოებული ჩვენების დეტალებს იხსენებს

ორი-სამი დღეა, ბადრი ბიწაძე პოლიტიკური დევნილია. ეს კონკრეტულად ერთი ადამიანის, გია უჩავას დამსახურებაა, რომლის მეორე, ამჯერად ნამდვილი აღიარებითი ჩვენება ბიწაძის საქმეში ჩაიდო და ბესელიას კომისიისთვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი არგუმენტი გახდა ბიწაძის პოლიტიკური ნიშნით დევნილად გამოცხადებისთვის. რატომ მოხდა ისე, რომ ნაწამები უჩავა პოლიტპატიმარი არ არის და ბადრი ბიწაძე, რომელიც 26 მაისის მერე ავსტრიაში უზრუნველად ცხოვრობს, პოლიტდევნილია?! მოკლედ, ამაზე ბევრიც ითქვა და ბევრიც დაიწერა, თუმცა არ ვიცით თავად გია უჩავას პოზიცია — მართლა შეგზავნეს თუ არა სახალხო კრებაში სიტუაციის ასარევად, ვის და რისთვის წვრთნიდა სინამდვილეში გენერალი, გამოიყენეს თუ არა ერთმა მხარემ ჯერ ბიწაძის წინააღმდეგ, ახლა მეორე მხარემ ბიწაძის დასახმარებლად — „ვერსიის“ რამდენიმე კითხვებს მოშიმშილე პატიმარი, გენერალი გია უჩავა გლდანის მერვე საპყრობილედან პასუხობს და პროკურატურას მისი ინტერვიუს ოფიციალურ ჩვენებად გამოყენებას სთხოვს:

— სახალხო კრებაში „შეფიცულთა“ მოსამზადებლად მიხვედით, ჩვენებაში კი ყვებით, რომ მათთან ერთად შეიარაღებული თავდასხმები მზადდებოდა ხელისუფლების გადატრიალების მიზნით. სინამდვილეში, რას საქმიანობდით „კრებაში“ და იყო თუ არა თქვენი იქ მისვლა ირაკლი ბათიაშვილის იდეა?

— 2011 წლის 4 იანვარს ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმა შემომთავაზა, კოორდინაცია გამეწია ე.წ. ქომაგთა ინსტიტუტისთვის, რაც „შეფიცულებად“ შექმნამდე გაკეთდა. „შეფიცულების“ შექმნის მიზანი გახლდათ: 1. ფართომასშტაბიან აქციებამდე სახალხო კრების ოფისებში მორიგეობა. 2. მოძრავი აქციების ჩატარება (აქციები ავტომობილებით) 3. სააგიტაციო მასალების გავრცელება. 4. აქციის ტერიტორიაზე პროვოკაციების საწინააღმდეგო პრევენციის ჩატარება. კვებისა და სამედიცინო დახმარების ორგანიზება აქციის მონაწილეთათვის. 5. ბიოტუალეტების ორგანიზება და აქციის ტერიტორიის დასუფთავება. 6. აქციის მონაწილეთა დაცვა აქციის მიმდინარეობისას ზონდერ-ჯგუფებისგან. სხვა არავითარი ამოცანა არ გააჩნდათ და არც სხვა რაიმე მითითება ჰქონიათ.

ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლაზე არც საუბარი ყოფილა, არც მითითება, არც ერთ დონეზე. ეს ფიქრადაც არავის ჰქონია და მე, პირადად, ამას ვეთანხმებოდი. შესაბამისი იყო ჩემი ქმედებებიც – მსგავსი მითითება არასდროს გამიცია.

— თქვენ აქციიდან გაგიტაცეს და თავად ეს ფაქტი უცნაურად გამოიყურებოდა — „შეფიცულებით“ იყავით გარშემორტყმული, როცა მანქანით წაგიყვანეს. გავრცელდა აზრი, რომ „კრებაში“ „ნაციონალების“ შეგზავნილიც კი იყავით.

— რაც შეეხება გატაცებას, 2011 წლის 22 მაისს, დილის 6 საათისთვის ირაკლი ბათიაშვილი ტრიბუნაზე იმყოფებოდა. ვთხოვე, აქციის მიმდებარე ტერიტორიის დასასუფთავებლად ცოცხები შემოეტანათ, უკან მობრუნებულმა, იქვე დაგდებული პლასტმასის ბოთლი ავიღე და ურნისკენ წავედი. ორ ნაბიჯში, ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საცხოვრებელ კორპუსს შორის მდებარე ქუჩიდან შემოვარდა მუქი ფერის „ფოლკსვაგენი“ და ჩემს წინ გაჩერდა. იქიდან 3 ადამიანი გადმოხტა და წინა სავარძელზე შემაგდეს. ერთ-ერთი ზემოდან დამაჯდა. ამ დროს მძღოლს მანქანა ჩაუქრა და აშკარად მესმოდა ხმები, როგორ ურტყამდნენ მანქანას აქციის მონაწილეები, თუმცა ვერაფერს ვხედავდი... რაც შეეხება რაღაც გარიგებას — არავითარი გარიგება არ ყოფილა! ერთი ახალგაზრდა მახლდა, რომლის სახელიც არ მახსოვს. ჩემს გარშემო სხვა არცერთი „შეფიცული“ არ ყოფილა. როგორც მე ვიცი, თქვენი თვალით გიხილავთ, როგორ გამომიყვანეს აქციიდან მანქანით და სხვა მანქანაში გადამსვეს.

— სახალხო კრება და ნინო ბურჯანაძე მოღალატე გენერალს ჩვენების მიცემის გამო გეძახდნენ...

— მე რომ „სახალხო კრებაში“ შეგზავნილი ვყოფილიყავი, განა, დღესაც ციხეში ვიჯდებოდი?!

— ამბობდით, ხელისუფლებას ნინო ბურჯანაძის ინტერესი ჰქონდა და არა — ბადრი ბიწაძისო. როგორ მოხდა ისე, რომ საბოლოო ჯამში, სწორედ თქვენი ჩვენების საფუძველზე გამოცხადდა ბიწაძეზე სამართლებრივი დევნა?

— რატომ ჰქონდათ ნინო ბურჯანაძის და არა ბადრი ბიწაძის ინტერესი?! ეს კითხვა „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუსვით. რაც შეეხება იმას, რატომ გამოცხადდა ბადრი ბიწაძეზე სამართლებრივი დევნა და რატომ მაიძულებდნენ, ჩვენება მის წინააღმდეგ მიმეცა — მათ ჩემი პირით სჭირდებოდათ ეს ჩვენება, როგორც ნინო ბურჯანაძეზე ზეწოლის მექანიზმი.

— თქვენს ჩვენებას თქვენი არც ერთი ადვოკატი არ ესწრებოდა, გავრცელდა ხმა, რომ ეს ჩვენება დაგიწერეს და დაგაზეპირებინეს. რეალურად, რა თქვით ასეთი ამ ჩვენებაში, რომელიც ბოლომდე არავის უნახავს?

— ამჟამად, დეტალები ნამდვილად არ მახსოვს, თუმცა

> **ჩემს ჩვენებაში ძირითადი აქცენტი იმაზეა გამახვილებული, თითქოს, ბადრი ბიწაძე და მე „შეფიცულებს“ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ვამზადებდით. ვადასტურებ, რომ ბადრი ბიწაძის სასამართლომდე რამდენიმე საათით ადრე, პროკურორმა საპყრობილეს რეჟიმის უფროსის, ოლეგ ფაცაციას კაბინეტში რამდენჯერმე წამაკითხა „ჩემი ჩვენება“, ამომაწერინა გვარები, რომლებიც ვითომ, მე მივამაგრე და შევახვედრე ბადრი ბიწაძეს პოლიციელებისთვის პროვოკაციის მოსაწყობად. სინამდვილეში, ეს ხალხი საერთოდ არ შეხვედრია ბიწაძეს! მათ დავალებული ჰქონდათ სცენის „ტრაილერის“ მომსახურება. ეს ის ხალხი იყო, ვინც მერე ჩემი და ბიწაძის წინააღმდეგ თავად მისცა ჩვენება.**

— თქვენი დაჭერის მერე, ჩემთვის ცნობილია, რომ ბურჯანაძის მხარესთან დაკავშირებას ახალი ხელისუფლების მოსვლამდე ცდილობდით. მას უთვლიდით, სიმართლეს ვიტყვიო. როგორ ფიქრობთ, აქამდე რატომ არ მოინდომა ბურჯანაძემ ბადრი ბიწაძის რეაბილიტაცია?

— შესაძლებელია, ეს ინფორმაცია საერთოდ არ მივიდა ბურჯანაძემდე (არ უთხრეს). ვერაფერს გეტყვით. თუ არ იცოდნენ ჩვენი მზაობის შესახებ, მაშინ როგორ დაიწყებდნენ რეაბილიტაციის პროცესს.

— ახლა რას ელოდებით პროკურორისგან, რომელსაც, ჯერჯერობით, თქვენს განცხადებაზე, ეს საქმე თავიდან გამოიძიოს, არანაირი რეაგირება არ მოუხდენია, იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა, დათა ახალაიას წინააღმდეგ რეალური მოწმე აღმოჩნდეთ?

— ალბათ, პროკურატურა ძალიან დაკავებულია! მე რეალური მოწმე და დაზარალებული ვარ კრიმინალური ხელისუფლებისგან, რომლის სათავეში სააკაშვილი იდგა! ჩემს მიმართ ეს უკანონობები დათა ახალაიამ, სოსო თოფურიძემ და კუდ-ის უწყების სხვა თანამშრომლებმა დაგეგმეს და განახორციელეს.

> **რადგან პროკურატურამ ჩემამდე მოსასვლელად ვერ მოიცალა, ახლა მე მიწევს ჩვენების მიცემა პრესის მეშვეობით. ჩემი და ჩემი ადვოკატის, კახაბერ მუმლაძის მიერ „ვერსიაში“ მიცემული ინტერვიუები პროკურატურამ მიიღოს (ჩათვალოს) ჩვენებად!**

— თუ ბურჯანაძეცა და „კრებაც“ აღიარებენ, რომ თქვენი ჩვენება წამებითაა მოპოვებული, მაშინ რატომ გახდა პოლიტდევნილი ბადრი ბიწაძე და თქვენი, როგორც პოლიტპატიმრის გვარი, ნინო ბურჯანაძემ ეკა ბესელიას კომისიას რატომ არ გადასცა სხვა 7 გვართან ერთად?

— თუ ნინო ბურჯანაძე და „კრება“ აცხადებენ, რომ ჩვენება ჩემგან წამებითაა მიღებული, რასაც მეც ვადასტურებ, მაშინ მეც რატომ არ ვარ პოლიტპატიმართა სიაში?! არ ვიცი! თუმცა თავს უკანონო პატიმრად უფრო მივიჩნევ.

— მას მერე, რაც ციხეში ხართ, თქვენ და დაცვის პროგრამაში აყვანილი თქვენი ოჯახი არავის მოუკითხავს. რატომ მიატოვა ყველამ გია უჩავა?

— ჩემი ოჯახი მძევლად იყო აყვანილი და მათი ყველა კონტაქტი კონტროლდებოდა კუდ-ის თანამშრომლების მიერ, რომლებიც 5 თვის განმავლობაში, ჩემს ოჯახში იყვნენ შესახლებულნი. ამის გამო, ახლობლებიც კი შეშინებულები იყვნენ, მაგრამ ე.წ. დაცვის მოხსნის შემდეგ, ახლობლების ურთიერთობა ჩვენს ოჯახთან ჩვეულებრივ რეჟიმში აღდგა. „კრებასა“ და პოლიტიკურ ლიდერებს კი ნამდვილად არ მოუკითხავთ ჩემი ოჯახის მდგომარეობა.

— და ნინო ბურჯანაძეს რატომ გაახსენდით მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის მერე? არის თუ არა ეს გარიგება მათ შორის და ემსახურება თუ არა ერთადერთ მიზანს, რისთვისაც თქვენ გამოგიყენეს — ბადრი ბიწაძის რეაბილიტაციას?

— გაურიგდა თუ არა ნინო ბურჯანაძე ახალ ხელისუფლებას, ეგ მე საიდან უნდა ვიცოდე? მიუხედავად იმისა, რომ მე ვარ უკანონოდ დაკავებული და ჩემგან ძალადობრივი მეთოდებით აქვთ მიღებული მათთვის სასურველი ჩვენება, ამის საფუძველზე მაინც გამასამართლეს და 2 წელიც მომისაჯეს! მე არ ვითხოვ ჩემს დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ამისთვის მთავარ პროკურატურაში განცხადება გვაქვს შეტანილი და მინდა, ჩემი უდანაშაულობა თავისუფალ სასამართლოში დავამტკიცო. თუმცა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ მსჯავრდებულს 6 თვე აქვს დარჩენილი, მას შეუძლია, ვადაზე ადრე გათავისუფლება მოითხოვოს, რაზეც სიტყვიერი უარი მითხრეს და წერილობით პასუხს არ მაძლევენ. თუ განიხილეს, უარი რატომ მითხრეს, საბაბი რა აქვთ? თუ არ განუხილავთ, რატომ არ იხილავენ? წინა ხელისუფლებამ საბაბად მოიმიზეზა ქულების რაოდენობა — მოკლედ, ისინი ჩემს გაშვებას არ აპირებდნენ. ხოლო ახალი ხელისუფლება რატომ აჭიანურებს ჩემი საკითხის გადაწყვეტას, გაურკვეველია და პასუხს ვითხოვ! თუ 1-ელ სექტემბრამდე სააკაშვილის პირადი პატიმარი ვიყავი (რადგან სხვა ვერავინ გასცემდა უდანაშაულო გენერლის დაპატიმრებისა და მისგან, ძალის გამოყენებით, სასურველი ჩვენების მიღების ბრძანებას), ახლა ახალი ხელისუფლების პირობებში ვისი პირადი პატიმარი ვარ?!

დავით კაკაბაძის წინააღმდეგ საქმე 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 118-ე მუხლის მესამე ნაწილით აღიძრა

პროკურატურამ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, დავით კაკაბაძის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 118-ე მუხლის მესამე ნაწილით აღძრა.

ამის შესახებ მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში მოქალაქე მამუკა შარაშენიძის დევნისა და ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ფაქტზე საქმის გამოძიება დაიწყო. გამოძიებით დადგინდა, რომ 2012 წლის 23 სექტემბერს, ციხის სკანდალური ფაქტების გამოქვეყნების შემდეგ, მოქალაქე მამუკა შარაშენიძემ ვანში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, ხმამაღლა გააპროტესტა ეს ფაქტი. მამუკა შარაშენიძის მიერ კრიტიკული მოსაზრების გამოთქმის შესახებ ცნობილი გახდა „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი აქტივისტებისათვის. იმავე დღეს, დაახლოებით 21:00 საათზე, მამუკა შარაშენიძე მიიყვანეს ვანში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ვანის ოფისის შენობაში, სადაც ერთ-ერთ სამუშაო ოთახში, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით კაკაბაძემ, მამუკა ლეჟავამ და სხვა პირებმა (დაახლოებით ათამდე პირმა) გამოთქმული მოსაზრებისა და საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირების გამო, სასტიკად სცემეს ეს უკანასკნელი. გაუტეხეს ცხვირი, ჩაუმტვრიეს ნეკნი და მიაყენეს სხეულის დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით.

2012 წლის 8 დეკემბერს, დავით კაკაბაძეს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დევნა ძალადობით) და 118-ე მუხლის მესამე ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ჩადენილი ჯგუფურად), რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე (დევნა ძალადობით) და 3 წლიდან 5 წლამდე. (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ჩადენილი ჯგუფურად). მართალია, არსებობს დავით კაკაბაძის დაკავების კანონიერი საფუძველი, მაგრამ ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე, პროკურატურა აპირებს, მიმართოს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შერჩევის შესახებ. დავით კაკაბაძე სამი დღის განმავლობაში იწვა საავადმყოფოში, თუმცა საქმეში დევს ექიმის მიერ გაცემული ცნობა, რომ ის რაიმე სერიოზული დაავადებით არ ყოფილა მოთავსებული სტაციონარში და მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია. გამოძიება სასამართლოში მისი დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების საკითხს დააყენებს“.

„პირველი“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

დავით ონოფრიშვილი დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს პოლიტიკური მოტივაციით ქმნის

საქართველოს პარლამენტის წევრის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ონოფრიშვილის ინიციატივით, დაზღვევის სახელმწიფო კომპანია იქმნება. მოქმედი კანონმდებლობით, სადაზღვევო კომპანიებს ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი, მაგრამ ცვლილების მიხედვით, ეროვნულ ბანკს ეს უფლება ჩამოერთმევა და სადაზღვევო სექტორს რეგულირებას დამოუკიდებელი, ოღონდ სახელმწიფო კომპანია გაუწევს. დაზღვევის სახელმწიფო მარეგულირებელი კომპანიის შესაქმნელად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 700 000 ლარი გამოიყოფა. ახალ ინიციატივაზე მსჯელობა საქართველოს პარლამენტში მიმდინარე კვირაში გაიმართება, ხოლო კანონი ძალაში 2013 წლის 1 მარტიდან შევა.

რა უნდა ბიძინა ივანიშვილს — სადაზღვევო სფეროს რეალური კონტროლი, თუ ეროვნული ბანკის მიზანმიმართული ნგრევა?!

ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, ცვლილებები შევა საქართველოს ორგანულ კანონში ეროვნული ბანკის შესახებ, კანონში დაზღვევის შესახებ, ასევე კანონში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ და კანონპროექტში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ.

„საქართველოს ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, საგადასახადო სისტემის ოპერატორისა და საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობას ამ ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე“.

განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ეს კანონპროექტი შემუშავებულია ქვეყანაში სადაზღვევო სფეროს დამოუკიდებელი, სახელმწიფო მარეგულირებლის შესაქმნელად: **„კანონპროექტის მიღების მიზეზია, საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო სტრუქტურული ქვედანაყოფის, დაზღვევის ზედამხედველობის განყოფილების რეორგანიზაცია დამოუკიდებელ სახელმწიფო მარეგულირებლად (როგორც ეს მიღებულია, მსოფლიოს ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში), მისი ამოცანებისა და ფუნქციების მკაფიო ჩამოყალიბება, რომელიც უპასუხებს თანამედროვე ეკონომიკურ შეხედულებებს, რომლის წინაშეც არის დღეს საქართველოს სადაზღვევო ბაზარი (ინდუსტრია). ცნობისათვის: დაზღვევის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობის ფუნქციას 1997 წლიდან 2007 წლამდე, ამ მიზნისთვის შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურა — საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ახორციელებდა, რომლის კანონმდებლობა გერმანიის, საფრანგეთის და სხვა წამყვანი ქვეყნების დახმარებით იქმნებოდა“.**

2007 წელს, როდესაც საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო ჩამოყალიბდა, რეგულირებისა და კონტროლის თვალსაზრისით, მასში ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი — სადაზღვევო, საბანკო და ფასიანი ქაღალდების დარგები გაერთიანდა. დავით ონოფრიშვილი აზუსტებს, რომ ამან მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა სადაზღვევო საქმიანობაში, ამიტომ კანონპროექტის მიზანია, სახელმწიფო დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა უზრუნველყოს სადაზღვევო სექტორის დამოუკიდებლობა, სტაბილურობა და გამჭვირვალობა, ასევე ხელი შეუწყოს ქვეყანაში სადაზღვევო ინდუსტრიის ეკონომიკურ ზრდას. განახორციელოს სადაზღვევო ბაზრის მონაწილეების (დამზღვევი, დაზღვეული, მოსარგებლე, მზღვეველი, გადამზღვეველი) ინტერესების დაცვა და მეთოდოლოგიურ-საკონსულტაციო საქმიანობის სრულყოფა სადაზღვევო სფეროში. მას შემდეგ, რაც ეს ცვლილებები ძალაში შევა, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და გადამზღვეველი კომპანიების საქმიანობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციები გაუქმდება. სამაგიეროდ, შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) — „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“. კანონპროექტის თანახმად, სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიას სწორედ ახლადშექმნილი სახელმწიფო სამსახური გასცემს:

„საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციებია: დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. ამ ფუნქციების განსახორციელებლად კი დაზღვევის სახელმწიფო სამსახური სადაზღვევო საქმიანობას განაზოგადებს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას შექმნის. რაც მთავარია, შეიმუშავებს ახალ კანონპროექტებს, ან უკვე არსებულში ცვლილებებსა და დამატებებს შეიტანს“.

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია: გასცეს და გააუქმოს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია; განახორციელოს სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაცია და რეგისტრაციის გაუქმება; ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას და შეამოწმოს ისინი, შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და სხვა მასალები, რისთვისაც შეუძლია მზღვეველისგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; მზღვეველის მიმართ გამოიყენოს ამ კანონით განსაზღვრული სანქციები; აწარმოოს მზღვეველთა და სადაზღვევო ბროკერთა რეესტრი; განსაზღვროს მზღვეველის კაპიტალის სახეები, სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე მათი მინიმალური ოდენობა და გაანგარიშების წესი; დაადგინოს სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის, აგრეთვე სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივებისა და მათი სტრუქტურის განსაზღვრის წესი; დაადგინოს სადაზღვევო ორგანიზაციისთვის შიდა აღრიცხვის მოთხოვნები; განსაზღვროს მზღვეველის აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა; განსაზღვროს მზღვეველის კაპიტალსა და ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა; განსაზღვროს მზღვეველის გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშების წესი; შექმნას მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო დოკუმენტაცია სადაზღვევო საკითხების შესახებ; შეიმუშაოს და მიიღოს ნორმატიული აქტები სადაზღვევო საქმიანობის რეგულირების შესახებ; მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მზღვეველის, როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ; მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მზღვეველის კაპიტალის წარმოშობის შესახებ; დაადგინოს მზღვეველის ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები და მათი წარდგენის პროცედურა; ითანამშრომლოს უცხო ქვეყნის საზედამხედველო ორგანოსთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რაც შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის გაცვლას და ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის დადებას; გამოაქვეყნოს სადაზღვევო ბაზრის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია; დაადგინოს სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის წესი; დაადგინოს მზღვეველის ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესი.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური 1997 წელს შეიქმნა და 2007 წლამდე ფუნქციონირებდა. ამ სამსახურის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე იყო, რომელიც 1997 წლიდან 2000 წლამდე, სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

„თავისთავად, უსაფუძვლოა მსჯელობა, კარგი იყო, თუ ცუდი ის, რომ სადაზღვევო კომპანიების ზედამხედველობას საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა. ცხადია, არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ დაზღვევის სახელმწიფო სამსახურის შექმნით, აუცილებლად რაღაც გაფუჭდება და ეს მაინცდამაინც, კორუფციის წყარო იქნება. მთავარია, ხმამაღლა ვთქვათ, საითკენ მიდის ქვეყანა — სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურების გამსხვილებისკენ, თუ პირიქით, დივერსიფიკაციისკენ. ნებისმიერ შემთხვევაში, მეტი კონკრეტიკაა საჭირო, რაც კანონპროექტის ინიციატორისგან ჯერ არ მომისმენია“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას **ლევან კალანდაძე**.

სავარაუდოდ, ამ ტიპის კონკრეტულ მსჯელობას პარლამენტის შესაბამის კომიტეტში მხოლოდ მას შემდეგ მოვისმენთ, რაც ახალი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის პროცედურა დაინყება. ნებისმიერ შემთხვევაში, მიზეზი, რის გამოც 2007 წელს, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გაუქმდა და ეს ფუნქცია ეროვნულ ბანკს გადაეცა ის იყო, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ ბიზნესი სახელმწიფოს ზედმეტი რეგულაციებისგან გაათავისუფლა. თუმცა იმის გამო, რომ თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანია საფინანსო ინსტიტუტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, აუცილებელია მისი რეგულირება. საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების სახეებია კომერციული ბანკები, სადაზღვევო, ასევე საფინანსო და საკრედიტო კომპანიები. შესაბამისად, სრულიად ლოგიკურია და ეკონომიკის თეორიაშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასურველია, ყველა ამ სფეროს სწორედ ეროვნული ბანკი არეგულირებდეს.

ლევან კალანდაძე ამბობს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საკმაოდ კარგად ახორციელებდა სადაზღვევო სფეროს რეგულირებას, რადგან ქვეყნის მთავარმა ბანკმა შეიმუშავა და დახვენა მთელი რიგი ნორმატიული აქტები. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ სწორედ ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშ გაჩნდა პრობლემები დაზღვევის ბაზარზე, ამ ყველაფრის უგულებელყოფაა. თუმცა ლევან კალანდაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავარია, საზოგადოებამ გაიგოს, რა უფლებრივი მდგომარეობა ექნება ახლადშექმნილ სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს.

ზოგადად, ევროპის ქვეყნებში მიღებულია, რომ სადაზღვევო სფეროს დამოუკიდებელი სამსახური არეგულირებს, რომელიც ზოგ ქვეყანაში ფინანსთა, ზოგან — ეკონომიკის სამინისტროების, ზოგან კი — ეროვნული ბანკის ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე და ამ ცვლილების ინიციატორი დავით ონოფრიშვილი, კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნავს, რომ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გერმანიისა და საფრანგეთის მოდელის გათვალისწინებით იქმნება. არადა, ლევან კალანდაძე ამბობს, რომ იმყოფებოდა გერმანიაში და ძალიან კარგად იცის, დაზღვევის რა მოდელი მოქმედებს იქ. მისი გერმანიაში ვიზიტის მიზანი სწორედ ის იყო, რომ საქართველოში, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური შექმნილიყო. სხვათა შორის, გერმანიის დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში ფუნქციონირებს:

„რატომღაც მგონია, რომ დაზღვევის სახელმწიფო რეგულირების სამსახურის შექმნას პოლიტიკური სუნი ასდის, რადგან ეს ზუსტად ის სფეროა, რომელსაც ახალი ხელისუფლების ეკონომიკური გუნდი ვერ აკონტროლებს. იმის გამო, რომ სადაზღვევო სფეროს ეროვნული ბანკი არეგულირებს, ხელისუფლებას არ გააჩნია უფლებამოსილება, აქ საკუთარი კადრი დანიშნოს, შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას უფრო პოლიტიკური ელფერი დაკრავს, ვიდრე შედეგზე ორიენტირებული და ეკონომიკურად დასაბუთებული ანალიზი“, — მიაჩნია ლევან კალანდაძეს.

ძნელია იმის მტკიცება, კარგია ამ ტიპის ზედამხედველობის სამსახურის შექმნა, თუ არა, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირადად მე, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლება შეგნებულად ცდილობს ეროვნული ბანკის ფუნქციის შესუსტებას, რათა ავტომატურად დადგეს ქვეყნის მთავარი ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის იმპიჩმენტის საკითხი. მოტივი სრულიად ნათელია — საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ამ პოსტზე „ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორი, ნოდარ ჯავახიშვილი წარადგინა.

ვერსიანიუსი

„საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი 11 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს“

ენერგეტიკული ექსპერტების გათვლებით, ქვეყანაში ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება 6,64 თეთრითაა შესაძლებელი. როგორც ენერგეტიკოსები განმარტავენ, საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი 11 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს. ენერგეტიკოსებმა, არასამთავრობო სექტორთან ერთად, ქვეყანაში ელექტროენერგიის ტარიფის დეტალური კალკულაცია უკვე მოახდინეს და შედეგებს უახლოეს ხანებში მთავრობას გააცნობენ.

„შევჯერდით ტარიფის შემცირების შესახებ, რომლის მარჯაც მთლიან ტარიფში 6,64 თეთრს შეადგენს, ანუ მოსახლეობის ზედა ზღვარი გადასახდელი იქნება 8,20 თეთრი დღგ-ს გარეშე. რაც შეეხება დღგ-ს ის უკვე დამოკიდებულია სახელმწიფოზე, მთავრობაზე, თუ რამდენად შეამცირებს. ყველა შემთხვევაში არსებული ტარიფი 11 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს“, — აცხადებს „ენერგეტიკის კავშირის თავმჯდომარე მირონ ფირცხველიანი.

შეგახსენებთ, რომ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა უკვე განაცხადა, რომ ტარიფის შესახებ დეტალები მომავალი კვირის დასაწყისში გახდება ცნობილი.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

ნოღაიდელი პროკურატურას ადეიშვილ-მერაბიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულობების კვალზე გაიყვანს!

ჯიუტი პრემიერი, კარგი ფინანსისტი, პრორუსი პოლიტიკოსი თუ პარტიის პოსტიდან გადაყენებული თავმჯდომარე — ზურაბ ნოღაიდელის გარშემო ამ წლების განმავლობაში მუდმივად ერთი პოლიტიკური სკანდალი მაინც იყო, მაგრამ ექსპრემიერი იმითიც კმაყოფილია, რომ „ნაციონალებთან“ ერთად პოლიტიკურ სანაგვეზე ყოფნას თავი აარიდა და ახლა, მთავარ პროკურატურაში ადეიშვილ-მერაბიშვილის კვალზე „გამყვანი“ საქმეები შეიტანა. „48 წლის ასაკში არაფერი იცვლება — ჯიუტად გეუბნებით, ჩემი ყველა გადაწყვეტილება სწორი იყო“, — აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი და „ვერსიის“ კითხვებს პასუხობს:

— ის საქმეები, რაც პროკურატურაში შევიტანეთ, რიგითი რომ ყოფილიყო, ამ თემებით საზოგადოებას არც შევაწუხებდი, მაგრამ გამოძიების სწორად ჩატარების შემთხვევაში, ერთი მხრივ, ზურაბ ადეიშვილზე, მეორე მხრივ — მერაბიშვილზე შეიძლება გავიდეთ. არც პარტიის დაბრუნებაზე ვისაუბრებ ბევრს, უბრალოდ, ჩატარდა უკანონო ყრილობა, მოხდა უკანონო რეგისტრაცია და დაიწყო სასამართლო პროცესების სერია, სადაც თვალის ერთი გადავლებითაც ჩანდა, როგორ კოორდინირებულად მოქმედებდნენ აგენტები, მოსამართლეები და პროკურორები.

— რატომ, რადგან სერგო ჯავახიძემ სასამართლო მოგიგოთ?

— რა მომიგო, რო? ამ ზაფხულში, ერთდროულად, ორი ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: თურმე, რომან კუსიანს არ ჰქონდა უფლება, „ქართული ოცნებისთვის“ 60 000 ლარი შეწირა, მე კი ჩემი პარტიის ვალი, 300 000 ლარი შეიძლება მქონოდა, რაც კანონით დაშვებულ ზღვარზე ბევრად მეტია. თუ თქვენ გინდათ, საუბარი იქით წაიყვანოთ, თითქოს ეს არის დაპირისპირება ჩემსა და სერგო ჯავახიძეს შორის, მაშინ ახლავე დავასრულოთ ინტერვიუ! ამ საქმეში ზურაბ ადეიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება.

იუსტიციის მინისტრის პასუხისგებაში მიცემა კი უბრალო საქმისთვის არ ღირს, ამას პირდაპირ ვამბობ — ეს მათი რეაბილიტაციის ტოლფასია! კეთილი ინებოს დღევანდელმა მთავრობამ და, აღმოაჩინოს ის მთავარი დანაშაული, რაშიც ეს მაღალჩინოსნები იყვნენ ჩართულნი. მათ ჩადენილი აქვთ ისეთი სერიოზული პოლიტიკური დანაშაული, რაც დიდ თანხებთან, ან მკვლელობებთანაა დაკავშირებული, ასე რომ, პასუხი სწორედ ამ საქმეებზე უნდა აგონ და არა მხოლოდ 3000 ლიტრ ბენზინსა და მეორე პასპორტზე. სააკაშვილის ბინძურ ტვინში რევანშის იდეა ისევ ტრიალებს და მას ჯერ კიდევ აქვს ამის შესაძლებლობა.

ახალი მთავრობა რას თათბირობს, არ ვიცი, მაგრამ ყველანი ვხედავთ, რომ მისი დროის 90% „ნაციონალების“ მოგერიებაზე მიდის, ნაცვლად საგარეო თუ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დალაგებისა.

— და თქვენი როლი რა იქნება ძველის წინააღმდეგ ახალი ხელისუფლების დახმარების პროცესში — მხოლოდ პროკურატურაში შეტანილი 2 საქმე?

— ჩემს განსაკუთრებულ როლს არც არავის ვთავაზობ. არ უარვყოფ, რომ ამ საქმეთა გარკვევა ჩემი ინტერესიცაა, თუმცა, მათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, თორემ ჩემი მთავარი მიზანი პარტიის დაბრუნება არ არის. ამით არც არავის ვებოდიშები და არც იმით ვაშინებ, პოლიტიკაში ვბრუნდები-მეთქი, უბრალოდ, ამ ეტაპზე, ვიცი, რომ არ ვაპირებ პარტიის თავიდან გაკეთებას. რეალურად, ბევრს უნდოდა ხელისუფლებაში მოსვლა, თუმცა, ვერავინ შეძლო ის, რაც „ქართულმა ოცნებამ“.

— რომელმაც სააკაშვილს თქვენს მაგივრად მიამტვრია ხელ-ფეხი!

— დიახ, თუნდაც! ამიტომ, ახლა სააკაშვილის მოშორების პროცესი ბოლომდე უნდა მიიყვანონ და მათი უახლოესი პერიოდის მთავარი ამოცანა ის უნდა იყოს, სააკაშვილს რევანშზე ფიქრი საერთოდ შეაწყვეტინონ!

— თუ პარტიის დაბრუნება არაა რევანში თქვენი მხრიდან, მაშინ პარტია რაში გჭირდებათ, როცა პოლიტიკურ აქტივობას არ გეგმავთ?

— მარტო ამაში რომ იყოს საქმე, საჯარო პრესკონფერენცია არ დამჭირდებოდა და არც თქვენ შეგაწუხებდით, ამას, როგორმე, თავად მივხედავდი, მით უმეტეს, დღეს. თან პოლიტიკური აქტივობისთვის ძველი, დისკრედიტებული პარტია არაფერში მჭირდება, როცა ახალ ხალხთან ერთად, ახალ პარტიას ერთ კვირაში დავაფუძნებ. საქმე ისაა, რომ მინდა, არა მხოლოდ შემსრულებლების, არამედ დამკვეთების როლიც გამოიკვეთოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სააკაშვილის სატელიტური პარტიების ლუსტრაცია მოხდეს. იქნებ, მარტო მე დავარქვი ამ ხალხს აგენტები, ხომ უნდა გავიგოთ, სინამდვილეში ვინ ვინაა? ეს კი იმიტომაც უნდა გავაკეთოთ, რომ იგივე ხალხი ხვალ, თუნდაც „ქართულმა ოცნებამ“, არ გამოიყენოს თავისი პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად!

— რჩება კიდევ ერთი კითხვა ძველ პარტიაზე — როცა ჯავახიძემ სასამართლო მოგიგოთ, თქვენ ცოლზე მთელი უძრავ-მოძრავი ქონება მართლა გადააფორმეთ?

— როცა აღსრულების საკითხი დადგა, ამის გაკეთება მართლა დავიწყე, მაგრამ ვერ მოვასწარი, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, ამით რა? მარტო ამითაც ჩანს, რომ ჩემს წინააღმდეგ მთელი სახელმწიფო მანქანა იყო კოორდინირებული. დღეს ასეთი ვითარებაა — ჩემი ქონების ნაწილი გაყიდულია, ნაწილი — დაყადაღებული, მაგრამ ეს არაა პრობლემა. ყველაფერი მოგვარების პროცესშია.

— თუ სწორად გავიგე, როცა პოლიტიკაში დაბრუნებას გადაწყვეტთ, ახალ პარტიას გააკეთებთ?

— არაფერი ვიცი! 2002 წელს ვთქვი, ჩემი ფეხი არ იქნება პოლიტიკაში-მეთქი და უკვე 2003 წელს ისევ ფინანსთა მინისტრი ვიყავი. 2007 წლის ბოლოს რომ წავედი პრემიერ-მინისტრობიდან, ვთქვი, აღარასოდეს დავბრუნდები-თქო და 2008 წლის აგვისტოს ომმა ოპოზიციური პარტიის გაკეთება მაიძულა. ახლა იმედი მაქვს, ისეთი არაფერი მოხდება, რაც ისევ მაიძულებს ამის გაკეთებას. ამიტომ არაფერს ვამბობ, თვალი რომ არ მეცეს. ჩემი უფროსი არავინაა, შესაბამისად, აქტიურ პოლიტიკაში თუ ვიქნები, ამასაც გეტყვით, აბა, ხომ ვერ დავმალავ?!

— სამაგიეროდ, დამალავთ ბიზნესს — ხშირად გვესმოდა თქვენი ინტერესების შესახებ მედიაბიზნესში, „მაესტროს“ ყიდვას ვგულისხმობ, ასევე, ხვდებით ძველ პარტნიორს „კალა კაპიტალიდან“, კახა კალაძეს და ისიც გეცოდინებათ, „პროგრესბანკის“ წილი ივანიშვილმა რომ შეიძინა. ბიზნესგეგმებიც არ გაქვთ?

— ჯერ ერთი, არსად წავსულვარ. ქვეყნიდან ხშირად გავდივარ, რადგან მაქვს ბიზნესი, რომელიც ჯერ საქართველოში შემოსული არაა და თუ გადავწყვეტ, რომ შემოვიდეს, ასეც იქნება. ამ ეტაპზე, საქართველოში ბიზნესინტერესები არ მაქვს. მე და კახა კალაძე მეზობლებიც ვართ და შეიძლება, ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს, მაგრამ — არა საქმეზე. „კალა კაპიტალს“ რაც შეეხება, მისი სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორი ვიყავი და როგორც კი ოპოზიციაში წასვლა გადავწყვიტე, ყველა ბიზნესთანამდებობიდან წავედი. ყველა ბიზნესი, მით უმეტეს, მაშინდელ საქართველოში, მთავრობის თანამონაწილეობას თუ არა, მინიმუმ, კეთილგანწყობას მაინც მოითხოვდა, ამიტომ არ ვაპირებდი, იმ ხალხისთვის შემეშალა ხელი, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი. არ გეტყვით, არ მაინტერესებს, „კალა კაპიტალში“ ახლა რა ხდება-მეთქი, მაგრამ საქმის კურსში არ ვარ. მაგალითად, ვიცოდი, ივანიშვილმა ბანკის ნაწილი რომ იყიდა, მაგრამ ეს ბანკი „პროგრესბანკი“ თუ იყო, არ ვიცოდი. ამ ბანკში განვითარებულ მოვლენებს კი ჩემს წასვლასთან არ ვაკავშირებ — ისიც იმავე მდგომარეობაში ჩავარდა, რაშიც 2008 წლის ომის მერე მთელი ქართული ეკონომიკა!

— დღევანდელ ეკონომიკურ გუნდზე ვისაუბროთ. კახა კალაძე, მისი ექსმოადგილე გია ქავთარაძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური — მათ თქვენს კადრებს ეძახიან ბიძინა ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტში.

— ეს არასწორი ფორმულირებაა, მაგრამ დღეს საქართველოს სახელმწიფო ეკონომიკურ სექტორში მომუშავე კომპეტენტურ ადამიანებს, ვინც მაღალ ბიუროკრატიულ თანამდებობებზე არიან, ადრე თუ გვიან, ნებისმიერ ვარიანტში, ექნებოდა ჩემი სკოლა გამოვლილი, იმდენ ხანს ვიყავი ფინანსთა მინისტრი და პრემიერი.

ხადური ჩემი მოადგილე იყო პრემიერობის დროს, კახა ჩემი მეგობარია, მაგრამ კადრი ნამდვილად არ არის. ამაზე საუბრით იმ აზრის შექმნის მცდელობა, რომ ეკონომიკურ გუნდში დანიშვნებზე რამე ზემოქმედებას ვახდენ, სრული უნამუსობაა! ჯერ ერთი, ამ პროცესებში საერთოდ არ ვერევი, მეორე — დღეს ახალი მთავრობაა, რომელსაც ჩემზე არანაკლებ ჯიუტი პრემიერი ჰყავს, შესაბამისად, არც ვცდილობ და არც არავის სჭირდება ჩემი ჩარევა!

არასოდეს ავიღებ პასუხისმგებლობას იმაზე, რასაც ვერ გავაკონტროლებ. ისეც არ მინდა გამოვიდეს, თითქოს ხალხი მეხვეწება, რჩევა მოგვეციო და მე უარზე ვარ — არც მათ სჭირდებათ რამე და არც მე ვიკლავ თავს. ჯერჯერობით, ზუსტად ისიც არ ვიცით, ივანიშვილს რა ეკონომიკური პოლიტიკა აქვს, ამიტომ მივცეთ ამ ხალხს ჩამოყალიბების საშუალება და მერე თვითონ აგონ ამაზე პასუხი!

— როცა ხადური დაინიშნა მინისტრად, ყველას მაშინვე თქვენ და სააკაშვილი გაახსენდით, ნოღაიდელის მოადგილე გავაპანღურეო, გია ქავთარაძეც პოსტიდან 2-3 დღეში გადადგა, არ მინდა, ჩემი იმიჯით კალაძე დავაზიანოო. ვის შეიძლება ჰქონდეს ინტერესი, რომ ამ თემებთან მუდმივად დაგაკავშიროთ?

— არ ვიცი, თუ ვინმეს არ მოვწონვარ, ნუ მოვწონვარ!

სიმართლე გითხრათ, არც ვცდილობ, ახალ ხელისუფლებაში ვინმეს თავი მოვაწონო. შეფასებებს რომ ვასაჯაროებ და ინტერვიუს გაძლევთ, იმისთვის არ ვაკეთებ, კანცელარიას მესიჯი შევუთვალო, ვაიმე, თქვენით კმაყოფილი ვარ და როგორღაც გამიხსენეთ-მეთქი. ეს ასე არაა. ამის გაკეთების სხვა მარტივი და მოკლე გზებიც არსებობს.

— არც ეს გზები გამოგიყენებიათ? სიმართლე გითხრათ, ბევრს ეგონა, რომ სწორედ იმიტომ გააქტიურდით, ახალ ხელისუფლებაში თქვენი ადგილი გეპოვათ.

— ცხადია — არა, ეს არც მე მჭირდება, არც მათ. ჩემი ამ საკითხებში ყურით მოთრევა იმისთვის, რომ შეიძლება, ვიღაცას რაღაც არ გამოსდის, არასწორია. როცა ტარიფებზე იყო დისკუსია, ჩემს დროს იმაზე ნაკლები ტარიფების მიღება, რაც გვქონდა, წარმოუდგენელია. დღეს ვერ მოგცემთ კომპეტენტურ პასუხს, შეიძლება თუ არა გადასახადების დაწევა, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სხვებისთვის ამის გადაბრალებას უნდა შეეშვან! ჩემი და ვითომ „ჩემი კადრების“ ყურით მოთრევა ნამდვილად არაა საჭირო. ეს მე არ მაღიზიანებს, უბრალოდ, არ მინდა, სხვა ადამიანებს შეექმნათ პრობლემა. თორემ მე და ჩემმა ოჯახმა ამაზე ბევრად მძიმე პერიოდი გადავიტანეთ — მაშინ, როცა ქვეყნის მოღალატე მერქვა, ჩემი შვილი 12 წლის იყო და სკოლაში თბილისში დადიოდა. ახლა 15 წლისაა და იმავე სკოლაში დადის, ასე რომ, არც იმის გადამწმება იყო ძნელი, ქვეყნიდან ოჯახით წავედი თუ არა! ჩვენ მთელ ამ სიბინძურესა და უნამუსობას ერთად ვისმენდით და ამ ყველაფერს მიჩვეული ვარ. ოღონდ არავის მივცემ იმის საშუალებას, დღეს ჩემი სახელი რომელიმე წარუმატებლობას დაუკავშიროს. თუ ტარიფებს ვერ დაწევენ, იმას მაინც ვერ იტყვიან, ნოღაიდელი რომ იყო პრემიერი 2007 წელს, ეს ამიტომ ვერ შევძელითო!

— ახლა ხელისუფლებაში „ეროვნული საბჭოა“, რომელიც თქვენ გამო დაიშალა. ასევე, ირაკლი ალასანია, რომელთან ბრწყინვალე ურთიერთობით არასოდეს გამოირჩეოდით. ამით ხომ არაა გამოწვეული თქვენი განცხადებები, რომ არც ბიზნესი და არც პოლიტიკურ საქმიანობას არ აპირებთ საქართველოში — იცით, რომ ხელგაშლით მაინც არავინ შეგხვდებათ?

— უპასუხისმგებლო მსჯელობას ახლა აზრი არ აქვს. ფაქტია, სააკაშვილის რეჟიმი მოშორებულია და ახლა „ქართული ოცნება“ საქართველოს ისტორიის დადებით მხარესაა. სხვა თემაა, რამდენ ხანს შეძლებენ ამ მხარეს ყოფნას. ეს მათზეა დამოკიდებული და აქვე ვაცხადებ, რომ მათთან, როგორც პოლიტიკურ ძალასთან, არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. თუმცა თუ პოლიტიკური ან ბიზნესსაქმიანობის წამოწყებას გადავწყვეტ საქართველოში, ხელს ვერავინ შემიშლის!

ვერსიანიუსი

ილია მეორე: „როცა სიკეთისა და ბოროტების გარჩევას ვისწავლით, დასჯის ნაცვლად, უნდა დავეხმაროთ ბოროტს, რომ მისგან გათავისუფლდეს“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის განცხადებით, როცა სიკეთისა და ბოროტების გარჩევას ვისწავლით, დასჯის ნაცვლად, უნდა დავეხმაროთ ბოროტს, რომ მისგან გათავისუფლდეს.

„ღმერთმა მოგვცეს უნარი, გავარჩიოთ თეთრი და შავი, ბოროტება და სიკეთე. როცა გაარჩევ, სად არის ბოროტება და კეთილი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ უნდა გაანადგურო ის, შენ უნდა დაეხმარო, რომ გათავისუფლდეს ამ ბოროტებისგან. მე იმედი მაქვს, რომ სიკეთე იმეფებს. ბოლო დროს აქტუალური გახდა ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. ზოგიერთს არც ერთის მნიშვნელობა არ ესმის. ცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღით, გართობით, ვნებებით, აინტერესებს ის, რაც საინტერესო არ არის“, — ბრძანა უწმინდესმა.

„პირველი“

როგორ „ახევენ“ ფულს უშვილო ქალბატონებს და რატომ უნდა მივიდნენ ისინი ენდოსკოპისტ რამაზ ჩარექიშვილთან?!

ეკა სეხნიაშვილი

უშვილობის ზუსტი მიზეზის დადგენა და ამ მიზეზთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება — ეს ლაპარასკოპიის ხიბლია და თანამედროვე მედიცინაში სწორედ ამიტომაც გაიზარდა მასზე მოთხოვნა. არადა, უნაყოფობით გაწვალებული ქალბატონები წლიდან წლამდე უშედეგოდ დაიარებიან ერთი კლინიკიდან მეორეში და ხშირად, უშვილობის ზუსტ მიზეზებს დიდი ხნის განმავლობაში ვერ ადგენენ, ამას პლუს, ფინანსების ხარჯვა, დაკარგული დრო და არაკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც უშვილობას პირადი ჯიბის გასქელებისთვისაც იყენებენ. რატომ არ აფინანსებენ სადაზღვევო კომპანიები უშვილობის მკურნალობის ხარჯებს და რატომაა ლაპარასკოპია ყველაზე ეფექტური საშუალება უშვილობასთან ბრძოლისას?!

„ვერსია“ ამ საკითხებზე საქართველოში ლაპარასკოპიული ქირურგიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციული ინსტიტუტის ენდოსკოპიური ქირურგიის კლინიკის ხელმძღვანელს, პროფესორ რამაზ ჩარექიშვილს ესაუბრა.

— ბატონო რამაზ, ლაპარასკოპია თანამედროვე მედიცინაში უკვე იქცა უშვილობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად. რა არის ის მთავარი ბერკეტი ლაპარასკოპიაში, რომელიც უშვილობასთან ბრძოლაში ასე გამოკვეთილ შედეგებს იძლევა?

— უშვილობა, ზოგადად, თანამედროვე მედიცინაში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან გამომწვევი მიზეზი რამდენიმე დაავადება შეიძლება იყოს და საერთო ჯამში, იწვევდეს ქალბატონის უნაყოფობის განვითარებას. უშვილობის გამომწვევი მიზეზები, შესაძლოა, იყოს ენდოკრინოლოგიური დაავადებებიდან გამომდინარე, ასევე ინფექციური, ვირუსული და გენეტიკური გენეზისი. შეიძლება იყოს ასეთი სურათიც, რომ არანაირი სხვა ჩივილი ქალბატონს არ აქვს, კლინიკურად არ ვლინდება არც ჰორმონალური დარღვევები, არც ინფექციები აქვს გადატანილი და ერთი წლის განმავლობაში მაინც არ ორსულდება, ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო გაედლაინების სპეციფიკის მიხედვით, ზუსტი მიზეზის დასადგენად ყველაზე ეფექტური საშუალება სადიაგნოსტიკო ლაპარასკოპიის ჩატარებაა.

ლაპარასკოპია იძლევა საშუალებას, მოვახდინოთ მუცლის ღრუს ორგანოების სრული ვიზუალიზაციადათვალიერება, მათ შორის ქალის სასქესო ორგანოების, საშვილოსნოს, საკვერცხეების, კვერცხმავალი მილის და ა.შ. თუ რა მდგომარეობაშია საშვილოსნო, გვხვდება თუ არა იქ კვანძი და ა.შ.

კვანძის არსებობა შესაძლებელია ექოსკოპიურადაც დადგინდეს, მაგრამ არის ისეთი დაავადებები, მაგალითად, შეხორცებითი პროცესი, რომელიც, როგორც წესი, ექოსკოპიას ნაკლებად ექვემდებარება.

შესაძლებელია, განვითარებული იყოს ისეთი დაავადება, როგორიცაა ენდომეტრიოზი, რომელსაც ხშირად კლინიკური გამოვლინება არ აქვს და მხოლოდ ლაპარასკოპიით დგინდება ასეთი ენდომეტრიული უბნები, რომელიც ხელს უშლის ნაყოფიერებას. ანუ ლაპარასკოპიის შემდეგ ქალბატონს აღარ უჩნდება კითხვა, თუ რატომაა უშვილო, მან ჩვენთან ჩატარებული დიაგნოსტიკის შემდეგ უკვე იცის, რა არის მისი უშვილობის კონკრეტული მიზეზი და მიზნობრივად ვმკურნალობთ მას.

იმედგაცრუებული პაციენტები ფინანსებსა და დროს ხშირად წლობით ხარჯავენ. ექიმების ნაწილიც, შესაძლოა, ბოროტად იყენებდეს მის ამ პრობლემას — კარგი რემონტით, იმედიანი დაპირებებითა და თანამედროვე ტექნიკით იზიდავს პაციენტს და რეალურად, წლები გადის ისე, რომ უშვილობის მიზეზები ვერ დგინდება. ლაპარასკოპიაშიც 3-4 კაცს ვიცნობ ისეთს, რომელსაც ადამიანი თავის ჯანმრთელობას ანდობს, ანუ ამ დარგის სპეციალისტების მკაფიო დეფიციტია საქართველოში, რაც სამწუხაროა.

ჩვენ შევქმენით სპეციალური, უშვილობასთან ბრძოლის საქველმოქმედო ფონდი. მისი ჩამოყალიბების მთავარი მოტივაცია ისიც იყო, რომ არც ერთი ქართული სადაზღვევო კომპანია უშვილობის პრობლემას არ აფინანსებს, პაციენტები ხშირად, ფინანსურ კრიზისს განიცდიან, ხოლო საქველმოქმედო ფონდი ერთგვარი საშუალებაა, რომ თვეში რამდენიმე წყვილს მაინც უფასოდ ჩავუტაროთ ოპერაცია. ამას ვუკეთებთ პირადი სახსრებით, რადგან ამ საქმეში ჩვენ ფინანსური მხარდაჭერა არ გვაქვს და არც კერძო დონორები გვყავს. დღემდე ჰუმანიტარული გზით, 72 ოპერაცია გვაქვს გაკეთებული.

რამდენადაც ჩვენს კლინიკაში არ გვაქვს საშუალება, რომ თავად დავადგინოთ წყვილის ფინანსური მდგომარეობის ზუსტი სურათი, ამიტომაც ამ საკითხს ვანდობთ საპატრიარქოს, მათთან ხელშეკრულების საფუძველზე, სწორედ მათი რეკომენდაციით ვარჩევთ პაციენტს, რომელსაც უფასო ოპერაცია ჩაუტარდება. გარდა ამისა, მე მაქვს ერთი სამუშაო პრინციპიც, რომ პაციენტის პირველი კონსულტაცია ჩემთან უფასოა. რამდენადაც მატერიალური დანახარჯები აქ ნაკლებია, მე მივეცი თავს უფლება, ამით მაინც დავეხმარო პაციენტებს და უფასოდ გავუწიო უშვილობით გაწამებულ წყვილებს კონსულტაცია. ჩვენი ფონდი ხშირად ატარებს ჰუმანიტარულ აქციებსაც, სადაც უკვე შედის ექოსკოპიური კვლევებიც.

ჩვენს კლინიკაში, გარდა გინეკოლოგიისა, ლაპარასკოპია ასევე გამოიყენება ქირურგიაშიც, კერძოდ, ნაღვლისბუშტის, აპენდიციტის, თიაქარისა და სხვა ოპერაციების დროსაც. ასევე გამოიყენება და ძალიან ეფექტურად, ე.წ. კუჭის დაპატარავების, ანუ ბარიატრიული ოპერაციის დროს, წონაში დაკლებისა და ტიპი-2 დიაბეტის მკურნალობის მიზნით.

— ბატონო რამაზ, ლაპარასკოპია ასევე უმტკივნეულო და ეფექტური საშუალებაა სხვადასხვა გინეკოლოგიურ-პლასტიკური ოპერაციების დროსაც...

— ჩვენთან კეთდება ყველა ოპერაცია, რაც ქალის გინეკოლოგიურ პრობლემებს შეეხება: ორგანოს შემანარჩუნებელი ოპერაციები საშვილოსნოზე, როდესაც ამოღებული გვაქვს 28 კვანძი და საშვილოსნო შენარჩუნებული გაქვს, შემდგომში პაციენტმა ბავშვიც გააჩინა. ასევე ისეთი რადიკალური ოპერაციები, როგორიცაა საშვილოსნოს ამოკვეთა გაჭრის გარეშე და უსისხლოდ. ჩვენთან კეთდება ისეთი უიშვიათესი ოპერაციებიც, როგორიცაა ხელოვნური საშოს შექმნა ,,როკიტანსკი მაიერ კიუსნერის“ სინდრომის დროს, როცა ქალბატონს არ აქვს საშო. ამ ოპერაციის შემდეგ მას სქესობრივი აქტის ჩატარების საშუალება მიეცემა.

— რაც შეეხება საქალწულე აპკის აღდგენით ოპერაციას?!

— რაც შეეხება საქალწულე აპკის აღდგენას, რომელიც გარკვეულ წრეებში ისევ პოპულარულია, მე, პირადად, ამორალურ ოპერაციად მიმაჩნია. როცა ოჯახის შექმნა თავიდანვე აგებულია სიცრუეზე და ამაზე ორიენტირებულია ქალი. თუმცა არის ხშირი შემთხვევა, როცა სამედიცინო გადაუდებლობით გვჭირდება აპკის აღდგენა.

ლაპარასკოპიული გზით ოპერაციისას, პაციენტი სტაციონარიდან გაეწერება მეორე დღესვე, ინვაზია ანუ ჩარევა არის მინიმალური. ეს არის ოპერაცია გაჭრის გარეშე, უსისხლოდ. მაგალითად, გარეორსულობის ოპერაციის ჩასატარებლად მე მჭირდება ზუსტად 14 წუთი, როდესაც მუცელკვეთით ტრადიციული ქირურგიის შემთხვევაში ის, ყოველგვარი გართულებების გარეშეც კი, მინიმუმ 40 წუთს მიმდინარეობს. თანაც პაციენტს, ლაპაროსკოპიული ოპერაციის დროს, არც ნაწიბური რჩება სხეულზე, არც შიდაპოსტოპერაციული შეხორცებები შეაწუხებს. მეორე დღესვე ის მიდის სახლში და არავითარი პოსტოპერაციული გართულებები არ აქვს.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქირურგი მხოლოდ ლაპაროსკოპისტი უნდა იყოს და უარი უნდა თქვას რიგ, საჭირო შემთხვევებში, ტრადიციულ ქირურგიაზე.

— ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, სადაზღვევო კომპანიების სამკურნალო ხარჯების ნუსხაში რატომ არ შედის უნაყოფობის მკურნალობა?

— მოგეხსენებათ, დემოგრაფიული პრობლემა საქართველოში სერიოზულ საკითხად იქცა, განსაკუთრებით ბოლო წლებში. თუმცა თავისთავად, უშვილობის პრობლემა ერთ-ერთი ძვირადღირებული ფუფუნებაა და სადაზღვევო კომპანიებიც, ბუნებრივია, კომერციული და ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, არ აზღვევენ ამ ტიპის მკურნალობის ხარჯებს. მათთვის ეს კომერციულად მომგებიანი არაა. ერთმა ქალბატონმა მითხრა ამას წინათ, 40 წლის ისე გავხდი, გინეკოლოგთან არ ვყოფილვარო. საქართველოში რომ მძიმე პაციენტებია, ასეთი არც პოსტსაბჭოთა სივრცეში მინახავს და არც ევროპაში.

თავად ქართველმა ქალბატონებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ გინეკოლოგთან ხშირად ჰქონდეთ ვიზიტები. ჩვენთან, ჟორდანიას ინსტიტუტის ენდოსკოპიური ქირურგიის კლინიკაში მათ კვალიფიციურად მოემსახურებიან. პაციენტებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ მობილურ ტელეფონზე 599436000.

ვერსიანიული

გულიკო ზუმბაძე გარემოვაჭრეებისთვის, დროებითი ღონისძიების სახით, სავაჭრო კონსტრუქციების მოწყობას ითხოვს

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე გარემოვაჭრეებისთვის, დროებითი ღონისძიების სახით, სავაჭრო კონსტრუქციების მოწყობას ითხოვს. შესაბამისი განცხადებით მან დედაქალაქის მერიას ოფიციალურად მიმართა. ზუმბაძის თქმით, ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიაზე უნებართვო გარევაჭრობები ხორციელდება, რომელთა შეზღუდვაც მერიის ზედამხედველობის სამსახურისა და საპატრულო პოლიციის მიერ ძალის გამოყენებითა და სავაჭრო საქონლის ჩამორთმევით ხდება. მისივე განმარტებით, გარემოვაჭრეები გაუსაძლის ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან და დახმარების თხოვნით, საკრებულოს არაერთხელ მიმართეს.

ზუმბაძე დედაქალაქის მერს, გიგი უგულავას სთხოვს, გარევაჭრობის დარეგულირების მიზნით, საახალწლო პერიოდში, 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე დროებითი ღონისძიებები განახორციელოს. კერძოდ, მისი მოთხოვნაა, აღირიცხოს გარემოვაჭრეთა რაოდენობა, განისაზღვროს გასაყიდი საქონლის სახეობა, მოეწყოს შესაფერისი კონსტრუქციები, უზრუნველყოფილი იყოს დასუფთავების რეჟიმი და თითოეულ გარემოვაჭრეს ინდივიდუალური გადასახადი დაუწესდეს, არაუმეტეს სამი ლარისა. ამასთან, ზუმბაძე აცხადებს, რომ გარემოვაჭრებს ზედამხედველობის სამსახურის დავალებით არბევენ და საქონლებს ართმევენ, თუმცა მათ ეუბნებიან, რომ ეს ახალი მთავრობის დავალებით ხდება. საკრებულოს დეპუტატი მიიჩნევს, რომ ამით მერია „ქართული ოცნების“ მიმართ მოქალაქეების უარყოფითად განწყობას ცდილობს. ზუმბაძესთან ერთად, მერიასთან თავად გარემოვაჭრეებიც იმყოფებოდნენ. როგორც ისინი აცხადებენ, ბაზრის ტერიტორიაზე შესვლა და იქ ვაჭრობა არ შეუძლიათ, რადგან მათი ყოველდღიური შემოსავალი მხოლოდ ადგილის გადასახადს ვერ განვდება.

„პირველი“

ოთარ გამყრელიძე: „ელექტროენერგიაზე ტარიფი, შესაძლოა, 3-4 თეთრით მოლაპარაკებითაც შემცირდეს“

ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში ოთარ გამყრელიძე მიიჩნევს, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის შემცირების მიზნით აუცილებელია, გარდა მეთოდოლოგიისა, ამ სფეროში უკვე არსებული ხელშეკრულებებიც გადაიხედოს.

ამის შესახებ მან ჟურნალისტებს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში მიმდინარე შეხვედრისას განუცხადა, სადაც ენერგეტიკოსთა საზოგადოების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ტარიფის შემცირების თემაზე იმსჯელეს.

„ტარიფის შემცირებას, რა თქმა უნდა, მოლაპარაკება სჭირდება, მაგრამ ამასთანავე, გარდა იმ მეთოდოლოგიისა, რითაც ტარიფი იანგარიშება, საჭიროა იმ ხელშეკრულებების ნახვა, რაც გააფორმეს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“, „ეი-ი-ეს თელასთან“. ამის შემდეგ დაზუსტდება, რამდენით შესაძლებელია ტარიფის შემცირება. დღეის პირობებში, რადგან ეს სწრაფად არის საჭირო, შესაძლოა, 3-4 თეთრით მოლაპარაკებითაც შემცირდეს“, — აღნიშნა მან.

„პირველი“

თაღლითური სქემა, რითაც „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ სამშენებლო ფირმები მუშებს აჭყუებდნენ

ნელი თორდია

საბინაო ფონდის გაუმჯობესების, ეკონომიკური პრობლემების დაძლევისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, თბილისის მერიამ 2009 წლის ივნისში, ახალი პროექტი — „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ წარმოადგინა. პირველ ეტაპზე, გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიებსა და ოთხ ბანკს შორის ხელშეკრულებები გაფორმდა, რომლის თანახმად, ავარიულ ბინებში მცხოვრები მოქალაქეების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფისა და მშენებლობის დროულად დასრულების მიზნით, ბანკებმა კომპანიებს მრავალმილიონიანი კრედიტები გამოუყვეს. იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე „ვერსიას“ იმ სქემას უშიფრავს, რითაც პროექტში მონაწილე სამშენებლო კომპანიებმა მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანები „გადააგდეს“:

— მერიის მიერ განხორციელებული ნებისმიერი პროექტი, თანხების მიზნობრივად ხარჯვისა და ხარისხიანობის კუთხით, უამრავ კითხვას აჩენს. თუმცა ამჯერად, ყურადღებას სხვა პრ ობლემაზე გავამახვილებ. ცნობილია, რომ პროექტ „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ ფარგლებში, ძველ უბნებში საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობდა. რამდენჯერმე მივიღეთ ინფორმაცია, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელობას ელიავას ბაზრობიდან აჰყავდა იაფი მუშახელი, ამუშავებდა და ხელფასის მიცემის დროს, შესრ ულებული სამუშაოების უხარისხობის მომიზეზებით, ანაზღაურების გარეშე უშვებდა. თუ რომელიმე მუშა ძალიან გაჯიუტდებოდა, თანხის ნაწილს გადაუგდებდნენ და თავიდან იშორებდნენ. წადი, თორემ ფულის მოცემა კი არა, რაც გვაზარალე, იმასაც გადაგახდევინებთო.

— მუშას შეეძლო, დამსაქმებლის უკანონო ქმედებები მერიაში, ან ბოლოს და ბოლოს, სასამართლოში გაესაჩივრებინა.

— სამშენებლო კომპანიებს ისეთი სქემა ჰქონდათ შემუშავებული, რომ დიდხანს არავის ამუშავებდნენ. ორი კვირის ან ერთი თვის შემდეგ, მუშას რაღაც მიზეზს უპოვნიდნენ და უშვებდნენ, ამიტომ ხელფასების გაცემის დროს, დიდ თანხებზე არ იყო საუბარი. 500-600 ლარის გამო კი სასამართლოებში სირბილსა და საჩივრების წერას ყველა ერიდება, მით უმეტეს, სასამართლოშიც ფულია საჭირო და ადვოკატთანაც.

ბუნებრივია, მოვინდომეთ გაგვერკვია 21-ე საუკუნის მონათმფლობელების ვინაობა, მაგრამ უგულავას უწყებამ პილატესავით, ხელები დაიბანა. მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანიები აწარმოებენ და ჩვენ მათთან არანაირი კავშირი არ გვაქვსო. მოგეხსენებათ, ამჟამად, მერიაში საგამოძიებო უწყებებია შესული და, პირველ რიგში, ამით უნდა დაინტერესდნენ. მით უფრო, რომ არსებობენ კონკრეტული დაზარალებულები, ვინც მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულების შემდეგ, ანაზღაურების ნაცვლად, დაცინვა და მუქარა მიიღეს“.

„ვერსია“ ამ ფაქტის გადასამოწმებლად, პროექტის ფარგლებში მშენებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსზე მომუშავე ლევან გაჩეჩილაძეს ესაუბრა:

— საბურთალოზე, სპორტის სასახლის უკან მშენებარე კორპუსში ვმუშაობდი.

> **სახლი დევნილებისთვის შენდებოდა და მუშებს გვითხრეს, საშუალო ხარისხზე უნდა გვემუშავა, მაგრამ როცა ხელფასის გაცემის დრო მოვიდა, შევატყვე, „პრარაბები“ მიზეზს ეძებდნენ, რომ ხალხისთვის ხელფასები არ მიეცათ ან დაეკლოთ. ყველა მუშას ეს პრობლემა ჰქონდა. მე, დაახლოებით, 10 დღე ვიმუშავე და 400-დან 500 ლარამდე უნდა ამეღო. სხვებს ჩემზე მეტიც ჰქონდათ ასაღები.**

— თუ იცით, მშენებლობას რომელი კომპანია აწარმოებდა?

— მერიის რომელიღაც ფირმა მუშაობდა, ზუსტად არ ვიცი. როცა უფროსს ვკითხე, ვინა ხართ ასეთი ყაჩაღები და გადამგდებები-თქო, საერთოდ, დაიმალა, არც სახელი მითხრა და არც გვარი. თავიდან „პრარაბის“ საშუალებით ვუკავშირდებოდი, მაგრამ მერე ტელეფონი იმანაც გამითიშა და დამემალა. როცა ძალიან შევაწუხე, მუშებთან ნაწილ-ნაწილ დამიტოვეს ფული, მაგრამ როგორც ვიცი, დანარჩენებს თავიანთი ნამუშევარი დღემდე არ აუღიათ.

> **კარგი იქნება, თუ ვინმე დაითვლის, ამ პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში რამდენი ადამიანი „გადააგდეს“ მერიის სამშენებლო კომპანიებმა და რა მოცულობის თანხა ამოღლიტეს ისედაც გაჭირვებული ადამიანების ჯიბეებიდან... მერწმუნეთ, სურვილის შემთხვევაში, დაზარალებული ადამიანების მოძიება არავის გაუჭირდება.**

განათლება

სკანდალი და ცემა-ტყეპის ფაქტები 89-ე საჯარო სკოლაში

ხელისუფლებებისა და განათლების მინისტრების ცვლის მიუხედავად, ქართული სკოლის ერთ-ერთ დაუძლეველ პრობლემად დაუმორჩილებელ მოსწავლეებთან ფიზიკური ანგარიშსწორება რჩება. რა მოხდა თბილისის 89-ე საჯარო სკოლაში, რატომ ითხოვს საქართველოს პედაგოგთა და მშობელთა ასოციაციის თავმჯდომარე სკოლაში განათლების სამინისტროს კომისიის შესვლას და დერეფანში დამონტაჟებული ვიდეოკამერების შემოწმებას, „ვერსიას“ თავად ლია ნიკოლაიშვილი უამბობს:

— არავინ იფიქროს, შურისძიება მალაპარაკებდეს, მაგრამ ჩემთვის, როგორც 89-ე სკოლის ყოფილი პედაგოგისა და პედაგოგთა უფლებების დამცველისთვის, სულ ერთი არაა, რაც სკოლაში ჩემი ნამოსვლის შემდეგ ხდება.

> **სკოლიდან 2009 წელს გამომიშვეს, ვითომ მოსწავლის ცემის ბრალდებით და 2010 წელს, გეოგრაფის მასწავლებელმა და სამეურვეო საბჭოს წევრმა მარინა უგრეხელიძემ (რომელიც ძალიან აქტიურობდა ჩემი გაშვების საქმეში), მეცხრეკლასელი მოსწავლე ისე სცემა, სკოლაში არეულობა და მოსწავლეების აქციები მოჰყვა. ნაცემი მოსწავლის კლასელები, პროტესტის ნიშნად, გაკვეთილებზე აღარ შედიოდნენ, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სკოლის დირექციამ ბავშვის მშობლები აიძულა, შვილი სხვა სკოლაში გადაეყვანათ. ამის შემდეგ ბიბლიოთეკარმა დალი ჭიჭინაძემ სცემა მოსწავლე, მაგრამ ეს საქმეც „ჩაფარცხეს“. ვისზე ნაკლები ვარო და, კოლეგებს მოსწავლეების ცემაში არც მეორე კლასის პედაგოგი ანა არახამია ჩამორჩა. ჯერ ერთ-ერთი მოსწავლე გვარად ხანიბოვი სცემა და რამდენიმე დღის წინ, მეორეკლასელ ლუკა ჯავაშვილს გაუსწორდა.**

— ამ ცემა-ტყეპას სკოლის მანდატურები მშვიდად უყურებენ?

— „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში, სკოლის დირექტორი იმდენად ხელშეუხებელი იყო, ხმის ამოღებას აზრი არ ჰქონდა. შეიძლება მანდატური გაეშვათ და სოლოღაშვილს არავინ შეეხებოდა, ამიტომ სკოლაში დაუსჯელობის სინდრომი გაბატონდა და მოსწავლის ფიზიკური შეურაცხყოფა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. როგორც გითხარით, ბოლო ინციდენტი ორ დღის წინ მოხდა. იმავე ანა არახამიამ, რომელიც სხვათა შორის, დირექტორის ახლობელია და სკოლიდან ჩემი მოშორების შემდეგ, ჩემი საათები გადასცეს, ლუკა ჯაოშვილი ჯერ გაკვეთილზე სცემა, მერე დერეფანში გამოიყვანა და ბეჭდიანი ხელი გაარტყა. ეს ვიდეოკამერებმაც დააფიქსირა და მანდატურებმაც დაინახეს. მანდატურები და ნაცემი ბავშვის ბებია, რომელიც ამ სკოლაში დამლაგებლად მუშაობს, კატეგორიულად ითხოვდნენ დამნაშავე პედაგოგის სკოლიდან გაშვებას, მაგრამ ჯერჯერობით, დირექტორმა ხან მუქარითა და ხან ხვეწნით, მისი გაჩუმება მოახერხა.

— რას ნიშნავს, გაჩუმება მოახერხა, ნაცემი მოსწავლეების ახლობლების „დამუშავების“ განსაკუთრებული მეთოდები აქვს?

— ალბათ... როგორც ვიცი, ბებიას ჯერ დაეუქრა და მერე ხვეწნა დაუწყო, გაჩერდი, თორემ ისედაც დაძაბული მდგომარეობაა და სამინისტრომ ეს ამბავი რომ გაიგოს, სამსახურიდან გამიშვებენო.

> **არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბავშვის ბებია, მაგრამ მე სწორედ ამას მოვითხოვ. სამინისტრომ ეს ამბავი, რაც შეიძლება დროულად, უნდა გაიგოს და სკოლაში კომისია გაგზავნოს. მოვითხოვ, გაიხსნას ვიდეოკამერები და ყველაფერში თავად დარწმუნდნენ, თუმცა ამ ინფორმაციის უტყუარობაზე თავით ვაგებ პასუხს.**

სამარცხვინოა, რომ ასეთი პედაგოგები და დირექტორი მოსწავლის ცემას სხვას, თან სრულიად უდანაშაულო ადამიანს დასწამებენ, რომლის სიმართლე სასამართლოს ორმა ინსტანციამ დაადასტურა. ნაცვლად იმისა, რომ შერცხვეთ და ბოდიში მოიხადონ, სოლოღაშვილი და მისი „კამანდა“ მასწავლებლების ხელმოწერებს აგროვებს და განათლების სამინისტროში გზავნის, ნიკოლაიშვილი პოლიტიკური ნიშნით კი არა, მოსწავლის ცემის გამო გავათავისუფლეთო. საინტერესოა, რა ზეწოლას ახორციელებს დირექტორი პედაგოგებზე, ასეთ სიყალბეზე რომ აწერენ ხელს, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, რით იმართლებს თავს ნანა სოლოღაშვილი სკოლაში მომხდარი ბოლო ინციდენტის შემდეგ?!

ბუნებრივია, ანალოგიური კითხვა „ვერსიასაც“ გაუჩნდა, მაგრამ იმის გამო, რომ ნაცემი ბავშვის ბებია თბილისში არ იმყოფება და 89-ე სკოლის დირექტორი კომენტარზე ჯიუტად უარს აცხადებს, ინტერესით დაველოდებით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ამ საქმესთან დაკავშირებით, განათლების სამინისტრო.

ნელი თორდია

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემი ნება იყო, ავაშენებდი თუ არა მუსკომედიის თეატრს და რა შუაშია ჩემი დაკითხვა, საერთოდ, არ მესმის“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მისი ნება იყო, ააშენებდა მუსკომედიის თეატრს თუ არა და ამასთან დაკავშირებით, მისი დაკითხვა რა შუაშია, საერთოდ არ ესმის.

ამის შესახებ ივანიშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მამუკა ახვლედიანის იმ განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომელშიც ახვლედიანმა აღნიშნა, რომ რიყის პარკის განვითარების პროექტთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც უნდა დაიკითხოს.

„როცა პარლამენტში უმცირესობის წევრებს ვხვდებოდი, იქ ვთქვი, რომ მუსკომედიის თეატრს ვაკეთებდი და ეს ახვლედიანის აღმოჩენილი ნამდვილად არ არის, თუმცა როცა თავდაპირველად თეატრის პროექტი მაჩვენეს, ეს იყო ნახატი. მასზე გამოსახული იყო ორი დოქი, როცა არქიტექტორებს ნახატი ზომებში მოვაყვანინე, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული თეატრი საშინელება გამოვიდოდა და ამ პროექტის განხორციელებაზე უარი ვთქვი. რა შუაშია აქ ჩემი დაკითხვა, არ მესმის. მე შემეძლო, ამეშენებინა ეს თეატრი, შემეძლო – არა. თავიდანვე ვამბობდი, რომ საშინელება იქნებოდა, თუმცა კარგად მოგეხსენებათ, რომ საკაშვილი უკან არაფერზე იხევს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, რიყის პარკი მისი დიზაინერის გაკეთებულია.

„პირველი“

ემუქრება თუ არა დახურვა ჭავჭავაძის №24-ში მდებარე წერეთლის ბიბლიოთეკას?

ნინო ხარშილაძე

საქართველოში და განსაკუთრებით, დედაქალაქში, რამდენიმე ათასი ბიბლიოთეკა დაიხურა. უგულავას მორიგი „მსხვერპლი“ ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე №24-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკა აღმოჩნდა. 6-7 დეკემბერს, დედაქალაქის მერს ინტელიგენციამ, ვაკის მოსახლეობამ და სტუდენტობამ თხოვნის წერილი გაუგზავნა, სადაც ბიბლიოთეკის დახურვის შეჩერებას ითხოვენ. საქმის დეტალების გასარკვევად, „ვერსია“ აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორს, ელენე კასრაძეს ესაუბრა:

— ამ შენობისთვის ბრძოლა უკვე 20 წელია მიდის. ჯერ 1993 წელს უნდოდა მისი მისაკუთრება მინისტრთა კაბინეტს და წაიღო კიდეც. მაშინ შესაბამისი ბრძანებაც გამოვიდა. სოციოლოგიური მართვის ცენტრი უნდა გახსნილიყო; წიგნების ნაცვლად, სხვადასხვა დადგენილებები უნდა შენახულიყო. მაშინ ბიბლიოთეკა ხალხმა გადაარჩინა. 2-3 კვირის წინ, 2 ახალგაზრდა მოვიდა, მითხრეს, მერიიდან გამოგვგზავნესო — საქირავებლად ფართი აინტერესებდათ რაღაც არასამთავრობო ორგანიზაციისთვის. ვუთხარი, რომ გასაქირავებელი ფართი არ გვქონდა. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი და გაცემის განყოფილება. გვითხრეს, ძალიან კარგი პროექტები გვაქვს და გვინდა, ბიბლიოთეკას დავეხმაროთო. მათ ბიბლიოთეკის შენობის ნახევარი ფართის წაღება სურთ — სამკითხველო დარბაზის, კომპიუტერების ოთახისა და საცავის ნაწილის, რაც ბიბლიოთეკის პარალიზებას გამოიწვევს და ეს რაღა დახმარებაა, ვერ გეტყვით.

მეორედ რომ მოვიდნენ, ავადმყოფობის გამო სამსახურში არ ვიყავი, მაშინაც იგივე უთქვამთ და სურათები გადაუღიათ. 5 დეკემბერს უკვე მესამედ, ისეთი შემართებით მოვიდნენ, ჩავთვალეთ, უკვე დასტური ჰქონდათ მერიიდან. იმ დროს აქ ძალიან ბევრი მკითხველი იყო და ამას ძალიან დიდი გაღიზიანება მოჰყვა. მთელი ვაკის რაიონი ფეხზე დადგა, რადგანაც აქვთ მაგალითები იმისა, რომ მრავალი ბიბლიოთეკა დაიხურა, თუნდაც ამ რაიონში. სტუდენტებისა და ინტელიგენციის სახელით, მერიაში განცხადებაც შევიდა, რომელსაც მრავალ ადამიანთან ერთად, ხელს აწერენ ირინა ღოღობერიძე, სანდრო თვალჭრელიძე, ქეთი დოლიძე, ლია სტურუა და სხვა ადამიანები. ისინი მოითხოვენ, შეჩერდეს ბიბლიოთეკის დახურვის პროცესი.

სხვა დროსაც მოსულან ფართის ქირაობის თხოვნით, მაგრამ უარის შემთხვევაში პრობლემებს არ გვიქმნიდნენ. დღეს კი ვერაფრით დავუმტკიცეთ ამ ახალგაზრდებს, რომ ბიბლიოთეკას გასაქირავებელი ფართი არ აქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ მათ უკან ვიღაც დგას.

— ისიც არ იცით, ვინ იყვნენ ან რის გაკეთებას აპირებენ?

— ვინაობა არ გაგვიმხილეს, მხოლოდ ის გვითხრეს, რომ ძალიან უნდათ ამ ფართის დაქირავება. სურათების გადაღებაც დაუკითხავად დაიწყეს.

— ეს ბიბლიოთეკა და მისი შენობა მერიის ბალანსზეა, დაურეკეთ მერიას და შეატყობინეთ ამ ფაქტის შესახებ ან რა გიპასუხეს?

— რატომღაც მერიაში, ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით არავინ არაფერი იცის. ჭორის დონეზე ისიც ვიცით, რომ ეს შენობა დიდი ხნის გაყიდულია და 5 დეკემბერს მისი პატრონი გამოჩნდა.

— დამეთანხმებით, ბიბლიოთეკა ძალიან პრესტიჟულ ადგილზეა, ამიტომაც არის განსაკუთრებული ინტერესი, იყო მცდელობა, იგი სხვა ბიბლიოთეკისთვის შეეერთებინათ?

— მარტში, გიგი უგულავამ განაცხადა, რომ ვაკის პარკში შენდება თანამედროვე მედიათეკა, სადაც ელექტრონული წიგნები იქნებოდა. არადა, მედიათეკასა და ბიბლიოთეკას შორის არსებითი სხვაობაა. კომპიუტერში ყველა წიგნის წაკითხვა ძალიან ძნელია. ის არ იქნება ის ბიბლიოთეკა, რაც ხალხს სჭირდება. საფრანგეთის, გერმანიის, ბალტიისპირეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებში ნამყოფი ვარ და ყველგან წიგნია. ზოგმა კომპიუტერი არ იცის, ვინც იცის, ხშირად არც მათთვისაა სასურველი ეკრანზე წიგნის კითხვა. მოსახლეობა ისეა შეშინებული, ბიბლიოთეკა არ დახურონო, რამდენჯერაც სატვირთო მანქანას დაინახავენ, გამორბიან საშველად. დღეში 300-400 კაცს ვემსახურებით.

„ვერსია“ მერიის პრესსამსახურს დაუკავშირდა და სცადა გაერკვია, რა ხდება წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ მათ არ იციან, ვინ მივიდა მერიის სახელით ჭავჭავაძის 24-ში, ხოლო ბიბლიოთეკას დახურვა არ ემუქრება.

31 პატიმარი თანამესაკნის გათავისუფლებას ითხოვს!

ორთაჭალის ციხის პატიმრები უფლებადამცველ და მონიტორინგის ჯგუფის წევრს, ქეთევან ადამიანს თანამესაკნის, 33 წლის ალიკ ოზმანიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ატყობინებენ და შესაბამის კომისიებთან შუამდგომლობას სთხოვენ. განცხადებას ხელს 31 პატიმარი აწერს. „ვერსიას“ ალიკ ოზმანიანის დედა ბოზალა ავდოიანი ესაუბრა:



— ჩემი შვილი ავად არის, ვერ სუნთქავს, ვერ ლაპარაკობს, ვერ დადის, ძალიან მძიმედ არის, „პარალიჩი“ აქვს. 2 წელია, საშინელი ტკივილი აწუხებს. სათანადოდ ვერ მკურნალობენ. მარტო გამაყუჩებლებს უკეთებენ. ამას მისი თანამესაკნეებიც ადასტურებენ. იმდენად მძიმედაა, რომ წვერს ვერ იპარსავს, საკვებსაც პატარა ბავშვივით აჭმევენ. საპირფარეშოშიც თანამესაკნეებს შეჰყავთ, უცვლიან და ურეცხავენ ტანსაცმელსა და თეთრეულს.

— თქვენი შვილი ციხეში რატომ მოხვდა?

— ვითომ ყაჩაღობა მოხდა და ამ ბრალდებით გაასამართლეს. ის იაფფასიანი ნარკოტიკის, „ჯეფის“ მომხმარებელი იყო და დაპატიმრებამდეც გონებაზე უკვე აღარ იყო. ახლა უფრო ცუდად არის. იმ ციხეში ჯანმრთელი ადამიანიც კი დაავადდება და ავადმყოფს რა მოუვა?!

— რამდენი წელია, ციხეშია?

— 10 წელი აქვს მისჯილი, მხოლოდ 2 წელი და 8 თვეა ზის. ნარკოტიკების მოხმარების გამო ავად იყო. მისი მოყვანა ბადრაგსაც გაუჭირდა.

— დახმარების სათხოვნელად არავისთვის მიგიმართავთ?

— სასჯელაღსრულების ყოფილ მინისტრს, ხათუნა კალმახელიძეს მივმართე, მაგრამ უშედეგოდ. ახლა დეპარტამენტის დირექტორს, მაია ხასიას შევხვდი. უმძიმეს დაავადებულთა სიაში კი შეიყვანეს, მაგრამ რა იქნება, არ ვიცი. ვთხოვ ყველას, იქნებ გაათავისუფლონ. მისი დაკავებით მთლიანად გავუბედურდით, ალიკას ოჯახი დაენგრა და ცოლ-შვილიც დაკარგა.

კუკიაზე, იეზიდების უბანში, ბარაკში, საშინელ სიღატაკეში ვცხოვრობ. მარტო მე ვყავარ პატრონი. რა ვქნა, სკოლაში დამლაგებლად ვმუშაობ და პურის ფულია ჩემი ხელფასი. იმდენად მიჭირს, პატიმარი შვილისთვის მედიკამენტებსაც ვერ ვყიდულობ. ვთხოვ, სასჯელაღსრულების მინისტრს, ბატონ სოზარ სუბარს, ნახოს, ჩემი შვილი რა მდგომარეობაშია, როგორ პირობებში იხდის საპატიმრო ვადას და ციხიდან გაუშვას.

ნინო ხარშილაძე

როგორ მოიპოვა საბავშვო ევროვიზიაზე ჯგუფმა FUNKIDS გამარჯვებულზე მაღალი ქულა

ნათია ვასაძე

საქართველო უკვე მეექვსედ მონაწილეობდა საბავშვო „ევროვიზიაზე“ და მას ამჯერად ჯგუფი FUNKIDS წარმოადგენდა. „ბზიკები სტუდიოს“ პროექტი კვლავაც წარმატებული აღმოჩნდა და კონკურსში მონაწილე 12 ქვეყანას შორის, 103 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ექვსი წლის განმავლობაში საქართველო უკვე ორჯერ გახდა ფესტივალის გამარჯვებული და ორივე პროექტი „ბზიკები სტუდიომ“ განახორციელა. „ვერსიას“ პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და „ბზიკები სტუდიოს“ ვოკალის პედაგოგი სოფო ოყრეშიძე ესაუბრა:

— ჩვენი ჯგუფი, რომელიც სულ რამდენიმე ადამიანისგან შედგება, გიგა კუხიანიძის ხელმძღვანელობით, 2008 წლიდან მუშაობს „ევროვიზიის“ პროექტზე, რომელიც საქართველოსთვის საბავშვო კონკურსებს შორის ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. 2008 წელს იყო ჯგუფი „ბზიკების“ პირველი ადგილი, ამას მოჰყვა მარიამ კახელიშვილის მეოთხე ადგილი, შემდეგ იყო ჯგუფი „ქენდი“ კვლავაც პირველი ადგილით და წელს უკვე ჯგუფმა **FUNKIDS** მოიპოვა მეორე ადგილი.

— საქართველოსთვის საბავშვო „ევროვიზია“ საკმაოდ წარმატებული კონკურსია. როგორ ფიქრობთ, რა გახდა ამ წარმატების მიზეზი და კმაყოფილი ხართ თუ არა წლევანდელი შედეგით?

— ჩვენი პროექტები ყოველთვის საინტერესო და განსხვავებულია. ჩვენი პირველი წარმატება იყო ჯგუფი „ბზიკები“, რომელმაც 2008 წელს „ევროვიზიაზე“ პირველი ადგილი დაიკავა. არანაკლებ საინტერესო და წარმატებული აღმოჩნდა მარიამ კახელიშვილის რადიკალურად განსხვავებული და არაორდინალური პროექტი, რომელმაც, მართალია, მეოთხე ადგილი მოიპოვა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნების ტელევიზიებისა და პრესის ჯერ არნახული დაინტერესება გამოიწვია. ამას მოჰყვა ჯგუფ „ქენდის“ პირველი ადგილი. მოკლედ, ჩვენმა პროექტებმა გაამართლა და სულ უფრო და უფრო პოპულარულები გავხდით. რაც შეეხება წლევანდელ კონკურსს, ჯგუფმა **FUNKIDS** მეორე ადგილი დაიკავა 12 ქვეყანას შორის. ეს არის შესანიშნავი შედეგი და დიდი წარმატება. რაც მთავარია, „ევროვიზიის“ ჟიურის ყველაზე მაღალი შეფასება – 12 ქულა დავიმსახურეთ მაშინ, როცა გამარჯვებულმა უკრაინელმა გოგონამ, იგივე ჟიურისგან, 10 ქულა მიიღო.

— როგორ შეირჩევა ბავშვები ამ პროექტისთვის და როგორ შეიქმნა ჯგუფი FUNKIDS?

— ამ პროექტისთვის ბავშვების შერჩევა ხდება საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფის მიერ კონკურსის წესით. ჟიურის ერთ-ერთი წევრი გახლავთ მუსიკოსი გიგა კუხიანიძე, რომელიც ჩვენი სტუდიისა და ამ პროექტის ავტორია. მისი დაწერილია ჩვენს მიერ „ევროვიზიაზე“ წარმოდგენილი თითქმის ყველა სიმღერა. ბავშვი, ვოკალური მონაცემების გარდა, ისეთ კრიტერიუმებსაც უნდა აკმაყოფილებდეს, როგორიცაა სამსახიობო მონაცემები, პლასტიკა, ქორეოგრაფია. რაც შეეხება ჯგუფს **FUNKIDS**, მის შემადგენლობაში ოთხი ბავშვია: ქეთი სამხარაძე, ნინი დაშნიანი, ელენე არაჩაშვილი და ლუკა ყარმაზანაშვილი. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, ჯგუფი ყოფილიყო შეკრული და მომხდარიყო თითოეული ბავშვის შესაძლებლობის მაქსიმალური რეალიზება, რათა ჯგუფის წევრებს ერთნაირი დატვირთვა ჰქონოდათ.

— რამდენად ძლიერი კონკურენტები გყავდათ?

— კონკურსამდე რამდენიმე ხნით ადრე ხდება ცნობილი, რომელი ქვეყანა რა სიმღერას წარმოადგენს. ასე რომ, ჰოლანდიაში წასვლამდე, ჩვენ უკვე ვიცოდით, რას იმღერებდნენ კონკურენტები და, დარწმუნებულებიც ვიყავით, რომ ძალიან კარგი მასალა გვეჭირა ხელში. ხმამაღალი განაცხადია, მაგრამ თავიდანვე იგრძნობოდა, რომ წელს საბავშვო „ევროვიზიაზე“ ამინდს საქართველო ქმნიდა. დიდი სიამაყით ვაცხადებ, რომ მონაწილე ქვეყნები თითქოს რაღაცით ჩვენს მიბაძვას ცდილობდნენ. პოსტსაბჭოთა ქვეყნების დელეგაციიდან ასეთი რეპლიკაც კი იყო, რამდენი ფული აქვს საქართველოს დახარჯული ამ კონკურსში, ყოველ წელიწადს ასეთი წარმატებულები რომ არიანო. მინდა განვაცხადო, რომ არანაირი ფინანსური დაინტერესება ჩვენი მხრიდან არ არსებობს და არც ერთი კაპიკი ამ კონკურსზე არ დახარჯულა. ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი ენთუზიაზმით კეთდება.

— რატომაა საქართველო უფრო წარმატებული საბავშვო „ევროვიზიაზე“, ვიდრე უფროსების?

— ჩემი აზრით, უფროსების „ევროვიზია“ უფრო მეტად პოლიტიზირებულია, ვიდრე საბავშვო. გარდა ამისა, ჩვენ სწორად ვფუთავთ წარმოდგენილ პროექტებს, რაც მას უფრო საინტერესოსა და წარმატებულს ხდის. თანაც საბავშვო „ევროვიზიაზე“ ნაკლებადაა სკანდალები.

— საქართველოში, „მზიურის“ შემდეგ, „ბზიკები სტუდიო“ პირველია, ვინც ამ მასშტაბის წარმატებას მიაღწია.

— გეთანხმებით, მართლაც ასეა. ცოტა ხნის წინ, გადავიღეთ ძალიან საინტერესო ვიდეორგოლი, სადაც ყველა „ევროვიზიელი“ მონაწილეობს. ეს ყველაფერი კეთდება ჩვენი სახსრებით და საწყენია, რომ საქართველოში საბავშვო „ევროვიზიით“ სპონსორები არ ინტერესდებიან. არადა, მათი დახმარებით, კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შევძლებდით.

მანანა ონიანი: „მე მაქვს ხელფასი, რომლის დაკარგვის საფრთხის წინაშე მაყენებს „ოცნების“ შტაბის უსინდისო ამბიციები და ცრუ ბრალდებები!“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„ვერსიაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ლენტეხის მაჟორიტარ დეპუტატთან გოგი ლიპარტელიანთან, სადაც საუბარი იყო 1 ოქტომბრის არჩევნებში „ოცნების“ შტაბის ბრალდებებზეც. რამდენიმე დღეში „ვერსიას“ ლენტეხიდან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მანანა ონიანი ესტუმრა, რომელმაც რეპლიკის სახით, მცირე განმარტება ითხოვა, შესაბამისი დოკუმენტაციაც მოიტანა და განაცხადა, რომ „ოცნების“ ბრალდებები საფრთხეს უქმნის მის პოსტზე ყოფნას. „ვერსიამ“ ლენტეხიდან ჩამოსულ სტუმარს განმარტებების გაკეთების საშუალება მისცა და რამდენიმე კითხვაც დაუსვა:

— მე წავიკითხე მასალა — თქვენი ინტერვიუ გოგი ლიპარტელიანთან, სადაც საუბარია, რომ ლენტეხში საარჩევნო კომისიამ არჩევნები ტოტალურად გააყალბა. ამაზე მთავარი ხელმომწერი კი მე, საოლქო კომისიის თავმჯდომარე გამოვდივარ. დიახ, არის რამდენიმე ოქმი, სადაც დაშვებულია ტექნიკური, მექანიკური ხასიათის შეცდომები, მაგრამ ჩვენ გვეძლევა საშუალება, რომ გვქონდეს ჩასწორების ოქმი.

— არადა, ეს შეცდომები არც ისე მექანიკურია, როგორც ამას „ოცნების“ საარჩევნო შტაბი აცხადებდა — მათ 23-დან რამდენიმე უბანი მოიგეს, მაგრამ იქაც კი ითხოვდნენ არჩევნების შედეგების გაუქმებას.

— მომიყვანოს ერთი ფაქტი მათი საარჩევნო შტაბის უფროსმა თამაზ თურმანიძემ, როცა თუნდაც აგიტაციას ეწეოდა კომისიის რომელიმე წარმომადგენელი! არ მინდა პოლემიკაში შესვლა ყოფილ კანდიდატ გია გაზდელიანთან, ამიტომ მოვიდეს ის თურმანიძე და მე მელაპარაკოს. მე მოვიყვან ფაქტებს, რას როგორ აკეთებდნენ, მათ კი დაასახელონ თუნდაც ერთი შემთხვევა, საოლქო თუ საუბნო კომისიაში, როცა მათი უფლებები დაირღვა!

— ისიც ითქვა, „ოცნების“ 2 წარმომადგენელი სადღაც გაქრა არჩევნების დღესო.

— ვიდეოს იღებდნენ ყველა უბანზე და ისე იყვნენ მობილიზებულნი, გეგონება, ომში მიდიოდნენ, ოღონდაც კანონდარღვევების ფაქტი ჰქონოდათ. გაიშიფროს ის ვიდეოჩანაწერები და გვაჩვენონ, სად წავიდა ეს ხალხი?! ბოდიში და, ტუალეტში გასვლის საშუალება არ ჰქონდათ კომისიის წევრებს, ისეთი სიტუაცია იყო მთელი დღის განმავლობაში! მერე შემოიტანეს საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიაში, სადაც ითხოვდნენ, მთელი ოლქის შედეგი ბათილად იქნას ცნობილიო. ოლქი კი არა, ერთი უბანიც რომ ცნონ ბათილად, ამისთვის ძალიან ბევრი რამაა საჭირო. არც ერთი საჩივარი არც ერთ უბანზე არ მქონია და რომც მქონოდა, უბნის შედეგის გაუქმებისთვის ერთი საჩივარი არ კმარა. უბნის გაუქმებისთვის, იქ ყალბი ბიულეტენები უნდა შევიდეს, ყუთის მთლიანობა დაირღვეს, საკონტროლო ფურცლებს შორის შეუსაბამობა იყოს და ა.შ. შედეგების გაბათილებისთვის ხელმოსაჭიდი არაფერი აქვთ!

— თუმცა, თქვენ გაქვთ გადასწორებული ოქმები, ასევე ორმა ადამიანმა ლენტეხში პირადობის მოწმობის გარეშე მისცა ხმა. ასე იყო?

— კომისიის მდივანმა, 300 პროპორციული და 300 მაჟორიტარულის ნაცვლად, მიღებულ ბიულეტენთა რაოდენობაში 600 ჩაწერა. ეს მექანიკური შეცდომაა, რაც შესწორების ოქმში გასწორდა და თქვენ ეს ოქმი მოგიტანეთ. ის მდივანი პირველად იყო უბანში და რა ვქნა?! ასე მოუვიდა, მაგრამ აქ მაქვს საბუთი, რომ იმ მეცხრე უბანზე, სადაც მაიზერ ბაბლუანი გახლდათ კომისიის წევრი, ყველაფერი გასწორებულია. არჩევნების შემდეგ კი მაიზერი უკვე ლენტეხის პოლიციის უფროსი გახდა. იმ პოლიციის უფროსობას, გეფიცებით, უკვე დეზინფორმაციითა და ცრუ ბრალდებებით მიაღწია — უნდოდა და იშოვა კიდეც სამსახური, ჩემი სამსახურის დისკრედიტაციის ხარჯზე! რაც შეეხება კანონდარღვევას, როცა ორმა კაცმა პირადობის მოწმობის გარეშე მისცა ხმა — მათ სახლი დაეწვათ, კომისიის წევრებმა ადამიანურად გაუგეს, ასე ვთქვათ, და ხმა მიაცემინეს, მაგრამ ეს შევიდა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში დარღვევად. მათი არჩევნებზე მოსვლა და ხმის მიცემა, თუნდაც გოგისთვის, იმიტომ უნდოდათ, რომ მათი სახლი შეეკეთებინა! ეს არაა დანაშაული — ივანიშვილის მადლი თუ მადლია, ლიპარტელიანის მადლი მადლი არ არის?

— სხვათა შორის, თურმე, დადიოდა ლიპარტელიანის ხალხი და „250 ლარი, ერთი ხმის სანაცვლოდო“, გაიძახოდა.

— ჩემთან რომ შემოსულიყო ამ ხასიათის საჩივარი და რეაგირება არ მქონოდა, მაშინ ვიქნებოდი დამნაშავე, მაგრამ რომ არ შემოსულა, მე რა მექნა?! რისი უფლებაც კანონით მქონდა, იმას ვაკეთებდი. არანაკლებად დადიოდა ოცნების ხალხიც, მაგრამ აქ ამაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ.

გია გაზდელიანმა იცის, რაზეც ახლა ვლაპარაკობ, მაგრამ იმ თურმანიძეს თუ ვნახავ, მასაც ვეტყვი. თურმანიძემ და ბაბლუანმა არ იცოდნენ ლენტეხი!

გია კარგი ბიჭია, ღირსეული სვანი, კარგი მამაა და კარგი ოჯახის პატრონია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკური იდეები მოსვენებას არ აძლევს. ახლა, არც გოგია აქტიური პოლიტიკოსი, მაგრამ ქვემო სვანეთის სოციალურ მდგომარეობას აუმჯობესებს! სხვათა შორის, 54%-ით მოიგეს „ნაციონალებმა“ და 70%-ით მოიგო ლიპარტელიანმა.

— ახლა იტყვიან, რომ გოგი ლიპარტელიანის დავალებით მოხვედით ამის სათქმელად და მან ფული გადაგიხადათ.

— ჩემი მოტივაციაა, რომ შემთხვევით წავიკითხე გაზეთში თქვენი ინტერვიუ გოგი ლიპარტელიანთან, დავაქსეროქსე და მოვდივარ ამ გაზეთით. 12 წელია, თუ კიდევ მეტი, ერთი და იგივე ტანსაცმლით დავდივარ და არავისთვის არაფერი გამომირთმევია. მე მაქვს ხელფასი და იმ ხელფასის დაკარგვის საშიშროების წინაშე მაყენებს „ოცნების“ შტაბის უსინდისო ამბიციები და ცრუ ბრალდებები! არადა, არჩევნების დღეს დარღვევაც არ ყოფილა, ხმის დათვლის პროცესშიც არაფერი მომხდარა.

საჩივარს რაც შეეხება, ბაბლუანი იურისტია, იყო კომისიის წევრი, „ოცნების“ შტაბის წევრი და არჩევნების მერე გახდა პოლიციის უფროსი ლენტეხში! რაც შეეხება საჩივარს, ჯერ ერთი, „ოცნების“ კომისიის წევრებმა იცოდნენ, რომ არჩევნები კანონდარღვევით არ ჩატარებულა. მაიზერ ბაბლუანმაც გადასარევად იცოდა, რომ ორი დღის ვადაში უნდა გაესაჩივრებინა, თუ რამე უნდოდა, მაგრამ გაასაჩივრა დაგვიანებით, რათა მერე აქეთ მოეცხო ჩირქი სასამართლოსთვის, საქმე არ განიხილაო. როგორ დავიჯერო, იურისტმა არ იცოდა საარჩევნო დავების ვადა?! ამის შემდეგ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციოში და არც განიხილეს, რადგან წინა ინსტანციის გადაწყვეტილება საფუძვლიანი იყო. რამდენჯერმე საჯაროდაც ვთქვი, „ქართული ოცნების“ მესვეურებმა შეისწავლონ, რა წარმომადგენლობაც ჰყავდათ და ჰყავთ ლენტეხში. კარგი, ჩამთვალეთ მხარედ, ჩემი საქმეა, ხმა იმას მივცე, ვისაც მინდა, მაგრამ ჩამოდით ლენტეხში და, იკითხეთ, როგორ ჩატარდა არჩევნები და იყო თუ არა ვინმე საოლქო კომისიიდან მიკერძოებული.

— არჩევნების მერე ლენტეხში, ცუდი პროცესები წავიდა — ძველი გამგებელი, „ნაციონალი“ რომან მუკბანიანი გადადგა და „რესპუბლიკელი“ სოსო მუკბანიანი დაინიშნა მოვალეობის შემსრულებლად. ახლა სიტუაცია დალაგდა?

— ვერ გეტყვით, სოსო მუკბანიანიც იყო „ოცნების“ შტაბში, მაგრამ სხვებს გამგებლად გათვლილი სხვა ვინმე ჰყავდათ. საბოლოო ჯამში, დღის ბოლოს, როცა ხმები შეჯამდა და ნახეს, რომ მათთვის სასურველი შედეგები არ იყო, ათასნაირი ტყუილი ააგორეს და ცილი დამწამეს. მათ რომ რამე ხელმოსაჭიდი ჰქონდეთ, რაც რომელიმე უბნის შედეგზე გავლენას მაინც მოახდენს, გვაჩვენებდნენ, ასეთი კი არაფერი აქვთ!



შესწორების ოქმი



№ 46 ლენტეხის

ვის შეაქვს სარჩელი გივი თარგამაძის წინააღმდეგ და რა ინტერესი აქვს „ნაციონალ“ დეპუტატს ნინო ბურჯანაძის დეიდაშვილის, ზვიად ბერაძის მიმართ

ნათია კორკოტაძე: „თარგამაძეს ამირიძისა და ოთანაძის ციხიდან გამოსვლის ეშინია, რადგან ისინი ყველაფერს ნათელს მოჰფენენ!“

გივი თარგამაძესთან სკანდალური ინტერვიუს შემდეგ „ვერსიას“ იმ რამდენიმე პირის ადვოკატი გამოეხმაურა, ვისი პოლიტპატიმართა სიაში შეყვანაც დეპუტატმა განსაკუთრებით გააპროტესტა. **„ჩახედეთ სიაში მეშვიდე ნომერს — ზვიად ბერაძე არის ადამიანი, რომელიც კაცისკვლაზე წავიდა. როგორც ნანა კაკაბაძემ განაცხადა, მისი ამ სიაში შეყვანის ერთადერთი საფუძველი ისაა, რომ ჩემი ძმის მეგობარიაო“,** — აცხადებდა საუბრისას თარგამაძე. როგორც **ნათია კორკოტაძე**, ზვიად ბერაძის ადვოკატი მიიჩნევს, თარგამაძეს ბერაძის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ იგი ნინო ბურჯანაძის დეიდაშვილია — ადვოკატი „ვერსიას“ თავად დაუკავშირდა და რამდენიმე საინტერესო განცხადებაც გააკეთა: **„მე წავიკითხე თქვენი სტატია — „სკანდალური ინტერვიუ, რის გამოც გივი თარგამაძეს დაიჭერენ“, სადაც ერთ-ერთი კითხვის შემდეგ, თარგამაძე პოლიტპატიმრების სიაში მეშვიდე ნომრად შეყვანილ ზვიად ბერაძეზე ამბობს, ის კაცისკვლაზე წავიდა. ძალიან ცდება გივი თარგამაძე და მინდა ვუთხრა — ზვიად ბერაძე არის ნინო ბურჯანაძის დეიდაშვილი. იგი დაკავებულია 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით. მას იარაღი საერთოდ არ უნახავს, იარაღი სასამართლო პროცესზე მოიტანეს. იგი 2011 წლის 26 მაისს დააკავეს და ეჭვი მაქვს, გივი თარგამაძეს მის მიმართ სხვა ინტერესი აქვს — კარგად შეისწავლოს მისი „დანაშაული“ და ცილი ისე დასწამოს! თარგამაძე ბევრ რამეს კადრულობს, რადგან მე სამუშაო ჯგუფშიც ვიყავი, ვარ ჰელსინკის ჯგუფში, სადაც 2007 წლიდან იხილებოდა პოლიტპატიმრების საკითხი, ასე რომ, თარგამაძე რომ ამბობს, თითქოს, გუშინ და გუშინწინ დაიწყო ეს პროცესი და ხაზს „კაკაბაძე-ბესელიას სიას“ უსვამს, მტკნარი ტყუილი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა. 2007 წლიდან, ვისაც მათი რეჟიმის მოქმედებების გამო განცხადებები შემოჰქონდა, ყველას საქმეს ვიხილავდით და ყველა არც მაშინ გვიღიარებია პოლიტპატიმრად. რაც შეეხება ბერაძეს — იგი ბურჯანაძის დეიდაშვილია და ლადო ბედუკაძესაც აქვს ნათქვამი, რომ თურმე, ციხეში ამბობდნენ, ბურჯანაძის დეიდაშვილი შემოდის, ცემა არ გაბედოთ, მაგრამ ფიზიკური ზემოქმედება მოახდინეთო. ზვიადს 2 კვირა დასაწოლიც არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის არ უთქვამს. ბევრ სხვა არაადამიანურ ქმედებასაც ჰქონდა მის მიმართ ადგილი. ნინო ბურჯანაძესთან ნათესაობის გარდა, ზვიად ბერაძისადმი სხვა ინტერესი არ შეიძლება იყოს. იგი დააკავეს 21 მაისს, როცა საპროტესტო აქციები იწყებოდა. 12 საათზე გამოვიდა თავის მეუღლესთან ერთად, სუპერმარკეტში და გზაში აიყვანეს“.**

გივი თარგამაძის კიდევ ერთი პასაჟი, რასაც ადვოკატი ეხმაურება, „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებიდან ოპოზიციაში გადასულ აქტივისტს, მერაბ მაისურაძეს ეხება, რომელიც მმართველი პარტიის ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო და ამის მერე გახდა „დაიცავი საქართველოს“ წევრი. **ნათია კორკოტაძე: „მერაბის ხსენებას თავი დაანებოს გივი თარგამაძემ, ეს ადამიანიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფია და ის, რაც მოხდა, თარგამაძის პროვოცირებული იყო, რადგან კაცი მანამდე მათთან მუშაობდა, მაგრამ როცა ამ რეჟიმის სახე დაინახა, წამოვიდა ოპოზიციაში და ზუსტადაც, ყველაფერს უკეთებდა ოპოზიციას, რომ ეს ხელისუფლება წასულიყო“.**

ნათია კორკოტაძეა გარდაცვლილი გია კრიალაშვილის ოჯახის ინტერესების დამცველიც, რომელსაც, ოთანაძესთან გივი თარგამაძე ქვეყნის გადატრიალების რეციდივისტებს უწოდებს. როგორც ირკვევა, განცხადება მათი ბრალის გადასინჯვის შესახებ, პროკურატურაში უკვე შეტანილია და არაა გამორიცხული, ახალი საქმე გივი თარგამაძის წინააღმდეგაც აღიძრას, რომელიც დაღუპული კრიალაშვილის გვამის ცემასა და შეურაცხყოფას ინტერვიუშიც უარყოფდა. **ნათია კორკოტაძე: „მე გია კრიალაშვილის ოჯახის ინტერესებსაც ვიცავ. კრიალაშვილი, ოთანაძე და ამირიძე ერთდროულად წაიყვანეს საპატიმროში. კრიალაშვილს წიხლებს ურტყამდა და მკვდარს სცემდა გივი თარგამაძე, ტუტუცი, თავხედი — რეციდივისტი და უზნეო თვითონ არის! ცნობილია, რომ ოთანაძეს თითები დაუხვრიტეს! მას იმიტომ ეშინია ამირიძისა და ოთანაძის ციხიდან გამოსვლის, რომ ისინი ყველაფერს ნათელს მოჰფენენ! ამ ადამიანებმა თავიანთ ადვოკატებს ინტერვიუც მისცეს. უკვე შეტანილია სარჩელი პროკურატურაში — ვითხოვთ გამოძიების თავიდან დაწყებას და გია კრიალაშვილის რეაბილიტაციას. რა თქმა უნდა, სარჩელი თარგამაძესაც შეეხება — როგორც ჩვენ ვიცით, თარგამაძე, მერაბიშვილი და უგულავა იქ ბრძანდებოდნენ, როცა კრიალაშვილის დახვრეტა და ლიკვიდაცია მოხდა. ამ დროს, ვანო მერაბიშვილმა სააკაშვილს დაურეკა და უთხრა, მიშა, ყველა ლიკვიდირებულიაო. მას ეგონა, რომ სამივე ადამიანი მკვდარი იყო, მაგრამ დარჩა ორი მოწმე. ოთანაძესაც და ამირიძესაც შეტანილი აქვთ განაჩენის გადახედვის შესახებ სარჩელი და მეც, როგორც კრიალაშვილის ოჯახის ადვოკატმა, განცხადება პროკურატურაში უკვე შევიტანე“.**

ნინო კომახიძე



ფსიტის ციხე

გზა ტყეში

ქვათა მატიანე

ტყეში ჩაძირული კუნტუსი

თურდოს ხეობა

გელა ძოძიაშვილი

თბილისიდან თელავის მიმართულებით დაძრულებს დილა უჯარმაში გვითენდება. ამჯერად თურდოს ხეობაში ის ძეგლი გვაინტერესებს, რომელსაც გიორგი ჩუბინაშვილი უცნაური სახელით — **კუნტუსით** მოიხსენიებს. როგორც შემდეგ დავადგინეთ, **კუნტი ის ბალახია, რომელსაც კაკაბი ეტანება.**

რაკი ძეგლის მიახლოვებითი კოორდინატები ვიცით, სოფელ თეთრწყლებში ვჩერდებით და ვცდილობთ, კუნტუსის საყდრის ზუსტი მდებარეობა სოფლელებისგან შევიტყოთ.

დიდი სჯა-ბაასის შემდეგ სოფლის გამგებელთან მგზავნიან, გამგებელი მეტყევესთან მაკავშირებს, მეტყევე კი მძღოლთან — გზა მისნაირად არავინ იცისო.

ტყის მცოდნე მძღოლს — გია მაისურაძეს თელავიდან ამოსვლა აგვიანდება, მაგრამ „მერსედესიდან“ „გაზ-66“-ზე აბარგებულები თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობთ — კუნტუსის ეკლესია ვეღარსად დაგვემალება. როგორც ირკვევა, თურდოს ჭალით უნდა ვიმგზავროთ, სადაც სხვა ვერც ერთი მანქანა ვერ გაივლის.

გზას თელავის მიმართულებით ვაგრძელებთ, თურდოზე გადებულ ხიდთან, ხელმარჯვნივ ჭალაში ვეშვებით და მდინარეს აღმა მივუყვებით. ჭალა უშველებელი ლოდებითაა მოფენილი, ერთ დროს თელავისთვის სასმელი წყლის გაყვანისას ტრაქტორებით გაკვალული გზა აღარ ჩანს. 3 კილომეტრის გავლას 40 წუთს ვანდომებთ. ჩვენგან ხელმარცხნივ, ქედზე მრისხანე ციხის ნაშალი მოჩანს. ეს **ფსიტის ციხეა.** ქარაფისა და მასიური ტყის გამო, იგი ჩვენი მხრიდან მიუვალია. ზევით მოხვედრა შუამთის მონასტრიდან შეიძლება მხოლოდ. ბილიკების სიგრძე დაახლოებით 6 კილომეტრია. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ციხეზე შემორჩენილია შუაზე გაპობილი ერთი დონჟონი, სხვა ორი კოშკისა და გალავნის ფრაგმენტები. იქვეა პატარა სამლოცველოს უმნიშვნელო ნაშთიც. ამ ციხესიმაგრეს, როგორც გიორგი ჩუბინაშვილი წერს, მეორე სახელიც ჰქონია — **ფეიტანი**. ფსიტის ციხე პირველად კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (XVI ს-ის მეორე ნახევარი) ერთ-ერთ საბუთშია ნახსენები. როგორც ჩანს, იგი ამ დროს განახლებულა. პროფესორ დავით მუსხელიშვილს საქართველოს ისტორიის ატლასზე იგი XIV საუკუნიდან აქვს დატანებული, მაგრამ შეუძლებელია მანამდე სხვა ბასტიონი არ მდგარიყო. საქმე ის არის, რომ ფსიტის ციხე აღმართულია გომბორის ქედის ჩრდილოეთ შტოზე ანუ შუა მთაზე, რომელიც უძველეს დროში კახეთს ჰერეთიდან გამოყოფდა და პირობით საზღვარს წარმოადგენდა. ფსიტის ციხე უჯარმა-ბოჭორმა-გულგულა-ლოპოტას სიმაგრეთა ჯაჭვის შუა რგოლი უნდა ყოფილიყო XIV საუკუნემდე. გარდა ამისა, მას თურდოს ხეობაში გამავალი კახეთის შიდა გზაც უნდა გაეკონტროლებინა. ფსიტის ციხე პირველად, ალბათ, 1399 წელს დაინგრა, როცა თემურ-ლენგმა VI შემოსევის დროს ბოჭორმიდან თელავისკენ ილაშქრა. როგორც ირკვევა, კახეთის შორსმჭვრეტელმა მეფე ალექსანდრემ ციხეს 1587 წელს აღუდგინა ფუნქცია (თუ რატომ ამ წელს, ოდნავ ქვევით შევიტყობთ). ციხე მეორედ, ალბათ, 1619 წელს დაინგრა, როცა უკვე შაჰ-აბასის ლაშქარმა გაიარა აქ.

... იქ, სადაც ფსიტის ციხეა, თურდოსხევს სამხრეთიდან **ფსიტისხევი** უერთდება და ახლა მის ლოდოვან ჭალას მივუყვებით. ორიოდ კილომეტრის გავლის შემდეგ, ხელმარჯვნივ ვუხვევთ და დაბურულ ტყეში შევდივართ. ეს გზა (გზას პირობითად ვამბობ) კიდევ უფრო საშინელია: ლოდები, მუხლს ზემოთ ტალახი, წაქცეული ხეები... ორჯერ ჯალამბრის გამოყენება გვიწევს. კიდევ ერთი კილომეტრი და ძეგლს მივადექით.

ტაძარი ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, რომლის გამოყენება კახეთში, ქართლთან შედარებით, გაცილებით ადრე დაიწყო. კონსტრუქციულ ნაწილებში შირიმის თლილი ქვაა გამოყენებული. **ჩვენს წინაშეა მოზრდილი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (21 X 18 მ), რომელსაც საკმაოდ ფართო გუმბათის ყელი ჰქონია. იგი აფრებით ეყრდნობოდა ოთხი მკლავის მხრებს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავები რამდენადმე გრძელია, ვიდრე სამხრეთისა და ჩრთილოეთისა.**

საყდარს სამი შესასვლელი აქვს (სამხრეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის). აბსიდიანი და კონქიანი მხოლოდ აღმოსავლეთის მკლავია. აბსიდის მარჯვნივ და მარცხნივ დამოუკიდებელი სადიაკვნო და სამკვეთლოა. სამკვეთლოს შესასვლელი არქიტრავული ყოფილა, რასაც ადასტურებს მარჯვენა წირთხლზე შემორჩენილი ბალავრის ნატეხი. მასზე ასომთავრული ქართული წარწერის ნაწილია შემონახული. ბალავრის დანარჩენი ორი მესამედი, ანუ კიდევ ორი ნატეხი, თელავის მუზეუმში ინახება. თუ ბალავარს აღვადგენთ, აქა-იქ დაზიანებული წარწერა, თ. ბარნაველის გაშიფვრის მიხედვით, ასე იკითხება: **„ჰოი ყოველთა ნაშობთა... უმეტეს და წინასწარმქადაგებელო სიტყვისა ღმრთისაო, წინამორბედო ქრისტესა იოანე. ჩვენ მსასოებელმან ცვაფარ...ვითა შენთა მა...ალექსანდრე ხელვყავ მეორედ შენებად და მკობად ტაძრისა შენისა სალოცველად და სულისა ჩვენისა სახსრად, ამინ. ქორონიკონისა სოე (ე.ი. 1587 წ. გ.ქ.).“** ეს ის წელია, როცა კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება დაიდო და კახეთმა ორი წლის შემდეგ „წყალობის სიგელი“ მიიღო. ქართლის მეფის, სვიმონ პირველისგან განსხვავებით, ალექსანდრე II თავის სამეფოს ხმალზე მეტად გონებით და დიპლომატიური გამჭრიახობით მართავდა და ციხე-ტაძართა აღდგენითაც გამოირჩეოდა. **სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი, კუნტუსის „ნათლისმცემლისა“ და შუამთის მონასტრის პარალელურად, იმავე თურდოს ხეობაში მდგარ ფსიტის ციხესაც 1587 წელს აღადგენდა.**

შაჰ-აბაზის კახეთში ლაშქრობის შედეგად მეორედ დანგრეული კუნტუსის ეკლესიის აღდგენა მომდევნო ხანებში კიდევ ერთხელ უცდიათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვეღარ მიუყვენიათ. ამაზე მიგვანიშნებს გუმბათის ყელის მოხსნა — იგი ერთ დონეზეა მოკვეთილი. იგივე ითქმის უკამაროდ დატოვებული მკლავების შესახებ.

კუნტუსის ჯვარგუმბათოვანი საყდარი ბოლო კვლევის საგანი 1934-1935 წლებში გახდა, როცა იგი გიორგი ჩუბინაშვილმა და ნიკო ბერძენიშვილმა შეისწავლეს. იმ დროს გადაღებული ფოტოს თანახმად, ტაძარი ასე ღრმად არ ყოფილა ტყეში ჩაკარგული. მას შემდეგ ვიღაც მადლიანი აცოცებულა კედლებზე და ზედ ამოსული მცენარეები მოუჭრია. სამწუხაროდ, მას ირგვლივ აღმოცენებული უშველებელი ხეების გაკაფვა ვერ გაუბედავს დღეს ეს ხეები ისე ჩრდილავს ძეგლს, რომ ფასადების, მეტადრე კი აღმოსავლეთის ნიშებიანი კედლის დაფიქსირება ძალიან ჭირს.

იბადება შეკითხვა: X-XIII საუკუნეთა ტაძარი მუდამ ასეთი მიუდგომელი იყო და მხოლოდ დაყუდებულ ბერებს ემსახურებოდა თუ ხეობის მოსახლეობის ერთ-ერთი აღიარებული სამლოცველო გახლდათ?

სოფელ თეთრწყლების ამჟამინდელი მკვიდრებისთვის რომ უცხოა ძეგლი, ეს ორი ფაქტითაც დასტურდება: აქ ვერც დანთებული სანთლის კვაღს მიაგნებთ და ვერც სადმე გადანახულ სადღესასწაულო ინვენტარს. სოფლიდან ჩამომავალ საურმე გზაზე და ბილიკზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ამის მიზეზი თეთრწყლების მოსახლეობის ცვლა უნდა იყოს. **გაუკაცრიელებულ ნასოფლარში XX საუკუნის დასაწყისში ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსახლებული გვარები: ჯღუთაშვილები, წიკლაურები, კარატიელები, თეთრაულები, არაბულები, გოგოჭურები, ჭინჭარაულები, ფიცხელაურები, ქეთელაურები და კარიაულები დაფუძნებულან.** კუნტუსის „ნათლისმცემელთან“ უფრო ახლოსაა ნასოფლარი, რომელსაც ახლა ნაქალაქარ ალაგს უწოდებენ და თურდოსხევის სათავე შენაკადის — **ქაჯიხევის** თავზე მდებარეობს. XVI-XVII საუკუნეებში აქაურობა უდავოდ, სხვაგვარად გამოიყურებოდა.

ვტოვებთ კუნტუსის და ფსიტის ციხის მიდამოებს და ცენტრალურ მაგისტრალზე გამოვდივართ. ამის მერე მცირე ხნით შუამთის ცნობილ მონასტერში ვჩერდებით და თურდოს ხეობას თავქვე მივუყვებით, რათა მდინარის მარცხენა სანაპიროზე შეფენილი რუისპირი მოვინახულოთ.

ავტორის ფოტოები

„ნათლისმცემლის“ გარე და შიდა ხედები

ალექსანდრე მეფის წარწერა

გიორგი მაისურაძე

XX საუკუნის 80-90-იან წლებში საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და სულიერმა კრიზისმა წითელი იმპერია დაშალა. კომუნისტურმა დრაკონმა კონტროლი ჯერ აღმოსავლეთ ევროპაზე დაკარგა, ხოლო მისი მზე, საბოლოოდ, 1991 წლის 26 დეკემბერს ჩაესვენა, როდესაც რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის პრეზიდენტებმა საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად გამოაცხადეს – მსოფლიოს 1/6-ზე გაფენილი უზარმაზარი სახელმწიფოს ნაცვლად, 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო აღდგა.
თუმცა, მას შემდეგ რუსები სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ დომინანტური პოზიციის აღდგენას. ყოფილი „ძერჟავა“ პოლიტიკური მიზნის განხორციელებას სპორტული პროექტებითაც ცდილობდა.

კრემლის ახალი პოლიტიკური თამაში კოდური სახელწოდებით „საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის აღდგენა“

ისევ გაერთიანებულ რუსულ იდეებს რა ვუყოთ

გაზპრომის საფეხბურთო-პოლიტიკური პროექტი

ერთ-ერთი ასეთი „საკენკი“ ნოემბრის ბოლოს, უმძლავრესი კომპანია „გაზპრომის“ ხელმძღვანელმა **ალექსეი მილერმა** პეტერბურგის „ზენიტის“ ოფიციალურ ვებგვერდთან მიცემულ ინტერვიუში გააჟღერა („გაზპრომი“ ამ კლუბის მთავარი დამფინანსებელია):

„შესაძლოა, „ზენიტმა“ რუსეთის პრემიერლიგა დატოვოს და დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ჩემპიონატში ითამაშოს. მიმაჩნია, რომ ყოფილი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები ერთიან საფეხბურთო სამყაროში უნდა გაერთიანდნენ და ერთიანი ჩემპიონატი დააფუძნონ. მეც და „გაზპრომიც“ ამ იდეის აქტიური მხარდამჭერნი ვართ. ამ თემაზე სერიოზულ ადამიანებთან უკვე ვილაპარაკე. პრაქტიკულ სამუშაოებსა და მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და უახლოეს ხანებში ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. დღეს მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ახალი ჩემპიონატის საფუძველი რუსულმა და უკრაინულმა კლუბებმა უნდა შექმნან“.

რეალურად, სპორტული ინიციატივა პოლიტიკური შეფერილობის არის და რა თქმა უნდა, „გაზპრომის“ თავკაცი რუსეთის პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერის გარეშე ვერ გააჟღერებდა. შესაძლოა, სულაც კრემლის მიერ იყოს ინიცირებული. ეს იქიდანაც დასტურებდა, რომ იდეის ტირაჟირება რუსულმა სამთავრობო მედიასაშუალებებმა დაიწყეს.

ამ ვარაუდის კიდევ ერთი და ყველაზე თვალსაჩინო დასტური: კრემლმა ღია მხარდაჭერა დააფიქსირა.

კრემლის თანადგომა გარანტირებულია

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **სერგეი ივანოვმა** სენსაციური აღიარება გააკეთა: თურმე, ინიციატივა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ განიხილა.

„ტურნირში, სადაც „ეს-ენ-გეს“ 3-5 ქვეყნის კლუბები ითამაშებენ, სპორტული კუთხით უფრო ძლიერი და სანახაობრივი იქნება, ვიდრე ნებისმიერი მონაწილე ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი. ეს უკვე მოხდა ჰოკეისა და კალათბურთში. გაერთიანებული ტურნირის იდეა რუსული კლუბების მეპატრონეებთან ერთად, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ განვიხილეთ. მაგრამ მაშინ ეს იყო მხოლოდ იდეა და მეტი არაფერი. დღეისთვის, ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელია, რადგან მრავალი გადაუწყვეტელი პრობლემაა. მაგრამ ბოლო დროს, უეფა-მ რეგიონული ტურნირების მიმართ პოზიცია შეიცვალა და ამდენად, პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა – ვგულისხმობ რეგიონული ტურნირიდან ევროთასებზე საგზურების განაწილებას. მაგალითად, ლიტვა და ლატვია ერთიანი ჩემპიონატის დაფუძნებას უკვე ცდილობენ, იგივე ხდება ევროპის სხვა რეგიონებშიც. რეალურად, გაერთიანებული ლიგა კომერციული ტურნირი იქნება, რომლის შემოსავლები დამოკიდებული იქნება მაყურებელთა დასწრებაზე, ბილეთების გაყიდვაზე, სპონსორთა ინტერესზე და საფეხბურთო მატჩებთან დაკავშირებულ ბიზნესზე. არ ვეთანხმები მათ, ვისაც სპორტი სოციალური სფერო ჰგონია, ეს არის ბიზნესი და მას შესაბამისადაც უნდა მოვექცეთ“.

მილერის ინიციატივა უცებ აიტაცეს რუსეთის პრემიერლიგის მოწინავე გუნდებმა. მათ შორის, „გაზპრომის“ დაფინანსებულმა ცსკა-მ და რუსული ბიზნესელიტის წარმომადგენლის, სულეიმან კერიმოვის მახაჩყალის „ანჟი“.

„ჩვენ ტურნირის სპორტული და კომერციული კუთხით დავინტერესდით. აშკარაა, რომ ბევრად უფრო მომგებიანად გავყიდით სატელევიზიო უფლებებს და ეს ჩვენს შემოსავლებს მნიშვნელოვნად გაზრდის. თუმცა, ბევრი კითხვა არსებობს, მაგალითად, როგორც განაწილდება ევროთასების საგზურები, დახურული ლიგა იქნება თუ რეგიონული ტურნირების შემდეგ გაირკვევა მონაწილეთა ვინაობა. როგორც ჩანს, თუ ამ იდეის განხორციელებას წლები დასჭირდება“, — განაცხადა „ანჟის“ გენერალურმა დირექტორმა აივაზ კაზიახმეტოვმა.

სომხეთ-აზერბაიჯანი — კვლავ დაპირისპირება

ერთიან ჩემპიონატზე ადრეც არაერთხელ ულაპარაკიათ, თუმცა „გაზპრომის“ ინიციატივას მაინც სხვა ფასი დაედო და რუსეთის პოლიტიკურ პარტნიორ ქვეყნებშიც აიტაცეს. სხვათა შორის, მილერის განცხადებამდე, მსგავსი წინადადება სომხეთის ფეხბურთის ფედერაციამ წამოაყენა.

„თანამეგობრობის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში მრავლად არიან გუნდები, რომლებმაც აღიარება არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, მსოფლიო მასშტაბითაც მოიპოვეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მათი ერთ ჩემპიონატში მოქცევა ტურნირში გაერთიანებულ სახელმწიფოებში საკლუბო და ეროვნული ნაკრებების დონეს გაზრდის.

ჩვენ ადრეც გამოვდიოდით ასეთი ინიციატივით და ახლა, როცა ამ იდეის რეალიზაციისთვის ნიადაგი არსებობს, უფრო დავრწმუნდით, რომ მას მომხრეები დსთ-ის სხვა წევრი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებშიც გამოუჩნდება. სომხეთის ფეხბურთის ფედერაცია მოუწოდებს მათ აქტიური დიალოგისა და თანამშრომლობისკენ, რათა დსთ-ს ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატი უახლოეს მომავალში ჩატარდეს“, — ვკითხულობთ სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში.

აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **რამინ მუსაევმა**:

„ჩვენ ამ საკითხზე არც გვიმსჯელია, რადგან რუსებთან საერთო ტურნირში არ ვითამაშებთ. საწყენად არ მიიღოთ, მაგრამ რუსეთის ფეხბურთში ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც ჩვენ არ მოგვწონს. ძალიან ბევრი ძლიერი გუნდი და მოთამაშე გყავთ, მაგრამ რუსეთში მსაჯები საშინელებებს სჩადიან. ზოგჯერ თამაში გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე გუნდისთვის სასურველი შედეგით არ დასრულდება. ამ კუთხით, აზერბაიჯანში ბევრად უკეთესი ვითარებაა. ამ ტურნირის საწინააღმდეგოდ ფინანსური არგუმენტებიც გაგვაჩნია. ჩვენს კლუბებს მძიმე ტვირთად დააწვებათ რუსეთში ტრანსპორტირება და სასტუმროებში ხანგრძლივი დაბინავება. სხვა საქმეა ტურნირის მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარება. ყველა ფედერაცია საპრიზო ფონდში საწევროს შეიტანდა და გუნდს წარადგენდა. საამისოდ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ. ისრაელში მსგავსი ტურნირი უკვე იმართებოდა, სადაც რუსული და უკრაინული კლუბები ერთმანეთს რუსეთის „პირველი არხის“ თასს ეცილებოდნენ. ასე საინტერესო არ ყოფილა „თანამეგობრობის თასი“. კარგად მახსოვს, 2005 წელს ამ გათამაშების ფინალში ბაქოს „ნეფთჩი“ მოსკოვის „ლოკომოტივს“ 1:0-ს უგებდა, როდესაც ჩვენი თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ გავიდა და თამაშგარე დაუფიქსირეს. აღვშფოთდი, მაგრამ რუსეთის საფეხბურთო კავშირის მაშინდელი პრეზიდენტის, ვიტალი მუტკოს ფრაზამ უფრო გამაოგნა: „შენ გინდა, რომ რუსულ კლუბს თასი მოსკოვში წაართვა?“

გეკითხებით, ეს სპორტია? ჩვენ ეს არაფერში გვჭირდება... რა მნიშვნელობა აქვს, მოსკოვში ვთამაშობთ თუ არა? სხვათა შორის, იმ შეხვედრას მოსკოველი მსაჯები ემსახურებოდნენ. ამის შემდეგ რომელ პატიოსან თამაშზე ლაპარაკობთ?“

მიშელ პლატინი – უეფა-ში პროექტის გატანა გაჭირდება

უეფა ტურნირის განხორციელების იდეას არ განიხილავს, თუმცა დიალოგისთვის მზად არის. ამის თაობაზე უეფა-ს გენერალურმა მდივანმა ჯანი ინფანტინომ განაცხადა და ამით ტაქტიანად მიანიშნა, რომ სირთულეს ევროთასებზე მონაწილეობის კვოტების თემა წარმოქმნის. ბელორუსის, უკრაინისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა კომენტარებშიც ეს კითხვა დაისვა.

„მესმის, რომ ამ იდეას ნოსტალგია განაპირობებს, — თქვა უეფა-ს პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ, — მაგალითად, იუგოსლავიის ყოფილ ქვეყნებში ახლა ჩემპიონატის მატჩებს 1000-მდე ადამიანი ესწრება, როდესაც ადრე 50 ათასი მაყურებელი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასეთ მდგომარეობამდე ისტორიულმა მოვლენებმა მიგვიყვანა.

კარგად მესმის, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს, პატარა ქვეყნებს დამოუკიდებლად არსებობა, შემოსავლების მიღება და ტელეკონტრაქტების გაფორმება უჭირთ. ამიტომ გადარჩენას რეგიონულ ტურნირებში ხედავენ. პირადად მეც ასე მიმაჩნია და რეგიონულ ტურნირებზე დისკუსიისთვის მზად ვარ. მაგრამ უეფა-ს აღმასკომსა და კონგრესზე გაცილებით ძნელი განხილვა იქნება“.

საქართველო თამაშგარეშე

თემის განხილვისას, რამდენჯერმე საქართველოც ახსენეს. მაგალითად, ცნობილი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიისა და აზიის ქვეყნები ვერ ითამაშებენ, მიზეზად კი ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური კრიზისი დაასახელა.

როგორც ჩანს, კრემლი სსრკ-ს ჩემპიონატის აღდგენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაზეც სერგეი ივანოვი ისეთ დეტალებს შეეხო, რითიც, წესით, მისი დონის პოლიტიკოსი არ უნდა ინტერესდებოდეს. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გაერთიანებულ ჩემპიონატებში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა 4-მა წამყვანმა უკრაინულმა კლუბმა, კიევის „დინამომ“, დონეცკის „შახტარმა“, დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ და ხარკოვის „მეტალისტმა“. „გაზპრომის“ ხელმძღვანელის წინადადებას უკრაინაში მართლაც დადებითად შეხვდნენ. იგივე მოხდა ბელორუსში: ბორისოვოს „ბატეს“ ხელმძღვანელობა ტურნირით დაინტერესდა. უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია დსთ-ს ჩემპიონატის პერსპექტივას განიხილავს, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტმა ანატოლი პოპოვმა რთულად განსახორციელებელი პროექტი უწოდა.

მეორე საკითხი: რუსული მხარე ორგანიზატორად საკუთარ თავს წარმოიდგენს, რაც სხვებისთვის მიუღებელია. გაერთიანება რომელიმე დამფუძნებლის დომინანტობას და უფროს ძმობას არ ითვალისწინებს. რუსებს კი ბერკეტების ხელში ჩაგდება სურთ. ალექსეი მილერის წინადადება ესპანურმა გამოცემა „მარკამ“ კარგად მონათლა — რუსეთი საბჭოთა ჩემპიონატის აღდგენას გეგმავს. „ნეფთჩის“ ვიცე-პრეზიდენტმა ტაირ სულეიმანოვმა განაცხადა, რომ კლუბი ტურნირს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდება, თუ ის უეფა-ს ეგიდით ჩატარდება და არა — რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობით.

ასეთი რამ უკვე გვახსოვს: ლიტვური, ლატვიური და ესტონური კლუბები ბალტიისპირეთის ლიგის გათამაშებაში მონაწილეობდნენ, დანიის, შვედეთისა და ნორვეგიის კლუბები — სამეფო ლიგაზე და ორივე ტურნირი უეფა-ს ეგიდით ტარდებოდა.

აზრიანი კითხვა კიევის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა ვლადისლავ პრუდიუსმა დასვა – თუ ერთიანი ფედერაცია შეიქმნება, სტატუსს უკრაინა დათმობს თუ რუსეთი?

ცხადია, რუსეთი პირველობას არ დათმობს, რადგან ისედაც ნათელია, ეს პროექტი კრემლში რა მიზნით დაიგეგმა – „ძერჟავა“ საკუთარი გავლენის ხაზგასმას სპორტშიც შეეცდება.

ავსტრალიელები შოკოლადის საწოლში ნებივრობენ

ყველას ახსოვს, ალბათ, საბჭოურ პერიოდში ლოგინის თეთრეული რომ ძირითადად, თეთრი ფერის ან ზოლიანი იყო. ახლა კი მთელი საწარმოები ცდილობენ ისეთი თეთრეულის შექმნას, რაც ინტერიერის ნაწილად იქცევა. რას აღარ შეხვდებით დღეს — მულტფილმების მოტივებიდან დაწყებული, საკუთარი ფოტოთი დასრულებული. ახლა კი ამ ჩამონათვალს შოკოლადის საწოლიც შეემატა. რასაკვირველია, ის ნამდვილი შოკოლადის ფილებისგან არ არის დამზადებული, თუმცა, ტკბილეულის მოყვარულები არც ამ პირის ჩასატკბარუნებლის გამოსახულებიან თეთრეულზე დაძინებას იუარებდნენ. ასეთი უჩვეულო „ტკბილი“ ზეწარი, ბალიშისპირი და საბნის პირი ავსტრალიურმა კომპანიამ **Bed Toppings** დაამზადა, რომელიც ასეთ კრეატიულ საძილე ატრიბუტებზე მუშაობს. „მადის აღმძვრელი“ თეთრეულის კოლექციაში აქვთ ასევე ბუტერბროდებისა და კონსერვების თეთრეულიც.

ტურისტებს იტალია იზიდავს

მთელ მსოფლიოში ტურისტებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა 20 საუკეთესო ტურისტული მიმართულება. შედეგების მიხედვით, თუკი დასვენება გსურთ (და ამის საშუალებაც გაქვთ), ქვეყნებს შორის არჩევანი აუცილებლად იტალიაზე შეაჩერეთ. კუნძულებს შორის ბერძნულებს მიანიჭეთ უპირატესობა.

ქალაქებიდან, გამოკითხვის ლიდერი ნიუ-იორკი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, მოგზაურები აპენინის კუნძულებს იტალიური რესტორნებისა და რასაკვირველია, აქაური ღირსშესანიშნაობის გამო სწყალობენ. მეორე ადგილი შეერთებულ შტატებს ერგო, მესამე საფეხური კი თურქეთმა დაიკავა. საუკეთესო პეიზაჟების ნახვა სამხრეთ აფრიკაშია შესაძლებელი, რომელიც ქვეყნების რეიტინგში მერვე ადგილზე იმყოფება. გამოცემა **Conde Nast Traveller**-ის ჩატარებული გამოკითხვით ისიც დადგინდა, რომ ყველაზე სტუმართმოყვარე ხალხი ინდოეთში ცხოვრობს, საუკეთესო ოცეულში კი ეს ქვეყანა მე-6 ადგილზე იმყოფება.

ვარსკვლავების ყველაზე უცნაური ფობიები

ხშირად გვავიწყდება ხოლმე, რომ ყველა დროის ცნობილი და პოპულარული პერსონები, რომლებიც წითელი ხალიჩის ხშირი სტუმრები არიან, ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები გახლავთ თავიანთი სიხარულითა თუ შიშით, როგორც უბრალო მოკვდავები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მათგანს ისეთი უცნაური ფობია აწუხებს, რომ წარმოდგენაც კი გაგვიჭირდება. მაგალითად, გასაოცარია, როგორ მოახერხა ნაპოლეონ ბონაპარტმა თითქმის ნახევარი ევროპის დაპყრობა, როცა ცხენების, განსაკუთრებით, თეთრი ფერის ცხენების ეშინოდა. მსგავსი ფობია აწუხებს ზოგიერთ თანამედროვე ვარსკვლავსაც: კრისტენ სტიუარტი, მისივე აღიარებით, ცხრა წლისა ცხენიდან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა. მას შემდეგ ვერ იტანს ამ ცხოველს. მსახიობს მთელი სიმამაცის მოკრება და ლამის, სიკვდილთან მორალურად შეგუება მოუხდა, რომ ფილმში „ფიფქია და მონადირე“ საკმაოდ ვაჟკაცურად მჯდარიყო ცხენზე. ნიკოლ კიდმანს, ამ წითურთმიან ლამაზმანს, თურმე, პეპლების ეშინია. ბავშვობაში მაღალ ღობეებს ახტებოდა, ამ მწერებს არ მიახლოებოდა. ნიკოლის თქმით, ის ცდილობდა ამ უცნაური შიშის დაძლევას, მაგრამ წარუმატებლად. აი, ცნობილმა ამერიკელმა სუპერმოდელმა, ტიარა ბექსმა მოახერხა ფობიის დაძლევა. მას დელფინებთან მიახლოება კი არა, მათზე ლაპარაკიც აშინებდა. მას შემდეგ, რაც ამ ცხოველებთან ერთად იცურავა და ერთ-ერთს აკოცა კიდეც, მოდელმა აღიარა, რომ ამ ძუძუმწოვრებს აღარ უფრთხის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოპულარული ბრიტანელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი ვერ იტანს კატებს, მსახიობ ორლანდო ბლუმს ღორების ეშინია, კრისტინა რიჩის კი — ზვიგენების და ამის გამო ის აუზში ბანაობაზეც უარს ამბობს.

ბევრ ვარსკვლავს კი თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში უჭირს ცხოვრება, რადგან მათ სხვადასხვა გამოგონება აშინებთ. მამაკაცური და ნებისმიერ ასაკში მომხიბვლელი შონ კონერი აღიარებს, რომ შუქნიშნების მიმართ პანიკური შიში აქვს. მას გული უსკდება იმის გაფიქრებაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს, გზაზე გადასვლისას მწვანე შუქი მოულოდნელად რომ ჩაქრეს. მისი კოლეგა და „მემკვიდრე“, ანუ კიდევ ერთი „აგენტი 007“ როჯერ მური, თურმე, ცეცხლსასროლ იარაღს უფრთხის. ცნობილ რეჟისორს სტივენ სპილბერგს ლიფტის ფობია აქვს და ცდილობს, თავი აარიდოს „სარისკო“ მგზავრობას. მომხიბვლელი კიანუ რივზი, თურმე, ტელეფონზე ლაპარაკს ვერ იტანს. კომიკოს ჯინ ქერის სათვალთვალო კამერების ფობია ჰქონია, ამის გამო სასტუმროს ნომერში ყველა ნათურიდან აბაჟურების მოხსნას ითხოვს. თვითმფრინავებისა და ფრენის შიში ცნობილ ადამიანებში საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა, პროფესიის გამო, იძულებულნი არიან, მას როგორმე გაუმკლავდნენ და ხშირად იფრინონ. ადრიანო ჩელენტანომ კი ვერ შეძლო შიშის დაძლევა და დღემდე ის მხოლოდ რამდენჯერმე იჯდა თვითმფრინავში.

ვერმინოფობია — მიკორბებისა და ბაქტერიების მიმართ შიშია, ასევე რაიმე დაავადების „აკიდების“ შიში. ეს საკმაოდ გავრცელებული ფობიაა, მათ შორის ცნობილ ადამიანებშიც. მაგალითად, მომღერალი ბიონსე, სწორედ ვერმინოფობიის გამო, ვერ იტანს საპირფარეშოებს და სადაც მიდის, ყველგან ტუალეტს დღეში რამდენჯერმე ახეხინებს. „ლამაზმანი“ ჯულია რობერტსი რესტორნებში ითხოვს, რომ სპეციალურად მისთვის არა მხოლოდ ჭურჭლის დეზინფიცირება მოახდინონ, არამედ სკამისაც, რომელზეც უნდა დაჯდეს. ანალოგიურად იქცევა ხოლმე სტივენ სიგალიც, თუმცა იგი რესტორნებში საკუთარი ჯამ-ჭურჭლით იმის გამო დადის, რომ მოწამვლის ეშინია.

წარსულსაც თუ გადავხედავთ, მარტო პოპის მეფის — მაიკლ ჯეკსონის გახსენება რად ღირს, ნიღბით რომ ჩნდებოდა ხალხში. რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი ცდილობდა, რომ თავი აერიდებინა ხელის ჩამორთმევისთვის. ნებისმიერი კარის სახელურს ცხვირსახოცით კიდებდა ხელს, ტანსაცმლის ადეზინფიცირებდა, თან ყოველთვის დაჰქონდა იოდი და სასაპნე, ხანგრძლივი მგზავრობისას კი გასაშლელ აბაზანასაც თან ატარებდა. ნიზოფობია — ავად გახდომის შიში სტანჯავდა ჯან-ჟაკ რუსოს, ამის გამო ყოველთვის გაურბოდა საუბრებს მედიცინაზე და ამ თემაზე წიგნებს ახლოსაც არ ეკარებოდა. არც ექიმებს აკითხავდა. მსგავსი ფობია სჭირს რობერტ დე ნიროსაც, რომელიც ლამის პანიკაში ვარდება სტომატოლოგის გაფიქრებაზეც კი. ნიზოფობიის ერთ-ერთი სახეობა, კერძოდ კი, სიმსივნით დაავადების შიში აწუხებს ბევრ ვარსკვლავს — ანჯელინა ჯოლის, ვიქტორია ბექჰემს, ვუდი ალენს. ვიქტორიამ კანცეროფობიის გამო უარი თქვა ავტონამზეურზე.

ზოგიერთ ცნობილ ადამიანს კი ნამდვილად არ გაუმართლა, რადგან გარშემომყოფებთან ურთიერთობის შიში აქვს. ამაში, შეიძლება ცუდი არაფერი იყოს, თუ ლედი გაგას მაგალითზე ვიმსჯელებთ — ფობია მას „უწესო“ ინტიმურ ურთიერთობებზე ათქმევინებს უარს. ამ ეპატაჟურ მომღერალს ეშინია, რომ შეუფერებელი პარტნიორი მის ენერგეტიკაზე დამღუპველად იმოქმედებს. ონორე დე ბალზაკი კი სიყვარულისგან გარდაიცვალა, უფრო სწორად, ქორწინების შიშის გამო. სახელგანთქმულ ფრანგ მწერალს სასტიკად ეშინოდა დაქორწინების, ხოლო როცა თავდავიწყებით შეუყვარდა ეველინა განსკაია და მას ხელი სთხოვა, ნერვიულობისგან ავად გახდა. ჯვრისწერაზე ბალზაკი პარალიზებული, სავარძელში მჯდარი იმყოფებოდა, მოკლე ხანში კი ახლად შერთული მეუღლე დააქვრივა. ასეთი ტრაგედიის ფონზე, კლოუნების მიმართ შიში, რომელსაც ჯონი დეპი განიცდის, მართლაც რომ სასაცილოა. თუმცა, ყველაზე ცუდი, ალბათ, მაინც საკუთარი სახის დანახვის შიშია. სწორედ ამ ფობიის გამო პამელა ანდერსონი ვერ იტანს სარკეებს და ტელევიზორსაც ყოველთვის სხვა არხზე რთავს, თუკი კადრში თვითონ ჩნდება.

ზოგიერთი ვარსკვლავური ფობია არც კლასიფიკაციაში ჯდება და მას გონივრული ახსნაც არ მოეძებნება. სწორედ ამიტომაც არის ფობია! საიენტოლოგიის მიმდევარ ტომ კრუზს სამყაროს აღსასრულისა და უცხოპლანეტელების შემოჭრის ეშინია. ჯონ ტრავოლტას — გარეცხილი ტანსაცმლის ჩაცმისა. ამიტომაც რამდენჯერმე ნახმარ ნივთებს ყრის და ახალს ყიდულობს. დევიდ ბექჰემი ვერ იტანს, თუ მაცივარში პროდუქტები არათანაბრად, წყვილად არ აწყვია და ყოველთვის თავიდან იშორებს ზედმეტ საგანს, ვთქვათ, კოკა-კოლას მესამე ქილა იქნება თუ მეხუთე ვაშლი. ცნობილი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი კი საღეჭ რეზინს ვერ იტანს. მას იმდენად ეშინია „ჟვაჩკის“, რომ საკუთარი თოქ-შოუს მონაწილეებს უკრძალავდა მის გამოყენებას, ხოლო შემთხვევით, უცოდინრობის გამო, მისმა სტუმარმა თუ კევი თეფშზე დატოვა, ოპრა მას თეფშიანად, სანაგვეში ისვრის.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანფანასას“ სასოლომის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

სუდოკუ

ადვილი

					7	6		4
		4		3			8	
		5			6		2	
	7					2	1	
		6	2	9	8	7		
	2	3					9	
	5		6			9		
	6			2		4		
9		2	3					

სტანდარტი

		1	3					9
		2			9			4
9				4		1		
8			2	3	1			
	6						1	
			8	5	6			7
		9		1				8
3			7			4		
1					8	5		

რთული

		1					6	
					9		4	2
	3		8			7		
		9		5	2			1
2			4		6			7
7			3	1		9		
		7			4		5	
8	9		6					
	4					2		

ექსპერტი

		8		4	9			3
				3		7		
	4				5			2
					4			1
	7	4		2		9	6	
1			8					
4			6				9	
		6		9				
2			4	8		3		

მოდის მიმდევრებისთვის iPod-ჭვრეტელები შექმნეს

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ოფისებში მომუშავეთა არმია ყოველდღიურად შორ მანძილს გადის სახლიდან სამსახურამდე. გზაში ყველა ისე ერთობა, როგორც შეუძლია — ზოგი თვლემს, სხვები კითხულობენ, ზოგიც მოწყენილი ათვალიერებს გზას. ყველაზე ხშირად კი ადამიანები დროს კლავენ მუსიკის მოსმენით ან კითხვით. მათთვის, ვინც უპირატესობას **iPod**-ს ანიჭებს, საქმიანი ტანსაცმლის მწარმოებელმა ინგლისურმა ფირმამ **Thomas Pink** სპეციალური ჰალსტუხები გამოუშვა, რომლის უკანა მხარესაც პატარა ჯიბეა **Apple**-ის ამ მოხდენილი ქმნილებისთვის. აბრეშუმის ჰალსტუხები იდეალური „ადგილია“ ფლეერების შესანახად და გზაში მუსიკის მოსასმენად, ასევე ოფისში (უფროსის ჩუმად) და მოსაწყენ შეხვედრებზე ან წვეულებებზე გასართობად. ჯიბე ფლეერს იტევს, ხოლო სპეციალური ლენტი მის ზემოთ ყურსაცვამების სადენებს ჰალსტუხის გარეთ არ „უშვებს“. ამ მეტად ხელსაყრელი და თანაც მოდური აქსესუარის შეძენა მოდის მიმდევრებს 55 გირვანქა სტერლინგად შეეძლებათ.

სამუშაო ადგილებს ლატარიაში ათამაშებენ

იტალიაში უმუშევრობის მაჩვენებელმა პიკს მიაღწია. სამუშაო ადგილებს აპენინებზე უკვე ლატარიაში ათამაშებენ. მასში მონაწილეობა შეუძლია **One Price**-ის ქსელის ყველა კლიენტს, ვინც საყიდლებზე თუნდაც 30 ევრო დახარჯა. გამარჯვებულს კომპანია დაწესებულებაში გამყიდველის ასისტენტის ვაკანსიას სთავაზობს. ლატარიაში სულ ასეთი 12 საპრიზო ადგილი თამაშდება, რაც არასრულ სამუშაო ცვლაში (დღეში 4 საათი) მსურველს თვეში, ხელფასის სახით, 1100 ევროს მოუტანს. აღსანიშნავია, რომ მყიდველთა უმრავლესობამ (90%-მა) თანხმობა განაცხადა ლატარიაში მონაწილეობაზე, თუმცა ბევრს აინტერესებდა, გამარჯვების შემთხვევაში, შეეძლო თუ არა სამუშაო ადგილის ახლობლისთვის გადაცემა. უმუშევრობის დონემ დაახლოებით 11,1% შეადგინა, რაც ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ყავა და სიგარეტი მართლაც იცავს პარკინსონიზმისგან

ამერიკელი მეცნიერების მონაცემებით, პარკინსონით დაავადებული ადამიანები ნაკლებად არიან მწეველები და ყავის გაცილებით ნაკლებ რაოდენობას მოიხმარენ, ვიდრე სხვა ჯანმრთელი ადამიანები. მკვლევართა აზრით, ყავასა და ნიკოტინს მართლაც შეუძლია დაიცვან ტვინი ნეიროდეგენერაციული დაავადებებისგან. მოწევის კავშირი პარკინსონიზმის განვითარების დაბალ რისკთან დიდი ხანია ცნობილია მეცნიერებისთვის. ამავე დროს, ბევრი ექსპერტი ამ დაავადებას გენეტიკურად მიიჩნევს, თუმცა, სიგარეტისადმი მიდრეკილების უქონლობა პარკინსონით დაავადებულებში შეიძლება ასევე გენეტიკურად იყოს განპირობებული.

ამ ჰიპოთეზის შემოწმება მაიამის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გადაწყვიტეს. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო პარკინსონით დაავადებულმა 356-მა ადამიანმა და 317-მა ასაკოვანმა მოხალისემ, რომელთა ახლო ნათესავებსაც ამ დაავადების პირველი ნიშნები გაუჩნდათ. გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ პარკინსონიზმით დაავადებულებში მწეველი 40%-ით ნაკლები იყო, ვიდრე ჯანმრთელ მოხალისეებში. გამოკვლევების მონაწილეები ასევე 40%-ით ნაკლებად ყავის მოყვარულები აღმოჩნდნენ. როგორც კვლევების ავტორები აღნიშნავენ, მიზეზები, რომლის გამოც ყავისა და სიგარეტის მოხმარება პარკინსონიზმის განვითარების რისკს ამცირებს, ჯერჯერობით უცნობია. ამავე დროს, ეს კანონზომიერება შეიძლება დოფამინურ ცვლას უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ პარკინსონიზმს ნეირონების მასობრივი სიკვდილი იწვევს, რომლებიც სწორედ ამ ნეირომედიატორს გამოიმუშავებენ. ყავასა და ნიკოტინს კი შეუძლიათ, თავის ტვინში მისი დონე აწიონ. გარდა ამისა, ზოგიერთი გამოკვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ ნიკოტინს შეუძლია ნეიროტოქსინების ბლოკირება მოახდინოს, რომლებიც დოფამინის გამომამუშავებელ ნერვულ უჯრედებს ანადგურებენ.

შოკოლადი ალერგიას დაგვიდნეგს?

Cadbury-ის კონდიტერებმა შოკოლადი დაამზადეს, რომელიც არ დნება. ახლა **Dairy milk**-ის ბატონი, სამი საათის განმავლობაში, 40-გრადუსიან სიცხეშიც კი არ გალღვება. ჩვეულებრივი შოკოლადი შეიცავს კაკაოს ცხიმს, რძესა და შაქარს. **Cadbury**-მ შაქრის უფრო მცირე ნაწილებად დაშლის მექანიზმი შეიმუშავა და შოკოლადის ცხიმიანობაც შეამცირა. ამ ცვლილებებმა კი პროდუქტი სიცხისადმი გამძლედ აქცია. კომპანიის სწავლულებმა განაცხადეს, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია შოკოლადის წარმოების ტექნოლოგიაში და უკვე განაცხადიც შეიტანეს დიდი ბრიტანეთის საპატენტო პალატაში. პროდუქტის გაყიდვას კი პლანეტის ცხელ ქვეყნებში, პირველ რიგში, ბრაზილიასა და ინდოეთში გეგმავენ. თუმცა, ამავე დროს, ფირმის კონდიტერები არ მალავენ, რომ ეს ცვლილებები შოკოლადის გემოზე ზეგავლენას მოახდენს. მიუხედავად ამისა, ბრიტანელები მოითხოვენ, **Cadbury**-ის ექსპორტზე გათვლილი ახალი პროდუქციის ნაწილი მაინც გაყიდონ ნისლიან ალბიონზე.

ჩვენს რეგიონში პირველი – ბანკი "ქართუ" გთავაზობთ უნიკალურ სერვისს!
დინამიური პაროლი თქვენი ბარათის უსაფრთხოებისათვის!

იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი
თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com
® ნიშნით აღნიშნული სტატიები
იბეჭდება რეკლამის უფლებით